# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან. სამშაბათი, 1 სექტემბერი 1998 №154 (689) ფასი 50 თეთრი




გურამ ცქიტიშვილის ფოტო

შაბათს ქუთაისში: „ტორპედო“ — „ბათუმი“.
ზაზა ვაჩიბერაძე (№11) და მალხაზ მახარაძე მცირე სანწაულის მონაწილენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 18:3 | 9 |
| იბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 11:5 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| გურია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:12 | 4 |
| ოდიში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| თსუ | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| მერანი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:6 | 3 |
| გორდა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ბათუმი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| არსენალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:10 | 2 |

საქართველოს ჩემპიონატი

## 4 ტური

28 აგვისტო, პარასკევი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| იბერია | 5 |

29 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| გურია | 1 |
| ოდიში | 2 |
| სამგურალი | 0 |
| თსუ | 1 |
| დილა | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| მერანი | 1 |
| გორდა | 1 |

30 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| ბათუმი | 3 |
| დინამო | 8 |
| სიონი | 1 |

31 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |



REUTERS ამსტერდამიდან

# ახალგაზრდა, გამოუცდელი

### ფრანკ რაიკაარდი გუშინ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს

— უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობა ჩამაბარეს. მე ხომ აქამდე წინამორბედის, გუს ჰიდინკის ასისტენტად ვმუშაობდი. მართალი გითხრათ, ერთი მხრივ, ეს დანიშვნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, რადგან დიდი გუნდის სათავეში აქამდე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაფიქრებინებდა, რომ ადრე თუ გვიან ნაკრების ხელმძღვანელის პოსტს მე მანდობენ — განაცხადა რაიკაარდმა პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ 35 წლის რაიკაარდი ჰოლანდიის ეროვნული გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია, რომლის გამოცდილებაც მხოლოდ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატით შემოიფარგლება.

„აიაქსისა“ და „მილანის“ ყოფილმა მოთამაშემ კონტრაქტი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატამდე გააფორმა, მაგრამ ხელშეკრულების პირობებში ისიც წერია, რომ თუ ფედერაცია მის მუშაობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, იგი კიდევ ოთხი წლით დარჩება თანამდებობაზე — თქვა რაიკაარდმა.

— მე მაქვს სამწვრთნელო ლიცენზია და მისი გამოყენება მსურს, თუმცა ვხვდები, რომ მსოფლიოს პირველობაზე კარგი გამოსვლის შემდეგ ძალიან ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მელის.

რაიკაარდი, როგორც მოთამაშე, ბრწყინვალე იყო. ის სამგზის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (ორჯერ „მილანში“ და ერთხელ „აიაქსში“), 1988 წელს კი ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ნაკრებში ჩატარებული 73 შეხვედრით რაიკაარდი მეოთხე ადგილზეა მათ შორის, ვინც ყველაზე მეტჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისური.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ რაიკაარდის ასისტენტად ცნობილი იოჰან ნეესკენსი დანიშნა. 46 წლის ნეესკენსი, მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას ნაკრებში, „აიაქსსა“ და „ბარსელონაში“ დიდი იოჰან კრუიფის პარტნიორი იყო, ახლახანს, საფრანგეთ 98-ზე კი რაიკაარდთან ერთად ასისტენტობას უწევდა ჰიდინკს.

— დიახ, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ როგორც ფეხბურთელს, გამოცდილება არ მაკლია. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჩემი ასისტენტი ჩემზე გამოცდილი ნეესკენსი იქნება, ასე რომ, ვგონებ, საინტერესო მუშაობა უნდა გაჩაღდეს — დასძინა ჰოლანდიელთა ახალმა მწვრთნელმა.

# კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო

საქართველოს ეროვნული გუნდი გუშინ შუადღისას შეიკრიბა, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდა და გუშინვე, ექვსს საათზე, მართალია არასრული შემადგენლობით, მაგრამ მაინც საკმაო ხანს ივარჯიშა „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. როგორც შევიტყვეთ, ალბანელებთან 5 სექტემბერს ვერ ითამაშებენ შოთა არველაძე საზარდულის ტკივილის გამო, გოგა გახოკიძე, რომელიც წელს უჩივის და გელა შეყილაძე, რომელიც შოთას მსგავსად საზარდულმავე შეაწუხა და ვერც „ლიერსს“ დაეხმარა ბელგიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში. უეჭველია, მათი არყოფნა ჩვენს ეროვნულ გუნდს ძლიერ დაეტყობა, განსაკუთრებით კი შეყილაძისა, რომლის ტრავმაც ცხადაძე-შელიას დაშავების დროს ალბათ ბევრ პრობლემას შეუქმნის მწვრთნელებს უკანა ხაზში. გუნდის თავკაცებს 5-ში დაცვაში ახალგაზრდების იმედი უნდა ჰქონდეთ, სხვა გზა არ არის. ეს აუცილებლობამ მოიტანა, თუმც ვლადიმერ გუცაევი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი, ალბანელებს მოვუგებთო, გვითხრა. ჩვენც ეს გვინდა. აბა, ანგარიშს რა დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე კი, ისეთ ჯგუფში მოგვიწია თამაშმა, რაც მეტს გავიტანთ, მით უკეთესი იქნება.

არველაძის, შეყილაძისა და გახოკიძის გარდა გუშინ არც ქეცბაიას, ჯანაშიას, არჩილ არველაძეს, ლობჟანიძესა და იაშვილს უვარჯიშიათ. მათ წუხელ ელოდნენ, აეროპორტში დამხვედრებიც გაგზავნეს და ალბათ დღეს მცხეთაში სრული შემადგენლობით ივარჯიშებენ.

ბიჭები საკმაოდ ხალისიანად იყვნენ. იგრძნობოდა, რომ განიცდიდნენ უკრაინელებთან მარცხს და გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას ლამობენ.

ჩვეულებისამებრ ვარჯიში ჯერ იური სტადუხინმა დაიწყო და ბიჭები გაახურა, მერე ძუნძული, კვადრატი, ტაქტიკაზე მუშაობა. სამი მეკარის „დაბომბვა“ — მერე სატრენაჟორო დარბაზისკენ წავიდნენ, ფიზიკური წრთობა ხომ გუცაევის სავარჯიშო მეთოდის აუცილებელი კომპონენტია.

ფეხბურთელებიდან კაცი ვერავისზე იტყვის, ფორმაში არ არისო, უგუნდოდ დარჩენილმა ჯამარაულმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, არც ნემსაძეზე გვეთქმის კლუბში უთამაშებლობის კვალი აჩნიაო. მეკარეებიც ნორმალურად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით ტოგონიძეს მივაქციეთ ყურადღება, რომლის „ბათუმმაც“ ვერა და ვერ „იპოვა“ თავის თამაში. ნიკა, ვითომც არაფერიო, თავის საქმეს უსიტყვოდ აკეთებდა და ბევრი ქებაც დაიმსახურა. გვარამაძე-დევაძეც კარგად ირჯებოდნენ.

ვარჯიში რვაზე დამთავრდა. ბიჭები ავტობუსში სხდებოდნენ, მაგრამ ნიკა ტოგონიძე და ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე მაინც მოვიხელთეთ.

*ნიკა ტოგონიძე:* შეყილაძის ტრავმაღა გვაკლდა. ცხადაძისა და შელიას უთამაშებლობა არ კმაროდა? დაუმატეთ შოთა, გახოკიძე. ესენი ალბანელებთან ვერ ითამაშებენ და ჩვენც, ალბათ, ცოტა გაგვიჭირდება, ხუთი კაცი ნახევარი გუნდია. თუმცა, წუწუნი არასდროს მჩვევია, ალბანელებს მაინც საკადრისად დავუხვდებით და შესარჩევ ციკლს გამარჯვებით დავიწყებთ. საქართველოს ნაკრებს რეზერვი გააჩნია. 5-ში მოგება ფსიქოლოგიურადაც კარგი იქნება. ხომ გაგიგიათ, კარგი დასაწყისი ნახევარი საქმის გაკეთებას უდრისო.

*გიორგი ნემსაძე:* „გრასჰოპერის“ მწვრთნელთან არანაირი კონფლიქტი არა მაქვს, მხოლოდ ფინანსებზეა საქმე, რომელიც, ალბათ, უახლოეს ხანში მოგვარდება.

ფრინგერი, პირიქით, კარგი თვალით მიყურებს და აქეთ მანუგეშებს, აბა შენ იცი, პრობლემები მალე მოაგვარეო. ტრავმაც მოვიშუშე, ალარაფერი მაწუხებს, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ნორმალურ ფორმაში ვარ. ალბანელებთან მატჩზე კი რა გითხრათ, უნდა მოვუგოთ, ასეც იქნება, ჩვენ ალბანელებზე ძლიერები ვართ.

**კობა ინასარიძე**

### გუშინ ნიუ იორკში მსოფლიოს ჩოგბურთელებმა ამერიკის ღია პირველობა დაიწყეს

# ამერიკა ყველასია

US OPEN

ცნობილთაგან პირველ წრეს უხიფათოდ გასცდნენ: პიტ სამპრასი (აშშ) — მარკ გოელნერი (გერმანია) 6:3, 6:2, 6:2; ტომას მუსტერი (ავსტრია) — ალბერტო ბერესატეგი (ესპანეთი) 7:6 (7:1), 6:2, 6:3; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:3, 6:4, 6:4; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ნაომ ბერი (ისრაელი) 4:6, 6:4, 6:3, 6:4; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ალექსანდრა ოლშა (პოლონეთი) 6:2, 6:0; სერენა უილიამსი (აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 3:6, 6:4; ივა მაიოლი (ხორვატია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 6:3; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — ში ტინგ ვონგი (ტაივანი) 6:0, 6:2; პეტი შნიდერი (შვეიცარია) — იუკა ჰოშიდა (იაპონია) 7:6 (7:5), 7:5.



REUTERS ნიუ იორკიდან

პირველი გამარჯვების მერე მარტინა ჰინგისი ავტოგრაფებს არიგებს

# მეტოქე რიხით და მუქარით მოდის

## ზეგ ალბანელები თბილისს მოფრინავენ

4-5 სექტემბერს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ერა იწყება — ჯერ საქართველოს ახალგაზრდული და მერე ეროვნული ნაკრები 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმებიან. ჩვენს ორივე გუნდს ერთი შეხედვით სუსტი, მაგრამ არცთუ ხელწამოსაკრავი ალბანეთის დამლევა მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, გვსურს, შესარჩევი ციკლი რიხიანად დავიწყოთ. 4 სექტემბერს პაიჭაძეზე საქართველოსა და ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრებები გაეჯიბრებიან. ხოლო უკვე მეორე დღეს ეროვნული გუნდები დაპირისპირდებიან.

ალბანელები ჩარტერული რეისით 3 სექტემბერს, დაახლოებით 12 საათისთვის გვეწვევიან. დელეგაცია 71 კაცისგან შედგება, მათ შორის 17 ჟურნალისტია, რომლებიც თავიანთი თანამემამულეებისთვის გააშუქებენ თამაშს პრესითა თუ ტელევიზიით.

ალბანეთის ეროვნული გუნდი მწვრთნელ ასტრიდ ჰაფაზის თავკაცობით კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდება, ხოლო ახალგაზრდები ნიკოლინ ლორენცის ხელმძღვანელობით ახალშეკეთებულ და გალამაზებულ კერძო სასტუმრო „ოდაში“ იცხოვრებენ.

ალბანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ასტრიდ ჰაფაზმა სათბილისოდ ეს ფეხბურთელები შეიგულა: *მეკარეები:* ფოტო სტრაკოშა და არმირ გრიმაი

*მცველები:* ილირ შულკუ, არიან ჯუმბა, ერვინ ფაკაი, რუდი ვატა, ალპინ გალო

*ნახევარმცველები:* ალტინ ლალა, ლუან პინარი, ბლედარ კოლა, ალტინ ჰაჯი, ალბან ბუში, არიან პეგო, არტურ მაჯუნი, მაჰირ ჰალილი

*თავდამსხმელები:* ალტინ რაკლი, იგლი ტარე, ერიონ ბოგდანი

ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა ნიკოლინ ლორენცმა 24 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაგან თამაშის დღეს 18-ს დაიტოვებს: სულეიმან მემა და ბაშკიმ კოკა; ზიდი კობა, ადრიან ლუკა, ორგეს შეპი, ჰექტორ პრემჩი, ბლედარ მანკო, ელვის სინა, საიმირ ბენდო, არიან ბისილა, ილირ დიბრა, კაზიმ ბუნა, სოკოლ ბულკუ, ფიოდორ ჯაჰჯა, კლოდიან დურო, ელდორადო მერკოცი, ვიორენსინ სინანი, კლოდიან არბრი, ალბერტ დურო, ბლენდი შკუმბი, ლიგორ ტიკო, ნერიტან ბაიაზიტი, კრეშნიკ ოსმანი და ჰაბიბ რეჯეპი.

შემადგენლობათა ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, რომ სულ ახლახან „დინამოსთან“ ნათამაშევი ორი ძველი ნაცნობია — ვლაჟნიელები მეკარე გრიმაი და თავდამსხმელი სინანი.

ახლა ალბანელთა გეგმებზეც. ჩამოვლენ თუ არა, იმ დღესვე ახალგაზრდული ნაკრები საღამოს ხუთის ნახევრიდან, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის გაზონს მოსინჯავს და ნახევარსაათიან ვარჯიშსაც ჩაატარებს. ისინი ამით დაკმაყოფილდებიან და 4-ში უკვე ჩვენებურებს გაეჯიბრებიან. ეროვნული ნაკრები კი ჩამოსვლის დღეს ისანში, „შევარდენის“ სტადიონზე ივარჯიშებს, 4-ში, ახალგაზრდულთა შეხვედრის დასრულებიდან დაახლოებით ერთ-ორ საათში, პაიჭაძეზე გადაინაცვლებს და ვარჯიშსაც იქ განაახლებს.

ალბანელთა დელეგაცია 6 სექტემბერს,


ბადრი კილასონიას ფოტო

ალბანელთა თავდამსხმელი ალტინ რაკლი საქართველოში მეორედ ჩამოვა

საუზმის შემდეგ, ასევე ჩარტერული რეისით გაემგზავრება სამშობლოში. როგორ ხასიათზე წავლენ ისინი აქედან, ეს უკვე ჩვენს ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ერთსაც გეტყვით — „დინამოს“ ალბანეთში სტუმრობისას ეროვნული გუნდის თავკაცმა ასტრიდ ჰაფაზმა „სარბიელს“ განუცხადა: თბილისში 5 სექტემბერს მოსაგებად თუ არა, ფრეზე მაინც ვითამაშებთო. ვნახოთ.

ახლა ორიოდე სიტყვით საორგანიზაციო მხარეზეც.

4 სექტემბერს საქართველოსა და ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება და მას ჩრდილოირლანდიელ მსაჯთა ბრიგადა (როსი, ჩემბერსი, რედფერნი და მალკოლმი) მოემსახურება.

ეროვნული გუნდების შეხვედრა 5 სექტემბერს 19 საათზე დაიწყება და შვეიცარიელები — კლაუდიო ტეტრუჩი, ლორან როსიე, დომინიკ როშარი და ნიკოლა დეინა იმსაჯებენ. ორივე მატჩზე უეფას დელეგატი უელსელი როჯერ გიფორდი იქნება.

როგორც გულშემატკივართათვის ცნობილია, ეროვნულ სტადიონზე კვლავ განახლდა ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. თუ აქამდე მხოლოდ 2000 ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილი გვქონდა, ახლა ეს რიცხვა 20 000-მდე გაიზარდა. ასე რომ, ალბანელებთან გაცილებით მეტ მაყურებელს მიეცემა საშუალება უშუალოდ ტრიბუნიდან ადევნოს თვალი მატჩებს. უეფამ შემოგვითვალა, რადგან 20 000 ინდივიდუალური სკამი გაქვთ, უფლებას გაძლევთ, მაყურებელთა რაოდენობა 36 000-მდე გაზარდოთო.

4 სექტემბერს ახალგაზრდულთა შეხვედრაზე ბილეთი 2 ლარი ეღირება, განურჩევლად ადგილისა, ხოლო 5 სექტემბრის მატჩისას ინდივიდუალურ დასაჯდომ ადგილზე მოსახვედრად ქომაგთ 5 ლარის გადახდა მოუწევთ, არა და, 3 ლარიანი ბილეთით უნდა დაკმაყოფილდნენ. საფეხბურთო სკოლების ბავშვებისთვის ლარიანი ბილეთებია დაბეჭდილი.

საქართველოსა და ალბანეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე ფედერაციას ლატარიის გათამაშებაც აქვს დაგეგმილი, გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპი კი ალბათ ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილების ნომრების მიხედვით იქნება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ფინკეც გავახარეთ

თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა ბილბაოელების შემდეგ ყველაზე მეტად გერმანული „ფრაიბურგის“ მთავარ მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს გაუხარდა. გერმანელებმა კობისა და მეორე ქართველი ლეგიონერის ალექსანდრე იაშვილის დახმარებით გასულ სეზონში პირველი ბუნდესლიგის საგზური მოიპოვეს. ფინკე ლევანის თამაშით კმაყოფილი იყო და კლუბში მისი დატოვებაც სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა. კლუბები საბოლოოდ ასე შეთანხმდნენ — კობიაშვილი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ დაეხმარებოდა, ლიგაში ვერგასვლის შემთხვევაში კი გერმანელებს შეუერთდებოდა. ასეც მოხდა. ლევანს უკვე ბილეთიც აუღია. ალბანეთთან მატჩის მეორე დღესვე, 6 სექტემბერს, იაშკასთან ერთად გერმანიაში გაემგზავრება და ერთი წლით „ფრაიბურგის“ ღირსებას დაიცავს.

მცხეთა
31 აგვისტო
17 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ლოკომოტივი 1:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 მარლიშვილი (68პ)
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი (ბაქრაძე 80), თარხნიშვილი, კაციაშვილი (ნ. მინდიაშვილი 67), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი, გიორგი ქორიძე (კვიტატიანი 46)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, მ. მინდიაშვილი, ხორგუაშვილი, ქვარცხავა
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ლამბაშიძე 62), აბაზაძე (პეტრიაშვილი 70), ი. კაპანაძე (დოლიძე 78), ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ზ. გვაზავა, ჭოხონელიძე, ა. ბოკერია
**გაფრთხილება:** კაციაშვილი (32), მენთეშაშვილი (37), გოჩაშვილი (49)
**განძევება:** მენთეშაშვილი (70)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

# მუშკეტერი

**პაატა კვანტალიანი** გორიდან

დედაქალაქური დერბი მცხეთაში რკინიგზელთა აშკარა უპირატესობით და ლოგიკური გამარჯვებით დასრულდა.

ჩემპიონატი ორივე გუნდმა რიხიანად დაიწყო, განსაკუთრებით ეს „ვიტ ჯორჯიაზე“ ითქმის. წარმატების შემთხვევაში ვიტელები კვლავ პირველ საფეხურზე დარჩებოდნენ. თემურ მახარაძის ხელში მშვენივრად მოთამაშე რკინიგზელებს კი მასპინძლის (თუმცა პირობითი) უპირატესობის გამოყენება მართებდათ. აქედან გამომდინარე, საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, თუმცა მატჩის პირველმა ნახევარმა „არმაზზე“ შეკრებილთ იმედები გაგვიცრუა. თუ არ ჩავთვლით 25-ე და 37-ე წუთებს, პირველ ტაიმში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. პირველ შემთხვევაში მოედნის ცენტრში მშვიდად მოგორავე ბურთს მოულოდნელად დაჰკრა მელქაძემ, ჭურაძის უკუგდებულს კი უხეიროდ დაამატა გოდერძიშვილმა. მისი ახლო მანძილიდან დარტყმული ვიტელთა დაუცველ კარს ზემოდან გადასცდა. 12 წუთის შემდეგ კი მენთეშაშვილმა ბრძოლაში გვარიანად აჯანჯღარა როინ მარლიშვილი და ამ უკანასკნელის მაისური მუშკეტერების ცნობილ, გვერდებზე ჩახსნილ მოსასხამს დაამსგავსა. ეტყობა, ამ ეპიზოდმა მარლიშვილზე გარკვეული როლი ითამაშა. შეხვედრის მეორე ნახევარში მის მოსასხამს ჯვარის ნაცვლად 7 ნომერი რომ ამშვენებდა, მოედნის ყველა კიდეში დაინახავდით. როინი მშვენივრად ანაწილებდა პასებს და დიდი მონდომებით ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა შეტევებს. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ მეორე ნახევარში ლოკომოტივმა დიდი უპირატესობის მოპოვება შეძლო და ფაქტობრივად საკუთარ კარს მიაჯაჭვა მოწინააღმდეგე. ვიდრე მასპინძლები გოლს გაიტანდნენ, მარლიშვილმა თანაგუნდელები არაერთხელ დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმცა მათი შემდგომი მოქმედება ვიტელთათვის უხიფათოდ მთავრდებოდა.

68-ე წუთზე კი როინმა თავად გადაწყვიტა პარტნიორთა შეცდომების გამოსწორება და მშვენიერი დრიბლინგით (გზად სამი მცველი მოატყუა) მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, იქ იგი მოცელეს და მალალურაძემაც უყოყმანოდ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი თავად დაზარალებულმა დაარტყა და მატჩის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

დარჩენილ დროში მასპინძლებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ მარლიშვილის მშვენიერი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა მინდიაშვილმა შანსი ხელიდან გაუშვა.


გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ლაშა ნოზაძემ და ჭანკოტაძემ ბურთი გოდერძიშვილს არ დაანებეს

თბილისი
31 აგვისტო
17.30 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 2000)

**მერანი 2:2 ახალგაზრდული**

1:0 დევიძე (39), 1:1 ჩომახიძე (41), 1:2 შენგელია (55), 2:2 ხუციშვილი (62)
**მერანი:** ლომაია, დევიძე, ე. ალადაშვილი, ჩანადირი, ლ. ჩხაიძე (ადეიშვილი 82), გ. ხარებავა, ბაჯელიძე (დანელია 46), ჭინჭარაული (ივანიშვილი 57), დავითაშვილი (ჯიშკარიანი 46), ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგო:* ნაჭყეპია
**ახალგაზრდული ნაკრები:** გაბელია, დავითნიძე (ჩხეტიანი 67), ნინუა, მახვილაძე, ა. სახვაძე (რევაზიშვილი 68), შ. ჩომახიძე, კვარაცხელია, ყიფიანი, გემეზაშვილი (ალექსიძე 69), ლ. მელქაძე (მეგრელაძე 64), გ. შენგელია (აშვეთია 69)
**გაფრთხილება:** მახვილაძე (37), ალექსიძე (82)
**მსაჯი:** ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

# ლანდი სინათლეზე

**ხვიჩა სანიკიძე**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ალბანელ თანატოლებთან შეხვედრის წინ, გუშინ, შეკრებაზე გადავიდა და საწვრთნელ-ამხანაგური მატჩიც გამართა თბილისის „მერანთან“. თუ ადრინდელი მზადების პერიოდში ჩვენს ნაკრებს „ვაკე-91“ უწევდა სპარინგ-პარტნიორობას და, რა თქმა უნდა, მედგარ წინააღმდეგობასაც ვერ უხერხებდა, ახლა შედარებით ძლიერი მეტოქე აირჩიეს და უნდა ითქვას, რომ სრულიად ახალბედა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა მერანელებმა ტოლი არ დაუდეს მოწინააღმდეგეს. სხვადასხვა ტრავმის გამო ტრანსპორტელებს რამდენიმე ძირითადის მოთამაშე აკლდათ, ნაკრებმა კი იგივე მიზეზით მუჯირი მოისაკლისა. თუმცა, როგორც გიგლა იმნაძემ გვითხრა, მუმუ 4 სექტემბრისთვის მწყობრში იქნება. ასევე ვერ ვიხილეთ დარასელია, რომელიც გუშინ შემოუერთდა თანატოლებს. ხოლო რაც შეეხება კიდევ ერთ ლეგიონერს, ბელგიის „სტანდარდში“ მოთამაშე ლაშა ჯაკობიას, იგი თურმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში მიუწვევიათ და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა ამ მოტივით თავი შეიკავეს ლაშას საალბანეთოდ გამოძახებისგან.

„სინათლეზე“ თამაშის სანახავად არც თუ მცირერიცხოვანი მაყურებელი და ქართული ფეხბურთის უამრავი სპეციალისტი მოვიდა. თითქმის ყველას აინტერესებდა თამაშის დროს რას მოიმოქმედებდა ნაკრების მწვრთნელ-კონსულტანტი იტალიელი რობერტო ლანდი. შორტებში გამოწყობილი ტანმაღალი რიმინელიც გრძნობდა ყურადღებას და იტალიური ემოციური ხასიათის მიუხედავად, მეტად დინჯად წარმართავდა თავის საქმიანობას. ლანდის გვერდს უმშვენებდა მილანის „ინტერის“ ფიზიკური მომზადების ერთ-ერთი მრჩეველი მასიმო კაპანი და, რა თქმა უნდა, ჩვენებური თარჯიმანი.

რაც შეეხება თვით მატჩს, იგი საინტერესოდ წარიმართა. თავიდან მერანელები აქტიურობდნენ და სახიფათოდაც უტევდნენ, მაგრამ 21 წლამდელებმა მალევე შეძლეს თამაშის გათანაბრება. პირველი ბურთი კი, მაინც გაბელიას კარში აღმოჩნდა. აბრეზას ჩაწოდებულ საჯარიმოს დევიძე დაუხვდა. მისი თავური მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ კვლავ დევიძემ დაამატა თავით და მეკარეს შანსი აღარ დაუტოვა. ზუსტად ორ წუთში მელქაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ჩომახიძემ ულამაზესი დარტყმით გოლად აქცია და ანგარიშიც გაათანაბრა.

შესვენებაზე ლანდი აქტიურობდა. მან დეტალებში აუხსნა თავის შეგირდებს, თუ რა უნდა ეკეთებინათ და აჩვენა კიდეც მათ, როგორი პასები უნდა გაეჭრათ და როგორი ეშმაკური ხერხი ეხმარათ მოწინააღმდეგე გუნდის წევრების მიმართ, თანაც დაარიგა — მსაჯს კი ნუ უყურებთ, ბურთს არ მოაცილოთ თვალიო.

მეორე ტაიმში ლანდის შეგულიანებულმა გემეზაშვილმა და შენგელიამ კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა მეორე ბურთი გაუტანა ლომაიას. აქ კი ყველას ეგონა, რომ ნაკრები კიდევ დაწინაურდებოდა და ანგარიშიც მალევე გაიზრდებოდა. მაგრამ მერანელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და 62-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან პირისპირ შეჭრილმა ხუციშვილმა თავზე გადაუგდო ბურთი გაბელიას, რომელსაც დავითნიძემ ვეღარ მიუსწრო.

ამ გოლის შემდეგ რობერტო ლანდიმ თამაშში გამოცდილი გვარდია ჩართო, მაგრამ მიუხედავად აშვეთიას, მეგრელაძის, ალექსიძის, ჩხეტიანისა და რევაზიშვილის მონდომებისა ამ მატჩში მეტი გოლი ვეღარ ვიხილეთ და მეტოქეებიც მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს.

ნაკრების თამაშში უამრავი ხარვეზია, მაგრამ მთავარ პრობლემად მაინც დაცვის ხაზი რჩება. ორივე გაშვებული ბურთი დამცველთა პოზიციურ შეცდომას მოჰყვა. ასე რომ, ამ რგოლში ლანდის ბევრი სამუშაოს ჩატარება მოუწევს.

თბილისი
29 აგვისტო
17 საათი
სინათლე
1500 (ტევადობა 2000)

**მერანი 1:1 გორდა**

0:1 ჩუხუა (79), 1:1 ქორიძე (90პ)
**მერანი:** ნაჭყეპია, ჭინჭარაული, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (გ. კვეტენაძე 72), გელა ქორიძე, ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ლომაია, ჯიშკარიანი, ბაჯელიძე, ე. ალადაშვილი, დევიძე, ადეიშვილი
**გორდა:** მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე (მჭედლიძე 46), ზ. ლაბაძე (ჩოხელი 55), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, შ. კაპანაძე, ლ. ალადაშვილი, დ. მენთეშაშვილი, ბიჭიაშვილი
**გაფრთხილება:** მჭედლიძე (88)
**მსაჯები:** ლ. რაზმაძე (გორი), ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ზ. დარჩია (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

# გორდას არ სწყალობენ?

**გიორგი ვაშაკიძე**

მას შემდეგ რაც „მერანი" პირველ ჯგუფში ალზევდა, ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე ყოველი ტურის შეხვედრაზე თუ არა, დროგამოშვებით მაინც სკანდალური ამბის მომსწრენი ვხდებით. გავიხსენოთ შარშანდელი ჩემპიონატის მატჩები აქვე ზღვისპირელებთან. თუკი მაშინ ძირითადად ამრევები უფრო ტრანსპორტელთა გულშემატკივრები იყვნენ, რისთვისაც თუ გახსოვთ „მერანმა" ქულების ჩამოკლებითაც იზარალა, მეოთხე ტურის შეხვედრაში მათი როლი რუსთაველებს დაეკისრათ, თუმცა ალბათ სამართლიანადაც. ძირითადი მიზეზი კი შეხვედრის მთავარი მსაჯი ლავრენტი რაზმაძე გახლდათ. სწორედ რაზმაძე აღმოჩნდა მთავარი შემოქმედი, აქ მხოლოდ საეჭვოდ დანიშნულ პენალტს არ ვგულისხმობთ, ხისტ, უხეშობის ზღვარზე მისულ თამაშში მან მხოლოდ ერთადერთხელ გაიკრა ჯიბეზე ხელი, ისიც მისადმი არდამორჩილებული და სიტყვიერად შემპასუხებელი მჭედლიძე გააფრთხილა, ცალკეულ ეპიზოდებშიც არასათანადო პრინციპულობას იჩენდა, მაშინ როდესაც ერთ-ერთ მომენტში, რუსთავში დაბრუნებული და წლევანდელ სეზონში პირველად მოთამაშე ჯუბა ჩუხუა ცდილობდა მცველისთვის გაესწრო და მეკარესთან პირისპირ დარჩენილიყო, მოცელილ იქნა, აქ თანამსაჯმა შალამბერიძემ ჯარიმის მანიშნებელი ალამი აწია, ხოლო მას რაზმაძემ ყურადღებაც არ მიაქცია. რა თქმა უნდა, არავინაა უცოდველი და მით უმეტეს მსაჯი, მაგრამ ფეხბურთელი, რომ გეტყვის ხელზე მოხვდაო, წამიერი შეყოვნების შემდეგ კი თერთმეტმეტრიანს ნიშნავ...

ერთსაც აღვნიშნავთ, „გორდას" ასე მწვავე პროტესტს, ალბათ სამართლიანადაც, ფედერაციის წარმომადგენლებიც გამოექომაგნენ, რის შემდეგაც უსიამოვნებაც კი მოხდა „გორდას" პრეზიდენტ ვალერი ქოქიაშვილსა და ბადრი ქარქაშაძეს შორის, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

როგორც იცით წყალტუბოში მომხდარი ინციდენტის გამო „გორდას" თავკაცმა იასონ ალადაშვილმა ორმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი და თავის შეგირდებზე თვალის დევნებაც მაყურებლის როლში უწევდა, თუმცა არც აქედან აკლებდა შეძახილებს, გუნდი კი მისმა თანაშემწემ მურმან გოგოლაძემ გაიყვანა მოედანზე. რეალური საგოლე მომენტი რასაც ეთქმის, პირველად მე-17 წუთზე შეიქმნა, როდესაც ვარლამ კილასონია ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, დარტყმა ნაჭყეპიამ ფეხით მოიგერია, იქვე გადმოვარდნილს ლაბაძე ამატებდა, მაგრამ ვერ ივარგა. მანამდე კი აბრეზა გაძვრა ორ მცველს შუა და გელა ქორიძეს უპასა, გელას ძლიერად გასროლილი, მისმა მოგვარემ კუთხურზე გადააგდო. ბოლო წუთი მიმდინარეობდა „მერანმა" გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი დაკარგა. დავითაშვილის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი, კარიდან გამოსულ ქორიძეს ხელიდან გაუვარდა და იმის მაგივრად რომ მასპინძლებს კარში გადაეგზავნათ, ხუციშვილმა და მესხმა გაითამაშეს გოლის გამტანად კი მირიან გეწაძე ამოირჩიეს, ამან როგორღაც მოახერხა და ბურთი კარის ჩარჩოს მაგივრად ღრუბლებში გაგზავნა.

მე-80 წუთზე ჯუბა ჩუხუამ გუნდში დაბრუნება იშვიათი სილამაზის გოლით აღნიშნა. მან საჯარიმოდან ოდნავ მოშორებით მიიღო თუ არა ბურთი, დაუფიქრებლად, ტყვიასავით გაისროლა და ნაჭყეპიასგან შორეულ მარჯვენა ცხრიანში შეჭედა. გაშვებული ბურთის შემდეგ ტრანსპორტელები თითქოსდა გამოფხიზლდნენ, მაგრამ სტუმრები ყოველგვარი ნერვების დაუძაბავად, მშვიდად ართმევდნენ ყოველივეს თავს. როდესაც მსაჯის მიერ დამატებული დრო მიდიოდა, არბიტრმა რაზმაძემ ერთობ საეჭვო სიტუაციაში ხელით თამაშისთვის რუსთაველთა კარში პენალტი დანიშნა. ამან კი რუსთაველები გაანაწყენა და პროტესტი ენერგიულადაც გამოხატეს, მსაჯს მთელი გუნდით შემოეხვივნენ და ხელითაც კი შეეხნენ. გელა ქორიძემ კი ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა, ამ სეზონში თავისი პირველი გოლიც გაიტანა და თავისიანებს მესამე ქულაც შემატა.



გურამ წულუკიძის ფოტო

ალადაშვილის უსწრაფეს გარღვევებს ქორიძე სარმებით უმასპინძლდებოდა

გორი
29 აგვისტო
17 საათი
ცენტრალური
2000 (ტევადობა 8230)

**დილა 2:1 კოლხეთი**

1:0 კაიდარაშვილი (26), 1:1 კალანდაძე (33), 2:1 მარეხაშვილი (45)
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, ხ. გაგნიძე, გ. ჩიტაია, მარეხაშვილი (შატაკიშვილი 86), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, თაყაძე, ახალკაცი (ბ. ჩიტაია 46)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, აკოფიანი, დ. მაისურაძე, გუდურაშვილი, მოსულიშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, პაპავა, ტორჩინავა, ახვლედიანი (ლალანიძე 75), გიორგობიანი, გოროზია, სუხიაშვილი, კალანდაძე, გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე (შავგულიძე 78)
*სათადარიგონი:* ჩემია, ბაჩილავა, ქუნთელია, კრასოვსკი
**გაფრთხილება:** გ. ჩიტაია(2), თაყაძე(12), გვასალია(36), წივწივაძე(48), ფეზუაშვილი(48) გოროზია(51), ბ. ჩიტაია(86), პაპავა(88),
**გაძევება:** ციცქიშვილი (55)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

# ასი ლარი კოლხთა წაქცევისთვის

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

ბოლო წლებია, კოლხებისთვის „დილა" აუღებელ ციხესიმაგრედ ქცეულა. მუდამ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ ფოთელებს ჩემპიონატში ყველაზე მეტად სწორედ გორელები ამწარებენ. „კოლხეთი", ეტყობა, ჯერაც ვერ გამოსულა ცრვენასეული შოკიდან. აშკარაა, ფილიას გუნდი სამკურნალო გამხდარა, თანაც სასწრაფოდ, თორემ მოგჭამათ ჭირი ევროტურნირებზე ოცნებამ.

კოლხები გორს დიდი ამბიციებით ეწვივნენ, რათა ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ ჩემპიონატის არცთუ სახარბიელო დასაწყისი ოდენ შემთხვევითობის ბრალი იყო... „დილას" თავკაცებმაც კარგად უწყოდნენ საქმე ვისთან ჰქონდათ და საბრძოლველად შემართული ბიჭებისთვის სახელდახელო დამატებითი სტიმული მოიგონეს. გამარჯვების შემთხვევაში თითოეული ფეხბურთელი ას-ას ლარს მიიღებდა.

მატჩის უმეტესი დრო ფოთელთა შეტევებში გაილია. ძალობდნენ სტუმრები, ხშირად აწუხებდნენ მასპინძელთა დაცვას, მაგრამ მახვილგონივრული კომბინაცია მხოლოდ ერთხელ გაითამაშეს. დანარჩენ შემთხვევაში ისინი არაორგანიზებულად, ქაოსურად მოქმედებდნენ.

მატჩი მეტად ხისტი ბრძოლით დაიწყო, რომელიც თანდათან უხეშობაში გადაიზარდა და ფანიაშვილსაც რა დარჩენოდა, აფრიალა წითელ-ყვითლები.

მასპინძლებმა კონტრიერიშები ირჩიეს, სადაც მათ სულისჩამდგმელად კაიდარაშვილი გვევლინებოდა. ალეკო წუთით არ ასვენებდა შეცდომებით მოთამაშე სტუმართა დაცვას.

ტაიმის შუაწელი იყო, მარეხაშვილმა მოედნის ცენტრში ფოთელთა გადაცემა რომ ჩაჭრა და ბურთი მყისვე ციცქიშვილს გადასცა. ჩეკამ ერთი შეხებით კაიდარაშვილს მიაწოდა. ქვაჩახიასთან პირისპირ გასულმა ახლო კუთხეში გაიტანა.

ამის შემდეგი ათი წუთი „კოლხეთმა" ძველებური ფეხბურთი ითამაშა. გვასალიამ და წივწივაძემ ერთადერთი შეცდომა დაუშვებინეს გორელთა დაცვას. საჯარიმოსთან მიტოვებულ კალანდაძეს კი საბოლოო დარტყმა არ გაუცუდებია.

ტაიმის ბოლოს ისევ ფოთელთა დაცვამ აურია. ფლანგზე გაჭრილი გიორგი ჩიტაია გაეპარათ. მისი ჩაწოდებული თითქოს მეკარისთვის უსაფრთხო ზონაშიც ვარდებოდა, მაგრამ ქვაჩახია გამოენთო და დაისაჯა კიდეც. თაყაძემ მეკარეს საჰაერო დუელი მოუგო, ბურთს კი მრავლისმნახველმა და უბერებელმა მარეხაშვილმა სასურველი მისამართი მისცა.

სიტუაცია 50-ე წუთიდან დაიძაბა, როცა ფანიაშვილს ურთულესი სამწუთეულის უსაფრთხოება [illegible] მხოლოდ [illegible] თუ შეიძლება [illegible] არბიტრს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩვეულებრივ სიტუაციაში ახვლედიანმა წაიხულიგნა. ახალშემოსულ ჩიტაიას, მსაჯისგან მალულად, ფეხი წამოჰკრა. ბურთი იქვე დატრიალდა, ხოლო ფეხბურთელებმა ერთმანეთს ლეწვა დაუწყეს. მანამ არ გაჩერდნენ, სანამ ციცქიშვილმა სუხიაშვილს საშინლად არ ჩასცხო. მერე მონასტერიც აირია. კოლხები თანაგუნდელს გამოექომაგნენ, ციცქიშვილიც გაზონზე აღმოჩნდა. მინდორზე ფეხბურთელთა დასაშოშმინებლად მწვრთნელებიც გავიდნენ და ინციდენტიც ორიოდ წუთში ჩაქრა. მხოლოდ გორელები დარჩნენ უმცირესობაში. ფანიაშვილმა სამართლიანად უფეშქაშა წითელი ბარათი მეამბოხე ციცქიშვილს.

თითქოს მატჩის ბედიც ამან გადაწყვიტაო, ყველანი კოლხთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფოთელებმა ხვიჩა გაგნიძეს და მასპინძელთა შეკრულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

პრობლემებს ჩვენში რა დალევს. ალბათ, ფილიაც წამოაყენებს ფეხზე „კოლხეთს", მაგრამ ერთი რამ ცხადია — გორელებს მეტად პერსპექტიული და დღითიდღე მზარდი გუნდი შეუკრებიათ. „კოლხეთს" ახალგაზრდა ბიჭები მხოლოდ მონდომების ხარჯზე ვერ წააქცევდნენ.



გურამ წულუკიძის ფოტო

არეულობა გორში: ციცქიშვილი მოჭრილი კუნძივით გაიშოტა

თბილისი
30 აგვისტო
17 საათი
შევარდენი
500 (ტევადობა 10 000)

**დინამო 8:1 სიონი**

0:1 მოსეშვილი (13), 1:1 ხომერიკი (22), 2:1 ალექსიძე (35), 3:1 ხომერიკი (43), 4:1 ცქიტიშვილი (45), 5:1, 6:1 შენგელია (59, 62), 7:1 მელქაძე (69), 8:1 ალექსიძე (73)
**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე (ა. სახვაძე 61), ჯელაძე, დიდავა, გუჩუა, მიქაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (ლ. მელქაძე 57), ცქიტიშვილი, ხომერიკი (შენგელია 57)
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, კვარაცხელია, ზ. არჩვაძე, ქემოკლიძე
**სიონი:** დალაქიშვილი, დ. სვანიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე (ქობელაშვილი 46), გაგუა (პოზოიანი 71), მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე 46)
*სათადარიგონი:* დ. ბერიძე
**გაფრთხილება:** ცქიტიშვილი (9)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ჩუხუა

# ნუ გაუტანთ დინამოს!

**კონსტანტინე გოგიშვილი**

აუჰ3! თქვენი არ ვიცი და მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება — წლევანდელ სეზონში „დინამოსთან" თამაშს ცეცხლთან თამაში ჯობია. არც ის ვიცით, რა ცეცხლი შეუნთო ხურცილავამ თავის შეგირდებს, მაგრამ მარადი ჩემპიონი რომ ალარავის ინდობს — ნათელია. სამი სასტარტო შეხვედრა, სამი დიდი ანგარიშით გამარჯვება, ბურთების შეფარდება 18:3 — კალათბურთია, მა რა ჯანდაბაა!

უკვე სამი თამაშია, „დინამო" პირველი უშვებს ბურთს, მერე აიწყვეტს და გაგიხარიათ, ამოავსებს მეტოქეთა კარებს. ასე იყო არმიელებთან, ასე იყო ტრანსპორტელებთან და აჰა, ბოლნისელებთანაც ასე იყო. ეტყობა, ჩვენთვის ავადსახსენებელ პირველი გოლის ფაქტორს „ამულამებინებს კალისტრატოვიჩი" ბიჭებს. მათ ღმერთმა ხელი მოუმართოთ, თქვენ ის გვითხარით, ჩვენ რა გვეშველება. რა გითხრათ და როგორ გადმოგცეთ იმ თამაშის პერიპეტიები, რომელიც 8:1 მორჩა. სანამ მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, ერთ რჩევასაც მივცემთ იმ ქართულ გუნდებს, ვინც ჯერ არ შეხვედრია ჩემპიონს — ნუ გაუტანთ „დინამოს"! ნუ გაუტანთ და თქვენც მოისვენებთ და ჩვენც.



გურამ წულუკიძის ფოტო

ხომერიკმა ისევ დუბლი გააკეთა

მატჩის აღწერას კი იმით დავიწყებთ, რომ შეხვედრა არა ეროვნულზე, არამედ „შევარდენზე" გაიმართა. მოგეხსენებათ, „პაიჭაძე" კოხტავდება, რათა ალბანელებთან ეროვნული ნაკრების სახუთსექტემბრო შეხვედრას ფორმაში შეხვდეს (იქნებ ნაკრებიც). ამ ადგილმონაცვლების ბრალი თუ იყო, მცირერიცხოვანი მაყურებელი დაესწრო თამაშს და მათ შორისაც ჟურნალისტები და ბავშვები უფრო სჭარბობდნენ. აბა ვიპ-ლოჟას „შევარდენზე" რა უნდა, თორემ ახალგაზრდული ნაკრების კონსულტანტს, რობერტო ლანდისაც შეავლებდა ხალხი თვალს. ისე კარგი ჯეელი კი ჩანს ეს „იტალიანო", უბრალო, უშუალო და ავლაბარშიც ისე დაალაჯებდა, გეგონება ჭიპი აქ ჰქონდეს მოჭრილი.

თამაში, როგორც ველოდით, „დინამოს" შეტევით დაიწყო, ჯერ ხომერიკის თავური, მერე ალექსიძის „დახოხებული" ასცდა კარს. ბოლნისელებმა გაუძლეს და თემურ სამხარაძის აქტიურობით გვარამაძეც კი შეაწუხეს ერთი ორჯერ. მზე უსაშველოდ აჭერდა და დინამოელთა თავგამოდებაც ოდნავ შენელდა. თითქოს ამას ელოდაო მარცხენა ფლანგზე ბურთი მოიპარა თემურ სამხარაძემ, გადასცა ჯაფარიძეს, მისი ჩაწოდებული გაგუამ გაატარა და პენალტის ნიშნულთან მარტოდმარტო მდგომმა მოსეშვილმა მშვიდად გაუტანა გვარამაძეს. ეს ყოველივე მე-13 წუთზე მოხდა და ნათელი იყო „დინამოც" მიიღებდა გამოწვევას.

თავს არ შეგაწყენთ გოლებისა და სახიფათო მომენტების აღწერით. ანგარიში თავად მეტყველებს ყოველზე. „სიონი" პირველი ტაიმის შუაგულისთვის დადგა და რვა ბურთიც მიიღო 22-დან 73-ე წუთამდე (საშუალოდ ექვს წუთში ერთი გოლი). ბურთები კი ორორჯერ ალექსიძემ, ხომერიკმა და შენგელიამ, თითოჯერ ცქიტიშვილმა და მელქაძემ გაიტანეს.

თუ ასე განაგრძო ხომერიკმა (ორი გოლი მატჩში), იგი საუკეთესო მეგოლის ტიტულს (ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში) სეზონის რეკორდსაც დაუმატებს, სადღაც 22-ე ტურისთვის.

91-ე წუთზე დოგრაშვილმაც კეთილსინდისიერად დაუსტვინა, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა პირველი ტაიმის მერეც დამთავრებულიყო შეხვედრა, ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

ქუთაისი
30 აგვისტო
17 საათი
გივი კილაძე
6000 (ტევადობა23800)

**ტორპედო 3:3 ბათუმი**

0:1 სიჭინავა (16), 1:1 ჯანაშია (29), 2:1 მეგრელაძე (46), 3:1 იონანიძე (54), 3:2, 3:3 ტულუში (65პ, 71)

ტორპედო: ასლანაძე (მამარდაშვილი 46), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 32), პ. ჯინჭარაძე, იონანიძე, ჩხეტიანი (ჩხაიძე 73)

*სათადარიგონი:* თურმანიძე, ყიფიანი, კ. მეტრეველი

ბათუმი: ტოგონიძე, სიჭინავა, თორლაშვილი, ღლონტი, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი (კანტიძე 35, ფუტკარაძე 85), მ. მახარაძე, პაპიძე, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია (აფხაზავა 53)

*სათადარიგონი:* მალაყმაძე, გადელია, მაქაცარია, რომანაძე

გაფრთხილება: რუსია (30), ჯანაშია (57), მეგრელაძე (68), მახარაძე (76), ტულუში (79)

გაძევება: პაპიძე (25)

მსაჯები: ა. შილაკაძე, ი. კახიანი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

# სასწაული არ ხდებაო?..

ქულა ჩაიწერა აქტივში, თანაც ზღვისპირელები იმერეთს თასების თასზე იუგოსლავურ „პარტიზანს“ ახალგამოვლილები ესტუმრნენ. მასპინძლები პირიქით, მეტოქეს ქულათა ასპროცენტიანი მარაგით და კარგად დანასვენებნი, თამაშს მოწყურებულნი დაუხვდნენ...

შეხვედრა წუთის დაწყებული გახლდათ, ტორპედოელებმა სტუმრებს რომ ანიშნეს, ფრთხილად იყავითო. ტოგონიძის კართან პირველ კუთხურს უმალ მეორეც მოჰყვა. ჯანაშიამ მარჯვნიდან ჩააწოდა. ჯინჭარაძე მაღალ ნახტომში მიწვდა ბურთს და ძლიერი თაურით კარისკენ გაგზავნა, თუმც არაზუსტად. ბათუმელებმა გამოწვევა მიიღეს და ბურთაობაც სანაქებო გაჩაღდა. მე-8 წუთზე მასპინძლები აშკარად გადარჩნენ. საჯარიმო ხაზთან ახლოს ერთ-ერთმა ქუთაისელმა მაჭუტაძე წააქცია. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გუნდს შემატებულმა თორლაშვილმა ჩვეულ სტილში შეასრულა საჯარიმო. უძლიერესი დარტყმა წინ აღმართულ „კედელს“ გასცდა და ასლანაძის იღბლად, მისგან მარჯვენა ძელს მოხვდა. რამდენიმე წუთში ჯანაშიამ შორიდან დაარტყა, მაგრამ ხარიხას ოდნავ ააცილა. სტუმრები ამ გამოძახილსაც შეეპასუხნენ. ცენტრიდან შეუტიეს. სიჭინავამ 20 მეტრიდან ანაზდად დაარტყა მასპინძელთა კარისკენ. ასლანაძე მზად არ იყო არცთუ რთული ბურთის ასაღებად, ნახტომი ამაო გამოუვიდა და ანგარიშიც გაიხსნა. „ბათუმს“ კარგი სტიმული მიეცა და უფრო დინჯად ათამაშდა, მაგრამ ათიოდე წუთში ზღვისპირელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. გუნდი პაპიძემ დააღალატა. ფლანგზე გაჭრილ ჯინჭარაძეს რომ ველარ ეწეოდა, მოიერიშეს უკნიდან ფეხი გამოსდო. შილაკაძე ულმობელი იყო. დამნაშავე გააძევა. ტორპედოელებმაც დრო იხელთეს, სტუმრებს ტემპში, დიდი ძალებით შეუტიეს და მალევე გააყაიმეს. იონანიძემ ზუსტი პასით ჯანაშია გაიყვანა გარღვევაზე, დათომაც ივარგა.


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ჩხაიძე, ქებაძე, თურმანიძე, მეტრეველი, მამარდაშვილი, მეგრელაძე და ყიფიანი. აბა, ასეთი სამარქაფოებით ვინ დაიკვეხნის, მაგრამ რად გინდა?...

საჯარიმოში შეჭრილმა პენალტის ნიშნულიდან აუღებელი დაურტყა ტოგონიძეს. ბურთი ქვემოდან მოხვდა ხარიხას და ბადეში ისე შევარდა. ახლა კი ათამაშდნენ მასპინძლები! შესვენებამდე მათ დაწინაურების სულ მცირე ოთხი ჩინებული შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. იონანიძემ ზედიზედ სამჯერ ააცილა, ერთხელაც ჯანაშიას ტოგონიძემ აუღო.

სტუმართა კართან ცოდვა-მადლის გაკითხვა მეორე ტაიმის 15 წუთშიც გაგრძელდა. „პარტიზანთან“ ბათუმელთა ბელგრადული მატჩი ხომ გახსოვთ. „ტორპედოს“ ზღვისპირელები იმაზე უარეს დღეში ჰყავდა. მეორე ბურთი მეგრელაძემ თამაშის განახლებისთანავე გაიტანა. მცველებს განდაგან ჩაუარა, დასარტყმელად მოირგო და 15 მეტრიდან ისე გაისროლა. ბურთი ძელიდან აღმოჩნდა ბადეში. მერე მაღლაკელიძეს, ჯანაშიას, კვეტენაძეს, იონანიძეს აუცდათ. მეგრელაძეს „დუბლის“ გაკეთებაში ჯერ ხარიხამ შეუშალა ხელი, მერე ტოგონიძემ. მაგრამ ბათუმელთა კარში მესამეც მალე გავიდა: ჯანაშიას მიერ წამოწყებული იერიში ჩხეტიანმა გააგრძელა, რომელმაც ზუსტად მიაწოდა იონანიძეს. „ბათუმს“ განსხვავება დაემუქრა. გუნდი დაბლილ-დემორალიზებული ჩანდა, მაგრამ... არავინ თქვას, სასწაული არ ხდებაო, ზღვისპირელებმა თამაში შემოაბრუნეს, რაშიც მათ არბიტრიც წაეხმარა. ქუთაისელ მცველებს შორის მოქცეული სტუმართა კაპიტანი მახარაძე საჯარიმოში რომ წაიქცა, შილაკაძემ მეტად საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, ტორპედოელები დაადანაშაულა. „ბათუმმა“ ეს საჩუქარი შეირგო, ტულუშმა პენალტი ზუსტად დაარტყა. სტუმრებს მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ. მორიგი კონტრშეტევა და ტულუშმა ერთხელაც ისარგებლა მომენტით. საჯარიმოს კუთხეში უმეთვალყუროდ დარჩენილმა დაახლოებით 15 მეტრიდან ტორპედოელთა კარის შორეული ძელისკენ დაარტყა. მამარდაშვილი ნახტომში კი მიწვდა ბურთს, მაგრამ შეჩერებით ველარ შეაჩერა, ბურთიც ძელიდან შეგორდა კარში.

მასპინძლები დაიბნენ, ველარ დალაგდნენ. კაცნაკლულმა მეტოქემ ერთხანს ბურთიც „დაუმალა“ „ტორპედოს“. მიუხედავად ამისა, ქუთაისელებს მაინც შეეძლოთ მოგება. 86-ე წუთზე ტულუშმა საკუთარ მეკარეს დაურტყა თაური, ტოგონიძემ, სასწაულებრივი თაურითვე ზედა კუთხიდან გამოიტანა ბურთი. ბოლოს მეგრელაძემ ერთი ასპროცენტიანი შანსიც გაუშვა ხელიდან.

კიდევ რა. შილაკაძემ მეორე ტაიმს ოფიციალურად 5, არაოფიციალურად კი 8 წუთით გადაამეტა.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

ქუთაისელ და ბათუმელ ფეხბურთელთა შეხვედრებს ინტერესი არც არასდროს აკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ტორპედო“ მოძლიერდა, მათი პაექრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. გუშინდელ თამაშსაც დიდი ინტრიგა ახლდა. ეროვნული ჩემპიონატის წინა სამ ტურში ვიცე-ჩემპიონმა მხოლოდ ქულა ჩაიწერა აქტივში...

წყალტუბო
29 აგვისტო
17 საათი
26 მაისი
1000 (ტევადობა 12000)

**სამგურალი 0:1 თსუ**

0:1 კობიაშვილი (56)

სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოლუაშვილი (ზ. ქუთათელაძე 65), დ. ჭელიძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე (უგულავა 46), დარსაძე, ფაიქიძე, თევდორაძე, ძაგნიძე (ჯავახაძე 72)

*სათადარიგონი:* ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ფილიპაშვილი

თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (ნინუა 46), ცომაია, კაკუბავა (ვ. ლუდუშაური 88), მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (კ. სვანიძე 78)

*სათადარიგონი:* მერლანი, ჭიაბრიშვილი, ო. სულაძე

გაფრთხილება: თევდორაძე (62), ზამთარაძე (62), ილურიძე (85)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში)

სფფ-ს დელეგატი: მ. იაშვილი

# მადლობა... ძელ-ხარიხას

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

სასტარტო მატჩებში ხელმოცარულ და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაშვებულ თსუ-ს ამჯერადაც მძიმე მატჩი ელოდა... აბა, გავიხსენოთ. შარშან არ იყო, მასპინძლებმა გალიდერებულ სტუდენტებს ჩემპიონატში პირველი მარცხი რომ აგემეს? წყალტუბოელები მაშინ არ შეეპუენ მეტოქეს და ახლა რაღა უნდა დადგომოდათ წინ. ასეც იყო, „სამგურალი“ მოედანზე მოსაგებად გამოვიდა. თსუ-ს კი უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს რომ არაფერს დაუთმობდა, საწყის წუთებზევე გახდა ნათელი. მთლიანობაშიც ასე გამოვიდა — ორივემ თავდაუზოგავად იბრძოლა და ბევრი ოფლიც დაღვარა. მართალია, თამაში თავის შინაარსით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მაგრამ მოთამაშეთა ჟინი და შეუპოვრობა მათსავე ოსტატობის სინაკლულეს დროდადრო მაინც ფარავდა. წყალტუბოელები თავიდანვე კი დაეუფლნენ ინიციატივას, ისინი უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს და სტუმართა საჯარიმომდე მრისხანენიც ჩანდნენ, მაგრამ ყველაფერი სწორედ აქ მთავრდებოდა. საჯარიმოს მიახლოებულები, შეტევის გაგრძელებას, როგორც წესი, ველარ ახერხებდნენ. სტუმრები უფრო კონტრდარტყმის იმედად იყვნენ. მე-10 წუთზე კაკუბავას გადაცემით წიტაიშვილი მეკარესთან პირდაპირ გადიოდა, მაგრამ ბურთი შორს გაიგდო და სტურუამ დარტყმა არ აცადა. ცოტა ხანში ზამთარაძემ ითამაშა კარგად, მარჯვენა ფრთიდან „სამგურალის“ საჯარიმოში შესულმა პარტნიორებს მეკარის ბაქანში ჩაუწოდა, ამათ კი ვერ იხეირეს. მე-20 წუთზე ჭუმბურიძის ძლიერი შორეული დარტყმა სტურუამ უვნებელყო.

საკმაო სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებმა მეტოქეს ხიფათი მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეუქმნეს. დარსაძე ორ მცველს დაუსხლტა საჯარიმოს კუთხიდან ახლო კარში დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა (მანამდე ფაიქიძეს შეეხო), იქედან გადმოვარდნილს უკვე ფაიქიძე დაუხვდა, გატანასაც, თითქმის, აღარაფერი უნდოდა, მხოლოდ ბურთზე ფეხის წაკვრა, მაგრამ წყალტუბოელი შეყოვნდა, დასარტყმელად მოირგო და... ხარიხა შეაზანზარა. „სამგურალმა“ ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. ამას უმალ მასპინძელთა საჯარიმოსკენ წიტაიშვილის ელვისებური გაჭრა მოჰყვა და აქ წყალტუბოელები გადარჩნენ. მოიერიშემ კარს ააცილა.

თამაში შესვენების შემდეგაც იგივე ხასიათისა იყო. წყალტუბოელები ბევრს და უსარგებლოდ უტევდნენ. მათი ეული ფორვარდი ფაიქიძე ჩვეულად მხოლოდ კარისკენ ზურგით მდგარი ითხოვდა ბურთს, ყველაფერი ეს სტუდენტებს ამოცანას უიოლებდა. და მაინც, იმერლები ორჯერ იყვნენ მიზანთან ახლოს. თამაშის განახლებიდან ხუთი წუთის შემდეგ უგულავამ დაახლოებით 15 მეტრიდან დაურტყა ბათიაშვილს და მეკარემ იმარჯვა, ხოლო თამაშის დამთავრებას ხუთი წუთი რომ აკლდა, უგულავას პასით თევდორაძე აღმოჩნდა უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში და კარისკენაც გაისროლა. ისევ ბათიაშვილმა ივაჟკაცა. ამ ორ ეპიზოდს შორის საინტერესო რა მოხდა? ის, რომ სტუმრებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს. კაკუბავამ მარჯვნიდან ჩააწოდა მასპინძელთა საჯარიმოში, მცველები დაიბნენ, სტუდენტთა კაპიტანს თავური აცალეს და კობიაშვილმაც შეასრულა, სტურუას დაუცველ კუთხეში დაურტყა. მერე წიტაიშვილს ანგარიშის გაორებაც შეეძლო. და კიდევ, მას შემდეგ, რაც თევდორაძე და ზამთარაძე წაკინკლავდნენ, თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა, „საქმის გარჩევა“ დაიწყო. დიდი არაფერი მომხდარა. ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა, ეგ იყო, კვარაცხელიამ მოკინკლავენი „გააყვითლა“.

მატჩის შემდეგ გაიოზ დარსაძემ და ოთარ გაბელიამ ერთმანეთი გადაკოცნეს... რაც თამაშისას იყვირეს და ინერვიულეს...


მამუკა დარჩიას ფოტო

გელა ძაგნიძეს ზაზა ზამთარაძესთან არაფერი გამოუვიდა

ლანჩხუთი
29 აგვისტო
17 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
1 500 (22 000)

**გურია 1:2 ოდიში**

0:1 ენდელაძე (20), 1:1 ინიაშვილი (32), 1:2 კუტალია (40)

მელაძემ (40) და მახარაძემ (72) ვერ გაიტანეს პენალტები

გურია: გოგუა, ფაცურია (თიბილაშვილი 50), კაკაჩია, კუკულაძე, ი. ბუხრიკიძე, კავთელაძე (ლორია 50), ინიაშვილი, დ. მახარაძე, გიორგაძე, მელაძე, ბულუხია (პატარაია 50)

*სათადარიგონი:* ვარდანიძე, ზ. კვეკვესკირი, იობიძე, ჩიქვილაძე

ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ანჯაფარიძე (იოსავა 46), კუტალია (კაკულია 77), ბარქაია, ტაბალუა, ენდელაძე

*სათადარიგონი:* გოგია, ჯოჯუა, ჯაბუა, თოლორაია, აკობია

გაფრთხილება: ბარქაია (24), ბუხრიკიძე (36), მელაძე (38), ლორია (59), ნაყოფია (88)

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

# პენალტს აზრი დაეკარგა?!

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

„გურიაში“ კვლავ აირია მონასტერი. სეზონისწინა სამზადისში შეჭირვებულთ პირველ ტურებში პრობლემები შეუმცირდათ, მაგრამ ამ მატჩის წინ კვლავ დაშლის საფრთხე დაემუქრათ. ფეხბურთელებმა კუთვნილი თანხის დაუყოვნებლივ გადახდა მოითხოვეს და მატჩის ჩაშლით დაიმუქრნენ, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ამბიციები დროებით დაივიწყარეს.

არც ოდიშართ ულხინთ, მაგრამ ახალ მწვრთნელად სოსო ჭედია დაინიშნა და „ოდიში“ საქმეს შეუდგა. ჭედიას სამწვრთნელო დებიუტი გასულ შაბათს იყო დაგეგმილი, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო „ტორპედოსთან“ მატჩი არ გაიმართა და „ოდიშმა“ პირველი თამაში მისი თავკაცობით ლანჩხუთში ჩაატარა.

მატჩი ორივე გუნდმა თავისუფლად დაიწყო, პირველი ათი წუთიც საინტერესოდ წარიმართა. უკვე მე-4 წუთზე ინიაშვილის ათიოდ მეტრიდან არაზუსტი დარტყმის შემდეგ პირველი ხიფათიც იშვა სტუმართა კართან. ოდიშართაც უპასუხეს. ორიოდ წუთის ინტერვალში ორჯერ ცდილობდა ანჯაფარიძე გატანას, მაგრამ იქვე ინიაშვილმა დიდებული შორეული პასით დავით მახარაძე მოძებნა, რომელიც ბარქაიას მოხდენილად გაექცა, მეკარესთან პირისპირ შევიდა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და ნაყოფიამაც ადვილად აუღო. ამის შემდეგ გოლამდე არაფერი შექმნილა. აი, გოლი კი მე-20 წუთზე გავიდა, როცა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა გოგუამ — უხეიროდ მოგერიებული ბურთი ენდელაძეს ჩააბარა, მანაც მოულოდნელი ძლვენი ჯეროვნად შეირგო და გოგუას თავისი შეცდომის ნაყოფი მწარედ აგემა.

გაშვებულმა გოლმა გურულები საკმაოდ გაააქტიურა, რასაც შედეგიც მოჰყვა. ინიაშვილმა საჯარიმოს მარჯვენა კიდის სიახლოვეს მიიღო ბურთი და დაარტყა. ბურთი ოდიშარ მცველებს შუა გაძვრა და კარში აღმოჩნდა. რვა წუთში მასპინძლებს დაწინაურების შანსი მიეცათ, როცა საჯარიმოში გიორგაძემ მოხდენილი ფინტით ტაბალუა გააცურა და ასკაროლლის პენალტის ნიშნულისკენ გააშვერინა ხელი. პენალტი საეჭვოდ ჩანდა და, ბუნებრივია, მსაჯი ზუგდიდელთა ალყაში მოექცა, მაგრამ ამაოდ. ისე, ვინ თქვა, პენალტი გატანის ასპროცენტიანი შანსიაო. ნურას უკაცრავად, გურულების შემხედვარე კაცი იფიქრებს, ეს ჩვეულებრივი, რიგითი საგოლე მომენტია და მეტი არაფერიო.

ალბათ გახსოვთ, წინა ტურში გიორგაძემ კოლხებს ვერ გაუტანა და ამჯერად დარტყმა მელაძემ ითავა, მაგრამ ნაყოფიამ ჩინებულ ნახტომში აუღო. მეორე ტაიმში თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დავით მახარაძემ გაბედა მისვლა. რად გინდა, კვლავ ნაყოფიამ იმარჯვა და მატჩის გმირადაც ალალად მოინათლა, ხოლო გურულებს ბოლო ორ თამაშში სამი ვერგატანილი პენალტი დაუგროვდათ. ეს კი მეტისმეტია.

სტუმართა შორის ყველა ფეხბურთელი ნაყოფიერად გაისარჯა, მაგრამ განსაკუთრებით ენდელაძის თამაშია აღსანიშნავი. მან ბევრი საფიქრალი გაუჩინა მასპინძელ მცველებს. პირველ ტაიმში ზვიადი კი აქტიურობდა, მაგრამ თანაგუნდელებმა ჯეროვნად ვერ აუბეს მხარი და მარტო კაცის ამბავი ხომ იცით? აი, თამაშის განახლებისთანავე „ოდიში“ უფრო მობილური გახდა და ენდელაძემაც გაილაღა. ამას კუტალიას გააქტიურებაც დაემატა და ხიფათმაც აშკარად იმატა. სწორედ მათი ღვაწლის შედეგი იყო, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში კუტალიას ორჯერ მიეცა გატანის შანსი. პირველ შემთხვევაში გოგუა ხიფათს მედგრად დაუხვდა, მეორეში კი ველარაფერს გახდა. მარჯვნიდან ენდელაძემ იოლად შეაღწია გურულთა საჯარიმოში და კარის წინ ეულად მყოფ კუტალიას გაატანინა. ერთ წუთში შეიძლებოდა მატჩის ბედის იქვე გადაწყვეტა, როცა ბუხრიკიძე შეცდა და კვლავ ენდელაძე დარჩა გოგუასთან პირისპირ, მაგრამ დარტყმა დაუყუნდა და კობა კვეკვესკირი ჩართო შეტევაში, რომელმაც თავის ყოფილ გუნდს ოდენ ძელის გაზანზარება აკმარა. ოდიშართ კიდევ შეეძლოთ ნირწამხდარი, მასპინძლების დასჯა, მაგრამ ბოლო ფაზაში სიზუსტემ უღალატათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტუნის არმიის განადგურება და ჩარლტონელი ჯარისკაცები

## ინგლისი

III ტური

### არსენალი 0:0 ჩარლტონი

არსენალი: სიმენი, დიქსონი (ვივასი 66), უინთერბერნი, ვიეირა (ჰიუზი 74), ადამსი, ანელკა (ვრე 69), პეტი, პარლოუ, კეონი, ბერხკამპი, ოვერმარსი

ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფერნი, იადსი, ნიუტონი, კინსელა, ჰანტი (ჯონსი 64), მენდონკა, რობინსონი (მორტინერი 72), ბრაუნი

გაფრთხილება: პეტი, ვივასი, იადსი, ჰანტი, ბრაუნი, ჯონსი

გაძევება: პეტი (85)

მსაჯი: პოლი

### უიმბლდონი 1:1 ლიდსი

0:1 ბოუერი (61), 1:1 ჰიუზი (72)

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, პერი, ბლექველი, ერლი, ეკოკუ (ლებერნი 40), რობერტსი, ერდლი (გეილი 66), ჰიუზი, იუელი

ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, რადებე, ვინიარდი, ბოუერი, ჰოფკინი, კიუელი, ჰარტე, ჰიდენი, ჯიმი, მოლენაარი

გაფრთხილება: იუელი, პერი, რობერტსი, ვინიარდი

მსაჯი: დანი

### ბლექბერნი 1:0 ლესტერი

1:0 გალაჰერი (12)

ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, დავიდსონი, შერვუდი, პიკოკი, ენჩოსი, ფლიტკროფტი, სატონი, დაფი (უილკოქსი 71), გალაჰერი (დევისი 84), პერესი (დეილი 71)

ლესტერი: კელერი, სინკლერი, უოლში, იზეტი, ლენონი (კემპბელი 55), ჰესკი, ჯაპი, სევიჯი, ელიოტი (ტაგარტი 67), კოტი, ზაგორაკისი (პარკერი 58)

გაფრთხილება: ფლიტკროფტი, სატონი, პერესი, პიკოკი, ფლაუერსი, ჰესკი, სინკლერი

მსაჯი: რინი

### ქოვენთრი 0:0 ვესტ ჰემი

ქოვენთრი: ჰედმანი, ბაროუსი, შოუ, ბრინი, უოლემი (ედვორსი 79), ვილანი, ბოატენგი, ტელფერი, სოლტვედტი (ჰოლი 65), ჰაკერბი, დაბლინი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, მარგასი, ლომასი (მონკური 83), ლაზარიდისი, ლემპარდი, იმპი, ბერკოვიჩი, ჰარტსონი, რაიტი

გაფრთხილება: ბოატენგი, ჰაკერბი, რაიტი, რადოკი, ჰარტსონი, მონკური

მსაჯი: ბერი

### ევერტონი 0:1 ტოტენჰემი

0:1 ფერდინანდი (5)

ევერტონი: მერი, კლილენდი (სპენსერი 75), ბოლი, დაკორტი, ანსუორსი, კოლინზი, ბარმბი (ატკინსონი 75), ფერგიუსონი, შორტი, მატერაცი, კადამარტერი

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, ტრამეძანი, კემპბელი, ვეგა, კალდერვუდი, ფოქსი, ანდერტონი, ჟინოლა, ფერდინანდი (არმსტრონგი 72), ნილსენი

გაფრთხილება: კლელანდი, ბოლი, ვეგა, ჟინოლა, ფერდინანდი, ანდერტონი, კარი

მსაჯი: ჯონსი

### მიდლსბრო 1:1 დერბი

0:1 ვენჩოპი (31), 1:1 რიკარდი (48)

მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ფესტა, მუსტო, მერსონი, გესქოინი, ბეკი, სტამპი (რიკარდი 46), თაუნსენდი (კინდერი 87), სტოკდეილი, კუპერი

დერბი: ჰოლტი, შნური (დელაპი 60), პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი (ბაიანო 83), ვენჩოპი, ბოჰინენი, ლაურსენი, კერსლი, ელიოტი, ერანიო

გაფრთხილება: ბოჰინენი, შტიმაცი, ვენჩოპი

მსაჯი: რილი

### საუთჰემპტონი 1:2 ნოტინგემი

0:1 დერშევილი (52), 0:2 სტოუნი (68), 1:2 ლე ტისიე (893)

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ჰილი (ბიტი 79), პალმერი, მონკოუ, დრაიდენი, რიპლი (ბრიჯი 66), ჰაუელსი, ჰიუზი, ოსტენსტადი, ლე ტისიე

ნოტინგემი: ბისენტი, ბონელეირი, როჯერსი, არმსტრონგი, ჩეტლი, სტოუნი, ჯემილი, ტომასი, ჰოჯსი, დერშევილი (ფრიდმენი 79), ჯონსონი

გაფრთხილება: რიპლი, ჰიუზი, სტოუნი

მსაჯი: გალაჰერი

### ნიუკასლი 1:4 ლივერპული

0:1, 0:2 ოუენი (17, 18), 1:2 გივარში (28), 1:3 ოუენი (32), 1:4 ბერგერი (45)

ნიუკასლი: გივენი, უოტსონი (დაბიზასი 77), შარვე, პირსი, ალბერი, სერანტი (ბარტონი 46), ლი, ჰამანი (გლასი 12), სპიდი, გივარში, შირერი

ლივერპული: ფრიდელი, სტონტონი, ბები, ჰეგემი, კარაგერი, ინსი, რედნაპი (მაკატირი 85), მაკმანამანი (ტომპსონი 88), რიდლე, ბერგერი, ოუენი

გაფრთხილება: ალბერი, ლი, ბები, მაკმანამანი, ინსი

მსაჯი: ბარბერი

### შეფილდ იუნ. 0:1 ასტონ ვილა

0:1 ჯოაკინი (37)

შეფილდი: პრესმენი, ატერტონი, [illegible], უოკერი, კარბონე, ბუთი, დი კანიო, კობიანი (ბარეტი 63), ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, დრაპერი (გრეისონი 77), კოლიმორი, ტომპსონი, იოაკიმი, ბერი, ჰენდრი

გაფრთხილება: კარბონე

მსაჯი: ბარჯი

სანამ დიდ კლუბთა მეპატრონეები მილიონებს ყრიან ნაირნაირი ფრანგებისა და იტალიელების თავიანთ გუნდებში მოსაზიდად და სანამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ იქაჩებიან, ევროპის სუპერლიგა უნდა შევქმნათო, საქმე სხვაგან, პატარა და უცნობ ადგილებში კეთდება.

ეგებ უპრიანი ყოფილიყო ამ მცირე მიმოხილვის „სენტ ჯეიმსური“ ამბით დაწყებაც, იქ ხომ პატარა მაიკლ ოუენმა მორიგი შოუ გამართა და „ლივერპულს“ 4:1 მოაგებინა „ნიუკასლთან“, მაგრამ ამ მესამე ტურის მთავარი ამბავი მაინც სხვაგან იყო.

კერძოდ კი, ლონდონის „ჰაიბერიზე“, სადაც ჩემპიონი და თასის მფლობელი „არსენალი“, პრემიერლიგაში წელს გამოჩენილ „ჩარლტონ ატლეტიკს“ მასპინძლობდა. ჩემპიონმა ვერაფერი გააწყო — 0:0 — რაც ერთგვარ სენსაციადაც კი მოინათლებოდა, მაგრამ მესამე კვირაა, პატარა „ჩარლტონი“ ამტკიცებს, რომ მისი თამაში სენსაცია კი არა, კანონზომიერებაა. „ვესტ ჰემთან“ ერთად, „ჩარლტონი“ ის გუნდია, წლევანდელ პრემიერლიგაში, გოლი რომ არ გაუშვია, მაგრამ აპტონ პარკელ ჩაქუჩებს მხოლოდ ერთი ბურთი შეუგდიათ სამ ტურში, „ჩარლტონმა“ კი პირველ ტურში ნიუკასლური 0:0-ის შემდეგ ერთბაშად ხუთი უპასუხო გაუტანა „საუთჰემპტონს“.

შუა ლონდონში რომ მატარებელში ჩაჯდე, ჩარლტონამდე ბარე ორმოცდახუთი წუთი დაგჭირდება. ამ უკიდურესი სამხრეთ გარეუბნის სადგურიდან აღმართს აივლი, დაღმართს ჩაუყვები და მიადგები „ველი გრაუნდის“ სტადიონს, სადაც 15 ათასი კაცი თუ დაეტევა. „ველი“ „ჩარლტონის“ მშობლიური მინდორია. და სანამ ლონდონის დიდი კლუბების ფეხბურთელებმა აღარ იციან, რომელ ენაზე ელაპარაკონ ერთმანეთს, „ჩარლტონში“ წამყვანი ენა ინგლისურია. თავად გუნდიც ძველი ყაიდის, შემართული და მებრძოლი ინგლისური ფეხბურთის მიმდევარია. მის ფანებს არ სჭირდებათ თავიანთი ფეხბურთელების დიდხანს ძებნა, ძველი ტრადიციის თანახმად, გუნდი და ხალხი კლუბის ერთიანობას ქმნიან.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ჰაიბერის“, სადაც მეთოფეებმა თავი დადეს, რომ ერთი მაინც გაეტანათ, ერთხელ პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ ოცნება ვერ აისრულეს. „ჩარლტონელებმა“ თავიანთ საჯარიმომდე არ მოუშვეს დენის ბერხკამპი, ტონი ადამსის თავურები განზე გადიოდა, ოვერმარსი კი დენი მილსმა არ გაახარა. ლი დიქსონის ერთი მკვდარი ბურთი მეკარემ დაიჭირა, ნაიჯელ უინტერბერნის გრძელი გამჭოლი პასები ენდი ჰანტის და სხვათა საკბილო გახდა. თავის მხრივ კი, ჩარლტონელთა მეგოლე კლაივ მენდონკა საზრიანად ირჯებოდა და ნერვებმოშლილ მეთოფეებს სტანჯავდა.

„მათ კარგი დაცვა აჩვენეს და ქულაც წაილეს“, — თქვა თამაშის შემდეგ არსენ ვენგერმა. თავისი წილი ქულა „არსენალმაც“ მიიკუთვნა, მაგრამ სასიხარულო ამაში ცოტა იყო. მეთოფეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ პრემიერლიგაში უხეშობის მეფენიც არიან. მეორე ტაიმში მათ ჯაჯგური სარმებში გადაზარდეს და მთელს 34 წუთს ათნი დარჩნენ მოედანზე. მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუილ პეტიმ ოცდაათი წამის მანძილზე ორი ყვითელი მიიღო და მოედნიდანაც გაისტუმრეს. კარსმომდგარი ჩემპიონთა ლიგის წინ მეთოფეთა პრობლემა პრობლემადვე რჩება. ევროთამაშებში ამგვარი უხეშობა უფრო მეტ წითელ ბარათს მოიტანს, ვიდრე პრემიერლიგაში.

„ჩარლტონს“ კი მეოთხე ადგილი უჭირავს ცხრილში.

მესამე, ლიგაში წელს დაბრუნებული ეშმაკი და ვერაგი „ნოტინგემ ფორესტია“, რომელმაც „საუთჰემპტონში“ 2:1 მოუგო იქაურ საუკუნო მაჩანჩალებს. ნოტინგემელთა შორის კვლავ ბრწინავს საერთაშორისო ფეხბურთის მოყვარულთა ძველი ნაცნობი, ვენეიბლზის ნაკრების წევრი, სტივ სტოუნი. მას პირველი გოლი თავისიან ფრანგს ჟან კლოდ დარშევილს გაატანინა, მეორე კი თავად შეაგდო. საუთჰემპტონელ წმინდანთა ბეხრეკმა ლიდერმა მეტ ლე ტისიემ ისლა მოახერხა, რომ მოწინააღმდეგის საჯარიმოში გაფაფხურდა და პენალტიც თავადვე გამოიყენა, მაგრამ უკვე 89-ე წუთი იდგა და წმინდანებმა სეზონის პირველი ქულისთვის ვეღარ იბრძოლეს.

ეს იქით იყოს და ფრთაგაშლილია „ასტონ ვილა“. რაც გინდა თქვი და, გუნდს თუ მენეჯერი გამოადგა, იღბალიც ეხმარება. ათი დღე იქნება, რაც „ვილას“ მენეჯერმა, ჯონ გრეგორიმ გუნდის მშვენება, მეგოლე დუაიტ იორკი მიჰყიდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. თითქოს, „ვილას“ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გრეგორი რომ ნაღდი საფეხბურთო კაცია, კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მის ხელში ისეთი მერყევი ელემენტიც კი გამოცოცხლდა, როგორიცაა სტენ კოლიმორი. სწორედ კოლიმორის ჩაკიდებული ბურთი იყო საფუძველი ჯულიან ჯოაკიმის გამარჯვების გოლისა, შეფილდის „ჰილსბოროზე“ რომ გავიდა. „ვილამ“ 1:0 სძლია მასპინძელ „უენსდის“ და სალიგო ცხრილის მეორე სტრიქონი დაიკავა.

ბლექბერნში, კევინ გალაჰერმა დატანჯა „ლესტერის“ დაცვა, გოლი ადრევე გაიტანა, მაგრამ სქოთური ჯიგარი არ გასცივებია და „როვერსს“ 1:0 მოაგებინა. „ქოვენთრიმ“ და „ვესტ ჰემმა“ ერთმანეთი დაჭიმეს, მაგრამ გოლი არ გასულა. თითო გოლი გაუცვალეს ერთმანეთს „მიდლსბრომ“ და „დერბიმ“, და „უიმბლდონმა“ და „ლიდსმა“. ამ ორ თამაშში ულამაზესი „უიმბლდონელი“ მაიკლ ჰიუზის გოლი იყო: ამან ოცდაათი მეტრიდან დაკრულით უპასუხა ლიდსელი ლი ბოუიერის ბურთს.

ეგებ მშვიდად ამოისუნთქოს „ტოტენჰემის“ შვეიცარიელმა მენეჯერმა, კრისტიან გროსმაც. ლონდონელებმა ზედიზედ ორი სამარცხვინო წაგების შემდეგ იმარჯვეს და თან სტუმრად. „ევერტონთან“ მატჩი უკვე მეხუთე წუთზე მთაკაცი ლეს ფერდინანდი მცველთა რიგიდან ამოიზარდა და როგორც მერე გაირკვა, შეხვედრის ერთადერთი იღბლიანი თავური შეასრულა. „ტოტენჰემი“ კი არაერთგზის იხსნა ყრმა ნორვეგიელმა მეკარემ, ესპენ ბაარდსენმა.



REUTERS ნიუკასლიდან

მაიკლ ოუენი — ჯორდების მხარის დამაქცევარი

ახლა კი იმის გამო, თუ რა მოახდინეს „ლივერპულმა“ და მაიკლ ოუენმა ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკზე“. აქ ჯორდი მაყურებელი მოვიდა, თავისი საყვარელი „ნიუკასლის“, მამაცი „ტურის არმიის“ მხარდასაჭერად, მერსისაიდელთა წინააღმდეგ. ხალხი მოვიდა რუდ გულიტის „სექსი-ფუტბოლის“ (ასე შეარქვეს ჟურნალისტებმა გულიტისეული „ჩელსის“ თამაშის მანერას) პირველი გაკვეთილის სანახავად.

თავად გულიტი დირექტორთა ლოჟაში იყო გამოჭიმული, აქაოდა, ჯერ მთლად მენეჯერი არ ვარო. ჯობდა სულ არ ყოფილიყო სტადიონზე, რადგან ამ მატჩში თუ იყო რამე სექსისმაგვარი, მხოლოდ ერთი მხრიდან იყო.

საქმე პირველ ნახევარშივე მოთავდა. „ლივერპული“ ირჯებოდა ლამაზად, მოხდენილად, გემრიელად და რაც მთავარია, სწრაფად. სისწრაფის მთავარი ფაქტორი კი, რა თქმა უნდა, უწლოვანი მაიკლ ოუენი გახლდათ. მან სამი გოლი გაიტანა. მაგრამ გოლიცაა და გოლიც. მაიკლმა უკვე გასული ზაფხული, საფრანგეთი გაახსენა ხალხს. მეთხუთმეტე წუთზე მასპინძელთა მეკარე პოლ ინსის დარტყმული ბურთი ვერ დაიმორჩილა, ოუენი საჯარიმოში შეფრინდა და ანგარიში გახსნა. სულ მალე სტივ მაკმანამანმა მობარბაცე ნიუკასლელ ნახევარმცველებს შორის გაჭრა ბურთი. ოუენი მარჯვენა ინსაიდის ადგილზე იყო, როცა ამ ბურთისკენ წავიდა... მთელი ამ კომბინაციის შემდეგ კი ის იყო, რომ მეკარე გივენს ფეხებშუა გაუძვრა ბურთი — 2:0. ნიუკასლელებმა ჩვეული ბრძოლის წამოწყება სცადეს და აგმოუვიდათ კიდეც. 27-ე წუთზე რობ ლის ჯახირს გივარშის გოლი მოჰყვა (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ფეხმრუდე ფრანგი თავის სადებიუტო მატჩში კარგად გამოიყურებოდა). მაგრამ ოუენს გადაეწყვიტა, რომ მალევე მოეთავებინა საქმე. მან ლორან შარვეს ბურთი მოჰპარა, ფილიპ ალბერი გაათახსირა და გივენი პირდაპირ შოკში ჩააგდო — 3:1. მეოთხე გოლი კი პატრიკ ბერგერისა იყო...

შესვენებაზე გულიტი გასახდელში ჩავიდა და ნიუკასლური 3-4-3 4-3-3-ად გადააკეთა — მოედანზე ბერძენი მცველი ნიკოს დაბიზასი გამოუშვა. „ნიუკასლი“ უკეთ გაირჯა მეორე ტაიმში. გარი სპიდმა, სტიუარტ პირსმა და შირერმა რაღაცეები სცადეს, მაგრამ თამაში კარგახნის წაგებული იყო, „ტუნის არმია“ კი — განადგურებული.

გულიტმა იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა, გუნდის ყველა ნაკლი გამოჩნდა და ერთის მხრივ, ეს კარგიც არის, მუშაობაში გამომადგებაო.

საწყენად და ულამაზოდ კი ის დარჩა, რომ სპიდმა საშინლად მოცელა ინსი, ამ უკანასკნელმა კი კინაღამ ფეხი მოტეხა შირერს.

„ლივერპული“ კი პრემიერლიგას ლიდერობს — აღარ არის დრო?

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 2 | ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | +4 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | +4 | 6 |
| 3 | ნოტინგემი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 4 | ჩარლტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:0 | +5 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | +5 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 5 | უიმბლდონი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | +2 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | არსენალი | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 5 | 1 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 7 | ლიდსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | +1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 8 | ვესტ ჰემი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | +1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 9 | შეფილდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | +1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 |
| 10 | ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 11 | ქოვენთრი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 | ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 | დერბი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 14 | ტოტენჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 15 | მანჩესტერი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 | მიდლსბრო | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 17 | ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 18 | ჩელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 19 | ევერტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 | საუთჰემპტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 4 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 3 |
| კოტი (ლესტერი) | 2 |
| ეკოკუ (უიმბლდონი) | 2 |
| სტოუნი (ნოტინგემი) | 2 |
| იოაკიმი (ასტონ ვილა) | 2 |

IV ტური

8 სექტემბერი

ჩარლტონი - მანჩესტერი
ლიდსი - საუთჰემპტონი

9 სექტემბერი

ასტონ ვილა - ნიუკასლი
ჩელსი - არსენალი
დერბი - შეფილდი
ოსტერი - მიდლსბრო
ლივერპული - ქოვენთრი
ნოტინგემი - ევერტონი
ტოტენჰემი - უიმბლდონი
ვესტ ჰემი - უიმბლდონი

### პირველი დივიზიონი

მე-6 ტური. ბირმინგემი — ბარნსლი 0:0; ბოლტონი — შეფილდი 2:2; ჰადერსფილდი — პორტსმუთი 3:3; იფსვიჩი — სანდერლენდი 0:2; ოქსფორდი — გრიმსბი 0:0; ქპრ — ბერი 0:0; სტოკპორტი — კრისტალ პალასი 1:1; სვინდონი — პორტ ვეილი 1:1; ტრანმერი — ბრისტოლი 1:1; ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი 2:0; ქრიუ — ბრედფორდი 2:1; უოტფორდი — ვულვერჰემპტონი 0:2

V ტური

**ბარნსლი 1:0 ოქსფორდი**

1:0 ჰენდრი (42)

**ბრედფორდი 2:1 ბირმინგემი**

0:1 ნდლოვუ (56), 1:1 მილსი (60), 2:1 მური (73)

**ბრისტოლი 1:2 ჰადერსფილდი**

1:0 გუდრიჯი (12), 1:1 ჰორნი (48), 1:2 სტიუარტი (52)

**ბერი 3:0 სვინდონი**

1:0 ბარიკი (62), 2:0 მატეუსი (65), 3:0 პრიცი (76)

**გრიმსბი 5:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ჰანდისიდი (6), 2:0 ბარნეტი (17), 3:0 სმიტი (26), 4:0 გროვესი (453), 4:1 სნიკსი (48), 5:1 ბლეიკი (88)

**პორტ ვეილი 0:3 იფსვიჩი**

0:1 შოუკროფტი (22), 0:2 ჯონსონი (57), 0:3 ჰალანდი (90)

**პორტსმუთი 3:0 ქუინზ პარკი**

1:0 ალოიზი (34), 2:0 მაკლოუგლინი (87), 3:0 ფილიპსი (89)

**ვულვერჰემპტონი 2:2 სტოკპორტი**

1:0 რიჩარდსი (7), 2:0 გომესი (37), 2:1, 2:2 ენჯელი (44, 53)

**შეფილდი 3:1 ქრიუ**

0:1 ჯეკი (6), 1:1 ჰანკი (45), 2:1 ჰამილტონი (51), 3:1 ვუდჰაუსი (85)

**კრ. პალასი — ტრანმერი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| ვულვზი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| ბერი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:0 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ბირმინგემი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ნორვიჩი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| უოტფორდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| გრიმსბი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ჰადერსფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| შეფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:6 | 6 |
| პორტსმუთი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:6 | 6 |
| იფსვიჩი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 6 |
| ქრიუ | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| სტოკპორტი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| ბარნსლი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| კრ. პალასი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ბრედფორდი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ბრისტოლი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:10 | 3 |
| სვინდონი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| ქუინზ პარკი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| ოქსფორდი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |
| ტრანმერი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| პორტ ვეილი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედია პირველად და უკანასკნელად

## ესპანეთი

I ტური

### ვალენსია 1:0 ატლეტიკო

1:0 ლუკარელი (65)

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა (სორია 27), ბიორკლუნდი, როშე, კარბონი, ფარინოსი, მილა (ანხულო 46), მენდიეტა, შვარცი, ლუკარელი (პოპესკუ 82), ილიე

ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, სანტი, შამოტი, სერენა, ნიეგუსი, ბეიბლი (რობერტო 71), იუგოვიჩი, ლარდინი (ვალერონი 71), ხოსე მარი, კორეა (კიკო 46)

გაფრთხილება: ბიორკლუნდი, ლუკარელი, შამოტი, კიკო

მსაჯი: პერეს ბურული

### ალავესი 0:0 ბეტისი

ალავესი: კიკე, ალბისტეგი, კარმონა, ივან როჩა, მორალესი, დესიო, ჟერარი (ასკოიტია 10), პაბლო, იბონ ბეგონია, სივორი (სანტი რევილია 84), კანაბალი

ბეტისი: პრატსი, ხაიმე, სოლოსაბალი, ოლიასი, ფერნანდო, ფინიდი, ალექსისი (კანიასი 88), მერინო (ლუის ფერნანდესი 52), დენილსონი, ალფონსო, ოლი

გაფრთხილება: კარმონა, ივან როჩა, მორალესი, დესიო, სოლოსაბალი, ოლიასი, მერინო, ალფონსო

მსაჯი: ბუენო გრიმალი

### სოსიედადი 3:3 ოვიედო

0:1 დუბოვსკი (12), 1:1 სა პინტუ (32), 1:2 დელი ვალდესი (34), 2:2 პიკაბეა (47), 3:2 ალდეონდო (80), 3:3 მანელი (89)

სოსიედადი: ალბერტო, მუტიუ (ალდეონდო 46), ლორენი, პიკაბეა, არანსაბალი, ჟაურეგი, კუბაშუელი, დე პედრო, გერერო, სა პინტუ, კოვაჩევიჩი (დე პაულა 76)

ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ონოპკო, რავარიბონი, ივან იგლესიასი (ი. ანია 85), ბანიო (მორენო 85), ხაიმე, პაულო ბენტო, დუბოვსკი (ხუანჩი 62), დელი ვალდესი

გაფრთხილება: ლორენი, კუბაშუერი, რავარიბონი, ივან იგლესიასი, პაულო ბენტო, დუბოვსკი, დელი ვალდესი, ხუანჩი

მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### რასინგი 0:0 ბარსელონა

რასინგი: სებალოსი, სანჩეს იარა (ტაისი 63), მერინო, ტხემა, ნერუ, სიეტესი, ვიქტორი, ისმაელი, შუსტიკოვი (ხელი 63), მუნიტისი, ბესჩასტნიხი

ბარსელონა: ჰესპი, ოკუნოვო (როხერი 88), ნადალი, რაიციგერი, სერხი, ჯოვანი (აბელარდო 57), სელადესი (ზენდენი 46), ლუის ენრიკე, კოკუ, ფიგუ, რივალდო

გაფრთხილება: ნერუ, ხელი, ნადალი, სერხი, ფიგუ, რივალდო, ზენდენი

გაძევება: ნადალი (50)

მსაჯი: კარმონა მენდესი

### სარაგოსა 2:0 ბილბაო

1:0 მარკოს ვალესი (66), 2:0 ხ. ლოპესი (74)

სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, აგუადო, პაკო, სოლანა, აკუნია, არაგონი (ხოსე იგნასიო 87), კილი გონსალესი (ვუტერი 90), მარკოს ვალესი, ჟამელი (ხ. ლოპესი 70), მილოშევიჩი

ბილბაო: ი. ეჩებერია, ლაკრუსი, კარლოს გარსია, რიოსი, ლარასაბალი (ლასა 18), ურუტია, ხოსე მარი, იმასი, გერერო, ესკუერო, ხ. ეჩებერია (ხავი გონსალესი 54)

გაფრთხილება: აგუადო, სოლანა, აკუნია, ლაკრუსი, რიოსი

მსაჯი: ანსუატეხი როჩა

### ესპანიოლი 2:1 ტენერიფე

1:0 ესნაიდერი (43), 2:0 ბენიტესი (47), 2:1 იოკანოვიჩი (52)

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, პოჩეტინო, ელხუერა, პაჩეტა, ვილა, გალჩა, ბენიტესი (სერხიო 61), კიკე მარტინი (ნანდო 76), პოსე (ნან რიბერა 80), ესნაიდერი

ტენერიფე: ნავარო მონტოია, ვერკლო, მატა, ალექსისი, ანდრე ლუისი, ემერსონი, იოკანოვიჩი, ფელიპე (რობაინა 72), მაკეი, ხუანელე (კოდრო 61), დომინგუში

გაფრთხილება: ტონი, ვილა, ესნაიდერი, ნან რიბერა, ალექსისი, ანდრე ლუისი, ემერსონი

გაძევება: პაჩეტა (49)

მსაჯი: ესკინას ტორე

### სალამანკა 0:0 მალიორკა

სალამანკა: სტელეა, ლორენი, ლეო რამოსი, ლანა, ედუ ალონსო, ბარბარა (სილვანი 60), როხერიო (ტაირა 46), ჯოვანელა, ველისა, მუნტეანუ, კასარტელი (ლუნარი 67)

მალიორკა: როა, ოლაისოლა, მარსელინო, სივიერო, მ. სოლერი, ენგონგა, ლორენი (ჩ. სოლერი 65), იბაგასა (არპონი 80), სტანკოვიჩი, დანი, არიელ ლოპესი (კარლოსი 60)

გაფრთხილება: ჯოვანელა, ტაირა, მარსელინო, ლორენი, ჩ. სოლერი

გაძევება: ჯოვანელა (68), მარსელინო (75)

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### სელტა 0:0 დეპორტივო

სელტა: დუტრუელი, სალგადო, ჯოროვიჩი, კასერესი, ხოსემა (ტომასი 73), მაზინიო, კარპინი, მაკელელე, მოსტოვოი, რევივო, სანჩესი (პენევი 53)

დეპორტივო: სონგო, არმანდო, ნაიბეტი (მურერი 68), რამისი, რომერო, მაურო სილვა, ფლავიო (სკალონი 79), ზიანი, ჯალმინია (ბონისელი 57), ფრანი, ტურუ ფლორესი

გაფრთხილება: ჯოროვიჩი, კასერესი, არმანდო, რომერო, სკალონი

მსაჯი: დიას ვეგა

### ესტრემადურა 0:0 ვალიადოლიდი

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ოსკარი, ფელიქსი, კალა, პოლი, პედრო ხოსე, ბელენგუერი (ერანია 55), ბოგდანოვიჩი (მანუელი 81), სოტო (დავიდი 64), დურე, რუედა

ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია სალვო, სანტამარია, ხავი ტორესი, ჩემა, ვისკაინო (ეუსებიო 89), პენია, ტურიელი, კლიმოვიჩკი (ალბერტო 59), პეტერნაკი

გაფრთხილება: პედრო ხოსე

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### რეალი 4:1 ვილიარეალი

0:1 კრაიოვეანუ (4), 1:1 რაული (34), 2:1 მიატოვიჩი (50), 3:1 სავიო (59), 4:1 რაული (67)

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო (ივან კამპო 85), სანჩისი (გუტი 74), პანუჩი, რედონდო, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (იარნი 65), მორიენტესი, სავიო

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, სერერი, აიტორ არეგუი, რობერტო, ალბელდა, დიასი (გარსია სანხუანი 88), ხერარდო, კრაიოვეანუ (ალბერტო 46), ალვარო (ანხელ ლუისი 34), მოზეს გარსია

გაფრთხილება: იერო, პანუჩი, მიატოვიჩი, ალბელდა

გაძევება: მოზეს გარსია (49)

ესეც ასე. ესპანეთმაც დაიწყო. მალე ფეხბურთი აპენინებზეც გაჩაღდება და ევროპაში, მისი უდიდებულესობა ფეხბურთი, სპორტის მეფე, კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ, ავა ტახტზე.

წინა სეზონებში ეროვნული ჩემპიონატები იტალიაში და ესპანეთში თითქმის ერთსა და იმავე დროს იწყებოდა, წლეულს კი სერია A სექტემბრის შუაში აიღებს სტარტს, პირინეის ნახევარკუნძულზე კი ტრადიციას არ უღალატეს და ზაფხულის ბოლო დღეებში გააჩაღეს ფეხბურთი.

ესპანეთის 68-ე ჩემპიონატის დაწყებამდე პრიმერა დივიზიონის კლუბებში საკმაო ცვლილებები მოხდა. ამის და კიდევ საკმაო მიზეზთა გამო ახალი პირველობა გულშემატკივრებს ძალიან აინტერესებთ. ეგეც არ იყოს, ესპანურ კლუბებში ისეთმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, ყველა ლიგას დაამშვენებდნენ.

შაბათს საღამოს პირველი ტურის პირველი შეხვედრები გაიმართა. „ვალენსიამ“ არიგო საკისეულ მადრიდის „ატლეტიკოს“ უმასპინძლა, ბასკურმა „ალავესმა“ კი ბილბაოს “ატლეტიკოსგან“ განთავისუფლებულ „სან მამესზე“ მიიღო „ბეტისი“. წესით და რიგით ჩემპიონატის ამ მატჩებს ქომაგები პირველობისადმი კარგად უნდა განეწყო, თუმც ორივე თამაშის მნახველ კაცს კარგი განწყობა ნაღდად არ დაეუფლებოდა — პრიმიტიული ფეხბურთი საშუალო კლასის მოთამაშეთა შესრულებით. აი, ყველაფერი ის, რაც ქომაგებმა შაბათს ვალენსიასა და ბილბაოში იხილეს.

მოთამაშეში 35 მილიონ დოლარს რომ გადაიხდი, მან შედეგი უნდა მოიტანოს. ამასთანავე მართლაც ძალიან ძლიერი ფეხბურთელი უნდა იყოს. ვერ გეტყვით, რას ფიქრობდა „ბეტისის“ პრეზიდენტი მანუელ ლუის დე ლიპერა ამხელა ფულს დენილსონში რომ იხდიდა, მაგრამ თუ კლუბი ამ სეზონში სწორედ ამ მოთამაშის იმედზეა, მათი საქმე უბრალოდ კარგად ვერ ყოფილა. ძნელია წინასწარ, ერთი თამაშით განსაზღვრო დენილსონი როგორ ითამაშებს ამ სეზონში, მაგრამ პირველ მატჩში იგი არაფრით გამოირჩეოდა თუნდაც მასზე გაცილებით ნაკლები ღირებულების მქონე ფეხბურთელებისგან. ამით დენილსონის დაკნინება სულაც არ მსურს, პირიქით, იგი კარგი ფეხბურთელია, ძალიან ტექნიკური, მაგრამ მოთამაშეს ხომ მხოლოდ ბურთის კენწვლა არ მოეთხოვება. დენილსონი ძლიერია, თუმცა არა უძლიერესი.

— „ბეტისი“ კარგი გუნდია, ტიტულებისთვის ბრძოლაც ძალუძს, მაგრამ ჯერ შეთამაშება აკლია. დენილსონიც, ცოტა არ იყოს, ტაქტიკურად მოიკოჭლებს. გუნდის მონახაზიდან ამოვარდნილია. ფრეს დამაკმაყოფილებელ შედეგად ვთვლი, მალე, იმედია, გამარჯვებებიც მოვა — სევილიელთა ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა ვინსენტე კანტატორემ ბრაზილიელზე უკმაყოფილება გამოთქვა. ეს გასაკვირი სულაც არ იყო.

იმავ საღამოს, როცა „ბეტისი“ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტთან ცოდვილობდა, „ვალენსიას“ დედაქალაქის „ატლეტიკო“ საჯარიმოში შეემწყვდია. 44-ათასიან „მესტალაზე“ 50 ათასი გულშემატკივარი შეკრებილიყო, ქომაგთა მხარდაჭერით შეგულიანებული მასპინძლები კი უსწრაფესად თამაშობდნენ.

სატრანსფერო სეზონში „ვალენსიამ“ საკმაოდ ივაჟკაცა. 17 მილიონ დოლარად (დენილსონის ღირებულების ნახევარია!) კლუბმა ექვსი ფეხბურთელი გადაიბირა, მათი დამატებით კი გასული სეზონის მაჩანჩალა საკმაოდ კარგ გუნდად ჩამოყალიბდა. შესაბამისად ფეხბურთიც კარგი ანახა და „ატლეტიკოს“ კუდით ქვა ასროლინა. მასპინძლებს იღბალი რომ ჰქონოდათ, მეტი სხვაობითაც მოიგებდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთი იკმარეს. გოლი კი საფრანგეთი 98-ზე გატანილი ულამაზესი ბურთის ავტორს, რუმინელ ადრიან ილიეს მახვილგონივრულ მოქმედებას მოჰყვა — ორ მადრიდელ მეტოქეს იოლად გაუმკლავდა, მერე საჯარიმოშიც ჩაჰკიდა ბურთი, იქ კი ლუკარელიმ თავი დაჰკრა და წლევანდელი ჩემპიონატის პირველი გოლიც გაიტანა. ეს მატჩის დასასრულამდე 25 წუთით ადრე მოხდა, თუმცა რაიმე არც დარჩენილ დროში შეცვლილა.




ვალენსია — ატლეტიკო. იტალიელთა დუელი ესპანეთში. მადრიდელმა სერენამ (მარჯვნივ) ამჯერად კი აჯობა ვალენსიელ ლუკარელის, მაგრამ ამ უკანასკნელმა გოლი მაინც გაიტანა

მადრიდელთა იტალიელმა თავკაცმა არიგო საკიმ იქნებ ინანა კიდეც თანამემამულე თავდამსხმელის, ესპანეთის გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, კრისტიან ვიერის „ლაციოში“ გადასვლა — შაბათს „ატლეტიკოს“ თუ ვინმე აკლდა, უპირველეს ყოვლისა ნამდვილი გოლეადორი.

კვირას შემდგარი შვიდი მატჩიდან საინტერესო გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში შემძვრალი ბილბაოს „ატლეტიკის“ დაპირისპირება სარაგოსელებთან, ასევე ჩემპიონის და თასის მფლობელის „ბარსელონას“ სტარტი სანტანდერში. სხვათა შორის, კვირასვე ითამაშა წინა პირველობის კიდევ ერთმა, მესამე პრიზიორმა სოსიედადის „რეალმა“.

თბილისის „დინამოელთა“ მძლეველნი, ბილბაოელები, ცოტა არ იყოს, გადაღლილები ჩანდნენ. ეტყობა, ჩემპიონთა ლიგაში შესვლას მათ დიდი ძალები შეალიეს — თასების თასის გათამაშების 1995 წლის გამარჯვებული „სარაგოსა“ მეტოქეს აშკარად სჯობდა. ძლიერი და შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა „ასტონ ვილადან“ სარაგოსაში გადაბარგებულ სავო მილოშევიჩს, რომლის დამსახურებაცაა მასპინძელთა გამარჯვება.

— ჩვენთვის მთავარი ლიგაში მოხვედრა იყო. „დინამოსთან“ პაექრობას მთელი ძალები შევალიეთ და მარცხიც სწორედ ამის შედეგია, თუმცა ერთი წაგებით ქვეყანა არასდროს დაქცეულა. წინ მთელი სეზონია, „ატლეტიკის“ სიძლიერეც სეზონის, ბოლოს გამოჩნდება. პირველობა ახლა დაიწყო, ამ წაგებით არ ღირს ტრაგედიის შექმნა — ბასკთა ფრანგი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი ნირწამხდარი გახლდათ. ჩემპიონატის მარცხით დაწყება, ცხადია, არ ესიამოვნებოდა.

სანტანდერში ადგილობრივი „რასინგი“ ლუის ვან გაალის „ბარსელონას“ მასპინძლობდა. მიუხედავად ქვეყნის სუპერთასზე მარცხისა, ესპანეთის ჩემპიონი მაინც ფავორიტად ითვლებოდა, თუმც პირიქით მოხდა — კატალუნიელები წაგებას გადარჩნენ. პედრო ალკარეს მუნიტისს, ვლადიმირ ბესჩასტნიხს, ხოსე მანუელ სიეტესს, სერგეი შუსტიკოვს და ისმაელ რუისს საგოლე შანსები საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ იმ საღამოს „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მეკარე რუდ ჰესპი სასწაულებს სჩადიოდა. საკუთარ საჯარიმოსთან მიმწყვდეული სტუმრების ერთადერთ იმედად სწორედ ჰესპი ქცეულიყო და ისიც სალ კლდედ აღმართულიყო — კარის მიმართულებით დარტყმული ყველა ბურთი მეკარის ხელებში ექცეოდა. სტუმართა უნიათო თამაში ვეტერან მცველ ანხელ ნადალის პირველ ტაიმში გაძევებამაც გამოიწვია.

ექვსი გოლი იხილა 22-ათასიან „ანოეტაზე“ შეკრებილმა 24 ათასმა ტორსედორესმა. „სოსიედადსაც“, ისევე როგორც „ოვიედოს“ მთელი ძალები წინ გადაესროლათ. სხვათა შორის, მასპინძელთა პორტუგალიელმა თავდამსხმელმა რიკარდო სა პინტუმ, შარშან პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის ანტონიო ოლივეირას ცემისთვის მისჯილი ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნება გოლით აღნიშნა.

მთლიანობაში ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტური დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. უმეტესწილად უინტერესო თამაშებს ლაიტმოტივად გასდევდა ესპანური ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ზღვარსგადასული უხეშობა. იმედია, ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იქნება.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 | სარაგოსა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 | ესპანიოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 | ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 | სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 6 | ოვიედო | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 7 | ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 8 | მალიორკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 9 | ბეტისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 10 | დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 11 | ვალიადოლიდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 | სელტა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 13 | რასინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | ესტრემადურა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 15 | სალამანკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 16 | ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | ტენერიფე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 18 | ატლეტიკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 19 | ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 | ვილიარეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -4 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -4 | 0 |

II ტური

13 სექტემბერი

ოვიედო - ალავესი
ბილბაო - რასინგი
ატლეტიკო - სალამანკა
ბარსელონა - ესტრემადურა
ბეტისი - სარაგოსა
დეპორტივო - ვალენსია
მალიორკა - ესპანიოლი
ვალიადოლიდი - რეალი
ვილიარეალი - სელტა
ტენერიფე - სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

I ტური

### ატლეტიკო B 2:3 ჰერკულესი

1:0 ბარაია (26), 2:0 სეკურიოსი (37), 2:1 ლიედო (74), 2:2 ვარა (81), 2:3 ჯუკანოვიჩი (89)

### ნუმანსია 2:1 მერიდა

1:0 მორანი (41), 2:0 ხავი მორენო (51), 2:1 რუბინიო (90)

### ლეიდა 1:4 ლეგანესი

0:1 პედრო (25), 0:2 ხუანმი (29), 0:3 ხამესი (45), 1:3 ესკოდა (46), 1:4 პაბლო ზულოაგა (71)

### ლას პალმასი 2:1 ალბასეტე

1:0 მერინო (30), 1:1 ლეანდრო (41), 2:1 ნეირა (75)

### მალიორკა B 4:1 ბარსელონა B

0:1 ჯოფრე (26), 1:1 ლუკუე (26), 2:1 დ. ტრისტანი (38), 3:1 მალდონადო (75), 4:1 დ. ტრისტანი (83)

### რაიო 1:1 ოსასუნა

1:0 მიჩელ II (29), 1:1 პალაციოსი (74)

### მალაგა 2:1 ეიბარი

0:1 კიკო (28), 1:1 ბრაპიმი (62), 2:1 ზარატე (86)

### სპორტინგი 0:0 ტოლედო

### ლოგრონიესი 1:0 ბადახოსი

1:0 იგლესიასი (64)

### კომპოსტელა 0:0 უელვა

### სევილია 3:0 ორენსე

1:0 კუევედო (18), 2:0 გლუსკევიჩი (61), 3:0 ცარტასი (62)

# გათანაბრდება?

UEFA SUPER CUP

პარასკევს საღამოს მონაკოს „ლუი"-ზე გამართული მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. ჩაიარა მორიგმა დღემ, გათამაშდა კიდევ ერთი თასი, თუმცა ის რომელსაც თასების თასის 1998 წლის მფლობელი „ჩელსი" 28 აგვისტოს დაეუფლა, ერთ-ერთი რიგითი სრულიადაც არ გახლდათ. ლონდონელებმა საკმაოდ სანახაობრივ და შიგადაშიგ დაძაბულ მატჩში ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალი" დაამარცხეს და ევროპის სუპერთასს დაეუფლნენ. სუპერთასზე ჩემპიონთა თასის მფლობელებს და თასების თასის გამარჯვებულებს შორის სხვაობა 13:11-ია პირველთა სასარგებლოდ. მალე შიძლება გაყაიმდეს.

ფინალის ბედი ინგლისური ზეინტერნაციონალური კლუბის ურუგვაელმა ლეგიონერმა გუსტავო პოიეტმა გადაწყვიტა — სამხრეთამერიკელმა იტალიელი ჯანფრანკო ძოლას პასი შეიშნო და ძლიერი, ამავდროულად მოჭრილი დარტყმით ანგარიში გახსნა 1:0. ეს იყო და ეს. იმ შეხვედრაში მეტი გოლი არ გასულა, თასიც ნისლიან ალბიონზე გაემგზავრა.

1973 წლის დასაწყისში ჩემპიონთა თასის გამარჯვებული „აიაქსი" თასების თასის მომგებ შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" დაუპირისპირდა. ჰოლანდიელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს (წლევანდლამდე სუპერთასი ორ, სტუმრად და შინ ჩატარებულ მატჩებში თამაშდებოდა. გამონაკლისი მხოლოდ 1984, 1986 და 1991 წლებში მოხდა, როცა მეტოქეებმა თასის მფლობელს გასარკვევად მხოლოდ ერთი შეხვედრა იკმარეს, შესაბამისად სუპერთასის პირველი მფლობელებიც გახდნენ.

სუპერთასის გათამაშების 26 წლის მანძილზე იგი ჩვიდმეტმა კლუბმა მოიპოვა. ეგებ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდილიყო 1974, 1981 და 1985 წლებში თასი რომ გათამაშებულიყო. პირველ ორ შემთხვევაში ჩემპიონთა თასის მფლობელი (1974-ში მიუნჰენის „ბაიერნი", 1981-ში კი „ლივერპული") და თასთა თასის გათამაშების გამარჯვებული (1974-ში „მაგდებურგი", 1981-ში კი თბილისის „დინამო") კლუბების ხელმძღვანელები მატჩის თარიღზე ვერ შეთანხმდნენ, 1985 წელს კი ჩემპიონთა თასის მფლობელი „იუვენტუსის" და თასების თასის გამარჯვებულის „ევერტონის" მატჩი უეფამ გააუქმა — იმავე წლის გაზაფხულზე, ბრიუსელში „ეიზელის" ტრაგედიაში დადანაშაულებული ინგლისელი ფანების გამო ალბიონური კლუბები ხუთი წლით მოიკვეთნენ ევროშეჯიბრებებიდან, შესაბამისად მათ სიაში „ევერტონიც" მოჰყვა.

ყველაზე დიდ ანგარიშად სუპერთასის ფინალებში 6:0 ითვლება — 1973 და 1977 წლების ფინალებში „აიაქსმა" და „ლივერპულმა" ასეთი ანგარიშებით დაამარცხეს შესაბამისად „მილანი" და „ჰამბურგი". რაც შეეხება ორი მატჩის ჯამში მიღწეულ უდიდეს უპირატესობას, ამ მხრივ რეკორდსმენია იტალიური „იუვენტუსი" — 1996 წელს სუპერთასის პირველ მატჩში, პარიზში, ტურინელებმა 6:1 (!) დაამარცხეს მასპინძელი პსჟ და ფაქტობრივად აზრი დაუკარგეს საპასუხო შეხვედრას, თუმცა შინაც, უფრო სწორად პალერმოში შავ-თეთრებმა 3:1 იმარჯვეს, ორი თამაშის ჯამში კი მეტოქე 9:2 დაამარცხეს.

და ბოლოს, სუპერთასს ყველაზე მეტჯერ იტალიური „მილანი" და ჰოლანდიური „აიაქსი" ფლობდნენ — ისინი ჯილდოს სამჯერ შესწვდნენ. რაც შეეხება ჩემპიონთა თასის სარეკორდო, შვიდგზის მომგებ „რეალს", იგი სუპერთასს არასდროს ფლობდა — მადრიდელთა პირველი ექვსი გამარჯვების წლებში (1956, 1957, 1958, 1959, 1960 და 1966) სუპერთასი არ თამაშდებოდა, ახლა კი ესპანელებს „ჩელსიმ" აჯობა.

რაც შეეხება სხვა მონაცემებს, ეს ორი სვეტი ვფიქრობ, ცოტათი მაინც დააკმაყოფილებს თქვენს ინტერესს.

**ირაკლი ილუშვილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1972 | 16.01.73 | გლაზგო | რეინჯერსი 1:3 აიაქსი | 0:1 რეპი (31), 1:1 მაკდონალდი (39), 1:2 კრუიფი (43), 1:3 ჰაანი (44) |
| | 24.01.73 | ამსტერდამი | აიაქსი 3:2 რეინჯერსი | 0:1 მაკდონალდი (7), 1:1 ჰაანი (9), 1:2 მაკდონალდი (26), 2:2 მიურენი (39), 3:2 კრუიფი (78) |
| 1973 | 09.01.74 | მილანი | მილანი 1:0 აიაქსი | 1:0 ჩიარუჯი (77) |
| | 16.01.74 | ამსტერდამი | აიაქსი 6:0 მილანი | 1:0 მულდერი (26), 2:0 კაიზერი (35), 3:0 ნეესკენსი (71), 4:0 რეპი (81), 5:0 მიურენი (84), 6:0 ჰაანი (87) |
| 1974 | არ გათამაშებულა | | | |
| 1975 | 09.09.75 | მიუნჰენი | ბაიერნი 0:1 დინამო (კიევი) | 0:1 ბლოხინი (66) |
| | 06.10.75 | კიევი | დინამო 2:0 ბაიერნი | 1:0, 2:0 ბლოხინი (40, 53) |
| 1976 | 17.08.86 | მიუნჰენი | ბაიერნი 2:1 ანდერლეხტი | 0:1 ჰაანი (16), 1:1, 2:1 მიულერი (58, 88) |
| | 30.08.76 | ბრიუსელი | ანდერლეხტი 4:1 ბაიერნი | 1:0 რენსენბრინკი (20), 2:0 ვან დერ ელსტი (25), 3:0 ჰაანი (59), 3:1 მიულერი (63), 4:1 რენსენბრინკი (82) |
| 1977 | 22.11.77 | ჰამბურგი | ჰამბურგი 1:1 ლივერპული | 1:0 კელერი (29), 1:1 ფეირკლაკი (65) |
| | 06.12.77 | ლივერპული | ლივერპული 6:0 ჰამბურგი | 1:0 ტომპსონი (21), 2:0, 3:0, 4:0 მაკდერმოტი (40, 56, 57), 5:0 ფეირკლაფი (84), 6:0 დალგლიში (88) |
| 1978 | 04.12.78 | ბრიუსელი | ანდერლეხტი 3:1 ლივერპული | 1:0 ვერკოტერენი (17), 1:1 კეისი (27), 2:1 ვან დერ ელსტი (38), 3:1 რენსენბრინკი (87) |
| | 19.12.78 | ლივერპული | ლივერპული 2:1 ანდერლეხტი | 1:0 ჰიუზი (31), 1:1 ვან დერ ელსტი (71), 2:1 ფეირკლაფი (85) |
| 1979 | 30.01.80 | ნოტინგემი | ნოტინგემი 1:0 ბარსელონა | 1:0 ჯორჯი (9) |
| | 05.02.80 | ბარსელონა | ბარსელონა 1:1 ნოტინგემი | 1:0 რობერტო (25), 1:1 ბარნსი (42) |
| 1980 | 25.11.80 | ნოტინგემი | ნოტინგემი 2:1 ვალენსია | 0:1 ფილმენი (47), 1:1, 2:1 ბოუერი (57, 89) |
| | 17.12.80 | ვალენსია | ვალენსია 1:0 ნოტინგემი | 1:0 მორენა (51) |
| 1981 | არ გათამაშებულა | | | |
| 1982 | 19.01.83 | ბარსელონა | ბარსელონა 1:0 ასტონ ვილა | 1:0 მარკოსი (52) |
| | 26.01.83 | ბირმინგემი | ასტონ ვილა 3:0 ბარსელონა | 1:0 შოუ (80), 2:0 კოვენსი (99), 3:0 მაკნაითი (104) |
| 1983 | 22.11.83 | ჰამბურგი | ჰამბურგი 0:0 აბერდინი | |
| | 20.12.83 | აბერდინი | აბერდინი 2:0 ჰამბურგი | 1:0 სიმპსონი (47), 2:0 მაკგი (65) |
| 1984 | 16.01.85 | ტურინი | იუვენტუსი 2:0 ლივერპული | 1:0, 2:0 ბონეკი (39, 79) |
| 1985 | არ გათამაშებულა | | | |
| 1986 | 24.02.87 | მონტე კარლო | სტიაუა 1:0 დინამო (კიევი) | 1:0 ჰაჯი (44) |
| 1987 | 24.11.87 | ამსტერდამი | აიაქსი 0:1 პორტუ | 0:1 რუი ბარუში (5) |
| | 13.01.88 | პორტუ | პორტუ 1:0 აიაქსი | 1:0 სოუზა (70) |
| 1988 | 01.02.89 | მეხელენი | მეხელენი 3:0 ეინდჰოვენი | 1:0 ბოსმანი (16), 2:0 ავტოგოლი, 3:0 ბოსმანი (50) |
| | 08.02.89 | ეინდჰოვენი | ეინდჰოვენი 1:0 მეხელენი | 1:0 ჟილჰაუსი (78) |
| 1989 | 23.11.89 | ბარსელონა | ბარსელონა 1:1 მილანი | 0:1 ვან ბასტენი (44), 1:1 ამორი (67) |
| | 07.12.89 | მილანი | მილანი 1:0 ბარსელონა | 1:0 ევანი (55) |
| 1990 | 10.10.90 | გენუა | სამპდორია 1:1 მილანი | 1:0 მიხაილიჩენკო (31), 1:1 ევანი (31) |
| | 29.11.90 | მილანი | მილანი 2:0 სამპდორია | 1:0 გულიტი (45), 2:0 რაიკაარდი (76) |
| 1991 | 19.11.91 | მანჩესტერი | მანჩესტერი 1:0 ცრვენა ზვეზდა | 1:0 მაკლეირი (67) |
| 1992 | 10.02.93 | ბრემენი | ვერდერი 1:1 ბარსელონა | 0:1 სალინასი (37), 1:1 კ. ალოფსი (87) |
| | 10.03.93 | ბარსელონა | ბარსელონა 2:1 ვერდერი | 1:0 სტოიჩკოვი (32), 1:1 რუფერი (41), 2:1 გოიკოეჩეა (48) |
| 1993 | 12.01.94 | პარმა | პარმა 0:1 მილანი | 0:1 პაპენი (43) |
| | 02.02.94 | მილანი | მილანი 0:2 პარმა | 0:1 სენსინი (23), 0:2 კრიპა (95) |
| 1994 | 01.02.95 | ლონდონი | არსენალი 0:0 მილანი | |
| | 08.02.95 | მილანი | მილანი 2:0 არსენალი | 1:0 ბობანი (41), 2:0 მასარო (66) |
| 1995 | 06.02.96 | სარაგოსა | სარაგოსა 1:1 აიაქსი | 1:0 აგუადო (29), 1:1 კლუივერტი (71) |
| | 28.02.96 | ამსტერდამი | აიაქსი 4:0 სარაგოსა | 1:0 ბოგარდი (41), 2:0 ფინიდი (53), 3:0, 4:0 ბლინდი (66პ, 69პ) |
| 1996 | 15.01.97 | პარიზი | პსჟ 1:6 იუვენტუსი | 0:1 პორინი (4), 0:2 პადოვანო (21), 0:3 ფერარა (34), 0:4 პადოვანო (40), 1:4 რაი (51პ), 1:5 ლომბარდო (82), 1:6 ამორუზო (89) |
| | 05.02.97 | პალერმო | იუვენტუსი 3:1 პსჟ | 1:0 დელ პიერო (36), 1:1 რაი (64პ), 2:1 დელ პიერო (70), 3:1 ვიერი (90) |
| 1997 | 08.01.98 | ბარსელონა | ბარსელონა 2:0 ბორუსია | 1:0 ლუის ენრიკე (8), 2:0 რივალდო (61პ) |
| | 11.03.98 | დორტმუნდი | ბორუსია 1:1 ბარსელონა | 0:1 ჯოვანი (8), 1:1 ჰაინრიხი (64) |

# პსჟ-ს უსტვენენ

## საფრანგეთი

IV ტური

**მეცი 0:2 ბორდო**
0:1 კასტენდოჩი (26ს.კ.), 0:2 ვილტორდი (86)

**ლიონი 1:1 მონაკო**
1:0 კავეგლია (40), 1:1 შპეპარი (75)

**ოსერი 1:0 ბასტია**
1:0 ბატიკლი (10)

**ლანსი 2:1 ნანსი**
0:1 კასკარინო (8), 1:1, 2:1 ნუმა (10, 70)

**რენი 1:1 სტრასბური**
1:0 გუსე (29), 1:1 ეშუაფნი (40)

**ლე ავრი 0:0 მარსელი**

**ნანტი 2:0 სოშო**
1:0 სიბირსკი (1,პ), 2:0 კარიერი (89)

**მონპელიე 3:0 ტულუზი**
1:0, 2:0 ბაკაიოკო (45, 73), 3:0 დელეი (88)

**პსჟ 1:2 ლორიანი**
1:0 სიმონე (11პ), 1:1 სუმა (77), 1:2 პედრონი (78)

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-4 ტურმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „მეცი" ძალიან დაჩაჩანაკებულა. ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა და ვერც ერთი გატანილი გოლი, ამას დაუმატეთ ჩემპიონთა თასზე ფინეთის ჩემპიონთან სამარცხვინოდ გამოვარდნა და კლუბის პრეზიდენტ კარლო მოლინარის გულისწყრომა ყველასათვის გასაგები გახდება. ბოლო ტურში „მეცი" „ბორდოსთან" შინ დამარცხდა. პირველი ბურთი ლოტარინგიელთა გამოცდილმა კაპიტანმა შეაგდო თავის კარში. მეორეჯერ კი სილვენ ვილტორდმა დაამწუხრა ბარტეზის დუბლიორი ნაკრებში ლიონელ ლეტიზი. ამ მარცხის შემდეგ „მეცის" ხელმძღვანელობამ ძლიერი თავდამსხმელის შეძენა გადაწყვიტა. ლაპარაკია დავორ შუკერზე, ვისაც მადრიდის „რეალში" უფრო ხშირად მატჩების ყურებით დაკმაყოფილება უწევს, ვიდრე მათში მონაწილეობის მიღება; მეცელებს თვალი მილანელ დეიან სავიჩევიჩზეც უჭირავთ. რაც შეეხება „ბორდოს", მას ყველაფერი რიგზე აქვს. ამ სეზონში „მონაკოდან" გადასული ალი ბენარბია კი არც მალავს, რომ გუნდი წლეულს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის იბრძოლებს. მათმა უახლოესმა მდევრებმა „მარსელმა" და „მონაკომ" კი ორ-ორი ქულა დაკარგეს შესაბამისად ჰავრსა და ლიონში.

ოლიმპიელებს ცოტა ეპატიებათ ნულოვანი ფრე ჰავრში, რადგან ზუსტად ამ მატჩის წინ მარსელმა საკუთარ მსოფლიოს ჩემპიონებს — ლორან ბლანს, რობერ პირესს და კრისტოფ დიუგარის ოფიციალური ზეიმი მოუწყო. გუნდის მწვრთნელმა როლან კურბისმა კი, რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, განაცხადა, რომ წელს ეს მისი გუნდის საუკეთესო მატჩი იყო: „ნანტთან" საკმაოდ უფერულად ვითამაშეთ, მეცში სუპერ-პორატომ გადაგვარჩინა, „მონპელიესთან" მატჩს კი ნურც გამახსენებთ. ჰავრში კი საკმაო პროგრესი შევნიშნე." ისე, სამართლიანობა მოითხოვს ალვნიშნოთ, მარსელელებისთვის ფორტუნას ზურგი რომ არ ექცია ნამდვილად წამოიღებდნენ სამ ქულას ჰავრიდან.

თუ ჰავრში სტუმრები იმსახურებდნენ გამარჯვებას, იგივეს ვერ ვიტყვით ლიონის მატჩზე. ლიონელთა მწვრთნელი ბერნარ ლაკომბი კმაყოფილი უნდა იყოს თავისი შეგირდების თამაშით. გუნდის მეტად თავდაჯერებულ და საიმედო დაცვას, თუ დავუმატებთ წელს ჰავრიდან გადმოსული ვიკაშ დორასოს და კაპიტან ალენ კავეგლიას მიერ წამოწყებულ „მომაკვდინებელ" კონტრშეტევებს, უნდა ჩავთვალოთ, რომ „ლიონი" შარშანდელივით მხოლოდ უეფას თასის საგზურით არ დაკმაყოფილდება. „მონაკოს" წინააღმდეგაც გაიმარჯვებდა, მსაჯს რომ უხეში შეცდომები არ დაეშვა. მაგალითისთვის ორი მომენტიც იკმარებს. ორჯერვე დორასო გადიოდა ფაბიენ ბარტეზთან პირსპირ. ჯერ იყო და მსაჯმა ჯარიმა დასტვინა „ლიონის" სასარგებლოდ (?!), მერე კი ტაიმის დამთავრება ამცნო ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ლიონელებს. მატჩის შემდეგ აღშფოთებულ ლაკომბს ისიც კი გაახსენდა, რომ სწორედ ამ მსაჯმა დადო „ლიონის" წინააღმდეგ გამოგონილი პენალტი გასულ წელს კორსიკაზე. „მონაკომ" კი მეტოქის ერთადერთი შეცდომით ისარგებლა და ხორვატმა შპეჰარმა თავისი გოლით ქულა მოუტანა თავისიანებს.

ტურის ყველაზე დიდი სენსაცია კი „პარკ დე პრენსზე" მოხდა. პირველ დივიზიონში წელს პირველად მობურთავე „ლორიანმა" საკუთარი თავის არაპატივისმცემელი პსჟ დაამარცხა. სხვა რა უნდა იყოს თუ არა საკუთარი თავის




ლიონი — მონაკო. მსაჯი რომ არა, კავეგლიას (მარცხნივ) „ლიონი" სანიოლის „მონაკოს" დაამარცხებდა

უპატივცემლობა, როცა ისეთი ვარსკვლავებით დახუნძლული გუნდი, როგორებიც არიან ლამა, ვიორნსი, სიმონე, ოკოჩა, და ძმანი მათნი, ახალბედასთან სამარცხვინოდ მარცხდება. პსჟ საკმაოდ მალე დაწინაურდა სიმონეს გოლით და მთელი დანარჩენი დროც შეტევებში გაატარა, თუმც კი უშედეგოდ. ჯობს აქ პარიზელთა თავკაც ალენ ჟირესს მოვუსმინოთ: „ჯეი-ჯეი ოკოჩას ფინტთა კასკადი მართლაც კარგი სანახაობაა, მაგრამ როცა ამას არაფერი მოაქვს გუნდისთვის, ნაღდად ზედმეტი მატრაკვეცობა. დაცვაშიც საკმაოდ გვაქვს ხარვეზები. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია." მაგრამ მარცხით დამწუხრებულ 40000 პარიზელ ფანს ეს სიტყვები გულს ვერ მოულბობდა. მათაც სტვენა-სტვენით გაისტუმრეს ფრანგული „გრანდის" ფეხბურთელები გასახდელში.

შარშანდელი ჩემპიონი „ლანსი" ფორმაში ნელ-ნელა შედის. ამ ტურში „ლანსმა" მეორე გამარჯვება იზეიმა. მართალია „ნანსიმ" თავისი უბერებელი ირლანდიელი ტონი კასკარინოს მეოხებით ანგარიშიც გახსნა, მაგრამ ლანსელებმა ექსსტრასბურელი ნუმას დუბლის წყალობით გაიმარჯვეს. თვით გოლეადორი კი მაინც ცუდ ხასიათზე იყო: „გაგვიმართლა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ნანსი" იყო. უფრო ძლიერი გუნდების, მაგალითად „მონაკოს" წინააღმდეგ კი ასე იოლად ვერ შემოვაბრუნებთ მატჩის ბედს."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| მარსელი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| მონაკო | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| მონპელიე | 4 | 2 | 1 | 1 | 12:8 | 7 |
| ლანსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| პსჟ | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ოსერი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ნანტი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ბასტია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ნანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ლორიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ტულუზი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |
| ლე ავრი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| სტრასბური | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | 2 |
| მეცი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |
| სოშო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

## შოტლანდია

IV ტური

**კილმარნოკი 3:0 ჰართსი**

1:0, 2:0, 3:0 მაკოისტი (7, 60, 81)

**მოზერველი 1:0 დანდი იუნაიტედი**

1:0 ნიისონენი (43)

**დანდი 1:1 სელტიკი**

0:1 ბარლი (69), 1:1 ანანდი (90 პ)

**დანფერმლაინი 1:1 აბერდინი**

0:1 პერი (74), 1:1 ფრენჩი (89)

**რეინჯერსი 4:0 სტ. ჯონსტონი**

1:0 კანჩელსკისი (26), 2:0 ბრონკჰორსტი (44), 3:0 უოლესი (56), იორგ ალბერცი (85 პ)

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-4 ტურს თავისუფლად შეიძლება ალი მაკოისტის ბენეფისი დაერქვას. მისი ახალი გუნდი „კილმარნოკი" მიმდინარე ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს, ქვეყნის თასის მფლობელ „ჰართსს" მასპინძლობდა და დიდი ანგარიშითაც დაამარცხა 3:0. სამივე გოლი 36 წლის მაკოისტის ანგარიშზეა, რომელიც მხოლოდ სეზონის დასაწყისში გადავიდა „კილმარნოკში" მშობლიური „რეინჯერსიდან", სადაც 15 წლის განმავლობაში თამაშობდა: „ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი წარმატება იყო. არამარტო ქულების თვალსაზრისით, ფსიქოლოგიურადაც, რადგან უეფას თასის გათამაშების მიღმა დარჩენით (შოტლანდიელებმა ორი მატჩის ჯამში ჩეხურ „სიგმასთან" წააგეს) ძლიერ დამწუხრებულნი ვართ. ხალხს ეგონა, გლაზგოდან წამოსვლის შემდეგ გოლებს ვეღარ გავიტანდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ასეა საქმე" — აღნიშნა მატჩის დასრულებისთანავე გახარებულმა მაკოისტმა, რომელიც „ჰართსთან" შეხვედრაში მართლაც საუკეთესო იყო. ამ გამარჯვების შემდეგ „კილმარნოკი" 7 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

ძალიან კარგად ითამაშა შაბათს „რეინჯერსმა". ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი იმ დღეს მაჩანჩალა „სენტ ჯონსტონს" მასპინძლობდა და სულ კუდით ქვა ასროლინა. სტუმართა განადგურება დედაქალაქური კლუბის უძვირფასესმა მოთამაშემ, რუსმა ანდრეი კანჩელსკიმ დაიწყო 26-ე წუთზე და მატჩის მიწურულს ჩვეულ სტილში, თერთმეტმეტრიანით, გერმანიის ნაკრებში გამოძახებულმა იორგ ალბერცმა დაასრულა. შუალედში კი ჰოლანდიელმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა და ჯერჯერობით „რეინჯერსის" საუკეთესო მეგოლე როდ უოლესმა იხეირეს. შედეგად, გლაზგოელები გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად მოექცნენ სათავეში.

კვლავ წარუმატებლად იასპარეზა მეორე დედაქალაქურმა კლუბმა „სელტიკმა", რომელმაც შინ მიიღო აშკარა აუტსაიდერი „დანდი" და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. არადა, შოტლანდიის ჩემპიონები კრეიგ ბარლის 69-ე წუთზე გატანილის წყალობით (ეს მისი მე-5 გოლია მიმდინარე სეზონში) მატჩის ბოლო წუთამდე იგებდნენ, მაგრამ აქ მასპინძელთა მცველმა საკუთარ საჯარიმოში „დანდის" თავდამსხმელი ედი ანანდი მოცელა. დაზარალებულმა თავად შეასრულა პენალტი და ჩემპიონატში თავისი გუნდის პირველი გოლიც დააფიქსირა. ასე რომ, „სელტიკისთვის" უიღბლოდ დაწყებული კვირა (გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოდა, მაგრამ „კროაციასთან" 0:3 დამარცხდა) უიღბლოდვე დასრულდა.

დაბოლოს, ისევ უბერებელ ალი მაკოისტს დავუბრუნდეთ. საქმე იმაშია, რომ „კილმარნოკისა" და „ჰართსის" თამაშს შოტლანდიის ნაკრების თავკაცი კრეიგ ბრაუნი ესწრებოდა. აი, რა განუცხადა მან ადგილობრივ ჟურნალისტებს, როდესაც მათ ვეტერანი ფორვარდის თაობაზე აზრის გამოთქმა სთხოვეს: „ვფიქრობ, არ შევმცდარვარ, მაკოისტი მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ წავიყვანე, რადგან მას ტრავმა აწუხებდა. ახლა კი ვგრძნობ, რომ შესანიშნავ ფორმაშია და ახალგაზრდობის წლებს იხსენებს. ამიტომაც იგი ნაკრებში ავიყვანე და მგონია, იმედებს არ გამიცრუებს, განსაკუთრებით ვილნიუსში". შოტლანდიის ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს 5 სექტემბერს ლიტვაში გამართავს.

დავით კომზირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| სელტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 7 |
| კილმარნოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| აბერდინი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მოზერველი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ჰართსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| დანფერმლაინი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| სტ. ჯონსტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| დანდი იუნ. | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |
| დანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

## რუსეთი

XXIII ტური

**ალანია 3:1 როტორი**

1:0 ტარლოვსკი (28), 2:0 დემეტრაძე (65 პ), 3:0 პაულო ემილიო (82), 3:1 ბერკეტოვი (89)

**დინამო 0:0 ჩერნომორეცი**

**ჟემჩუჟინა 2:2 შინიკი**

0:1 სერებრენნიკოვი (7), 0:2 იუმინოვი (31), 1:2 გოგრიჭიანი (32), 2:2 სულეიმანოვი (87)

**ბალტიკა 1:1 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (68), 1:1 სილინი (77)

**ურალანი 3:2 ტორპედო**

1:0 სმერტინი (45), 1:1 სემშოვი (60), 2:1 ცარიოვი (69 პ), 2:1 კამოლცევი (77), 3:2 დურნევი (79)

**კრილია 0:2 ცსკა**

0:1 სემაკი (44), 0:2 ცაპლინი (80)

**ლოკომოტივი 3:1 ზენიტი**

1:0 სარკისიანი (2), 1:1 პანოვი (34), 2:1 ბოროდიუკი (55), 3:1 ჩუგანოვი (74 პ)

**ტიუმენი 1:4 როსტსელმაში**

0:1 პესტრიაევი (47), 0:2 მატვეევი (57), 0:3 პრუდიუსი (66), 0:4 დუდნიკი (70), 1:4 იეგუნოვი (75)

ტურში განსაკუთრებულად გამოსარჩევი, ეგრეთწოდებული ცენტრალური შეხვედრა არ გამართულა და ამიტომ ჩვენც ძირითადად იმ თამაშებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სადაც თავი ქართველებმა გამოიჩინეს.

მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივი" სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" მასპინძლობდა. ზაზა ჯანაშია წინა ტურის მსგავსად ახლაც ხელშეხვეული გავიდა მოედანზე, მაგრამ ისე შესანიშნავად ირჯებოდა, ტრავმირებულსა და სამკურნალოს უფრო სხვები ჰგავდნენ. ანატოლი ბიშავეცის შეგირდებთან ჩვენებურს, სამწუხაროდ, გოლი არ გაუტანია, მაგრამ მისი თამაშის ნახვა ერთ რამედ ღირდა. ჯანაშიამ და საბჭოურ თუ რუსულ ფეხბურთში მრავლის მნახველმა ბიროდიუკმა პირდაპირ სატანჯველში ჩააგდეს საკმაოდ გამოცდილი სტუმართა მცველები, რომლებიც გონებამახვილი ფორვარდების დანახვაზე პატარა ბავშვებივით იბნეოდნენ და საკუთარ მეკარე რომან ბერეზოვსკის უამრავ საფიქრალს უჩენდნენ.

მოკლედ, „ლოკომოტივმა" დამაჯერებლად იმარჯვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. ამაში კი რკინიგზელებს რუსული ფეხბურთის ბოლოდროინდელი გრანდი „როტორი" მიეხმარა. ვოლგოგრადელებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს „ალანიას" და 1:3 დამარცხდნენ. სასიხარულოა, რომ ოსთა მხრიდან ბოლო რამდენიმე მატჩში ჩრდილში მყოფმა გიორგი დემეტრაძემაც ისახელა თავი და 65-ე წუთზე ჩვეულ სტილში შესრულებული პენალტით სტუმართა დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანა.

აღსანიშნავია ჟემჩუჟინელი გოჩა გოგრიჭიანის გოლიც. გოჩა, როგორც გახსოვთ, ერთ დროს საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდა და რუსეთშიც მრისხანე თავდამსხმელის სახელი ჰქონდა დაგდებული, თუმცა შემდეგ აქტიურობას უკლო და ერთგვარად გაუჩინარდა. გოგრიჭიანის გოლი მატჩში გარდატეხის შემტანი აღმოჩნდა. იმ მომენტამდე სოჭელები დავით ყიფიანის „შინიკთან" შინ 0:2 მარცხდებოდნენ, მაგრამ სიტუაციის გამოსწორება მოახერხეს და წინაგაჭრილი მეტოქე ფრეს დააჯერეს.

ირაკლი ხმელიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 23 | 13 | 7 | 3 | 42:17 | 46 |
| ლოკომოტივი | 23 | 11 | 6 | 6 | 28:18 | 39 |
| როტორი | 23 | 9 | 10 | 4 | 42:29 | 37 |
| ურალანი | 23 | 10 | 6 | 7 | 29:26 | 36 |
| ზენიტი | 23 | 9 | 9 | 5 | 31:19 | 36 |
| ცსკა | 23 | 10 | 5 | 8 | 33:20 | 35 |
| როსტსელმაში | 23 | 9 | 8 | 6 | 35:31 | 35 |
| ალანია | 23 | 9 | 7 | 7 | 36:26 | 34 |
| ჟემჩუჟინა | 23 | 8 | 7 | 8 | 23:30 | 31 |
| კრილია | 23 | 8 | 5 | 10 | 20:30 | 29 |
| შინიკი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:26 | 28 |
| ტორპედო | 23 | 6 | 9 | 8 | 29:28 | 27 |
| ჩერნომორეცი | 23 | 5 | 10 | 8 | 27:30 | 25 |
| ბალტიკა | 23 | 5 | 9 | 9 | 24:33 | 24 |
| დინამო | 23 | 4 | 12 | 7 | 20:25 | 24 |
| ტიუმენი | 23 | 2 | 1 | 20 | 12:63 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვერეტენნიკოვი (როტორი) | 17 |
| მატვეევი (როსტსელმაში) | 12 |
| ესიპოვი (როტორი) | 9 |
| ციმბალარი (სპარტაკი) | 9 |
| კულიკი (ცსკა) | 8 |
| დემეტრაძე (ალანია) | 8 |
| იანოვსკი (ალანია) | 8 |

## ბელგია

II ტური

**გენკი 3:1 ლიერსი**

1:0 დელბროეკი (41), 2:0 ოულარე (51), 2:1 კავენსი (70), 3:1 ჰორვატი (90)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეიერი, დაემსი (სომერსი 74), სერნეელსი, ჰაადგორენი, ლიენი, კავენსი, ზედებელი (სპიტერი 55), ჰაისმანსი (ჰუისტრა 61)

**კორტრიკი 0:6 ლოკერენი**

0:1 პენიჩკა (9), 0:2 ვონაჩეკი (19), 0:3 იანსენსი (36), 0:4 ვონაჩეკი (81), 0:5 კელერი (89), 0:6 პენიჩკა (90)

**ბევერენი 2:1 ანდერლეხტი**

1:0 დონტი (51), 1:1 გორი (54), 2:1 ვან დენ ედე (64)

**შარლერუა 2:1 ჰარელბეკი**

1:0 ოედრაგო (49), 2:0 რაბაში (74), 2:1 კამარა (86)

**ბრიუგე 2:1 ეკერენი**

1:0 კლასენსი (15), 1:1 პერემანი (44), 2:1 კლასენსი (45)

**სტანდარდი 3:0 აალსტი**

1:0 ბისკონტი (66), 2:0 რენიერი (84), 3:0 ბლეი (90)

**გენტი 1:1 ოსტენდე**

1:0 დონტი (51), 1:1 გორი (54), 2:1 ვან დენ ედე (64)

**ვესტერლო 1:4 სტ. ტრუიდენი**

0:1 ფიერსი (36), 1:1 დაუვე (44), 1:2 ტეპერსი (61 პ), 1:3 რუდონია (89), 1:4 მერტენსი (90)

**მუსკრონი 2:0 ლომელი**

1:0 ვიდოვიჩი (55 პ), 2:0 ბენსენგესი (90)

პირველი ტურის მსგავსად მეორეშიც ყველაზე სენსაციური შედეგი ქვეყნის ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, „ანდერლეხტის" მონაწილეობით გამართულ შეხვედრაში დაფიქსირდა. თუკი პირველ შემთხვევაში დედაქალაქელებმა შარლერუასთან ქულა მაინც მოიპოვეს, ახლა საყოველთაო მოსაზრებით წლევანდელ სეზონში უმაღლესი ლიგის დატოვების უპირველეს კანდიდატ „ბევერენთან" საერთოდ შერცხვნენ და 1:2 წააგეს.

ჩემპიონატის დასაწყისში „ანდერლეხტის" წაფორხილებით კარგად ისარგებლა ოქროს მედლების უპირველესმა კანდიდატმა „ბრიუგემ". ამ კლუბს უკვე ახლა ეტყობა, რომ ქვეყნის ჩემპიონობა ამოუჩრია გულში. თანაც საოცარ ფორმაშია ბრიუგელთა ფორვარდი გერტ კლასენსი. მან გასულ ტურში შესრულებული დუბლი არ იკმარა და მეორეში „ეკერენის" კარში წყვილი გოლის გატანით ბომბარდირებს შორის პირველ ადგილზე ამოყო თავი.

„ეკერენი" ყველანაირად ცდილობდა, არ დამარცხებულიყო და ერთი ქულა მაინც გაეყოლებინა შინ. თანაც სტუმრებს ერთი რამის იმედიც ჰქონდათ — „ბრიუგეს" ხომ სულ რამდენიმე დღის წინ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" გადაუწურა, რის შემდეგაც შარშანდელი ჩემპიონები ერთგვარ სტრესულ მდგომარეობაში ჩაავდო. თუმცა ევროპულ სარბიელზე თამაში ერთია, შინაურული გუნდების დაჯაბნა მეორე.

საპირისპირო სიტუაცია შეექმნა ჩვენებური გელა შეყილაძის „ლიერსს". ყოფილ ბათუმელს მართალია მეორე ტურში არ უთამაშია ტრავმის გამო, მაგრამ არა გვგონია, „გენკთან" შეხვედრაში მისი მოედანზე ყოფნით, რაიმე შეცვლილიყო. მასპინძლებმა თავიდანვე იძალეს და ქართველის გუნდს არანაირი შანსი არ დაუტოვეს.

ლევან ფერაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| მუსკრონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გენტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ოსტენდე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შარლერუა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| სტ. ტრუიდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ვესტერლო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბევერენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გენკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჰარელბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლომელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლიერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ეკერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| აალსტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| კორტრიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლასენსი (ბრიუგე) | 4 |
| კინდტნერი (ოსტენდე) | 3 |
| პენიჩკა (ლოკერენი) | 2 |
| ვონაჩეკი (ლოკერენი) | 2 |
| დონტი (ბევერენი) | 2 |

## ჰოლანდია

II ტური

**როდა 0:2 აიაქსი**

0:1 ჰუქსტრა (57), 0:2 ბაბანგიდა (83)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ოლისე, მელხიოტი, დანი, ლიტმანენი, ვიჩხე, ვამბერტო (ბაბანგიდა 46), მაკართი, ქინქლაძე (ჰუქსტრა 46)

**ეინდჰოვენი 1:2 ჰერენვენი**

0:1 დე ნოიერი (22), 0:2 სამარჯიჩი (58), 1:2 ვან ნისტერლოი (74)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუსიუსი, ოიერი, ქსავიერი, ივანი, ჟორჟონიო (რომენდალი 65), ბრუგინკი, ხოხლოვი, კოლკა, ვან ნისტერლოი, დე ბილდე

**ტილბურგი 1:0 სიტარდი**

1:0 ჰიიპია (28)

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჰილი, ჰიიპია, შენინგი, ფალკი, ჰერინგი (მერმესი), არტსი (კესეი), შულპი (ლოფენი), გალაშეკი,რამზი

**აზ 67 0:0 ვიტესი**

**ფეიენოორდი 3:1 მაასტრიხტი**

1:0 ვოსი (10), 1:1 ლანდზაატი (50), 2:1 კორნეევი (60), 3:1 ვან ფოსენი (72)

**ნაიმეგენი 1:1 ბრედა**

1:0 მაესი (40 პ), 1:1 მილიჩიჩი (67)

ბრედა: კარელსე, ატმოდიკორო, ვან დე ლოი, შრუდერი, ვან ასი, ვერსტეგი (ნოპი), ბოსზი, გუდელი, სტიუარტი, არველაძე, დე სოუზა (მილიჩიჩი)

**უტრეხტი 3:0 კამბური**

1:0 მოლსი (38), 2:0 რობემონდი (58), 3:0 ო ბრაიენი (64)

**ტვენტე 1:0 სპარტა**

1:0 ბოსმანი (15)

ბელგიური „ანდერლეხტის" მსგავსად ჰოლანდიაშიც გამოიკვეთა გუნდი, რომელმაც სეზონისწინა სერიოზული მზადების მიუხედავად, ძალიან ცუდი სტარტი აიღო და საწყის ორ ტურში ერთადერთი ქულის აღებით უკვე საგრძნობლად ჩამორჩება პირველობის კანდიდატებს — ამსტერდამის „აიაქსსა" და როტერდამის „ფეიენოორდს".

მიხვდით, ალბათ, საუბარი საქვეყნოდ ცნობილ „ეინდჰოვენზე" გვაქვს. გიორგი გახოკიძის კლუბმა ჩემპიონატის დაწყებამდე სუპერთასის გათამაშებაში დამაჯერებლად მოუგო „აიაქსს", რითაც თითქოს საკუთარი სიძლიერე ნათლად წარმოაჩინა, მაგრამ ჯერჯერობით „ეინდჰოვენს" მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის არაფერი ეტყობა.

ბობი რობსონის შეგირდებმა ამჯერადაც სუსტად ითამაშეს და შინ „ჰერენვენთან" დამარცხდნენ.

შოთა არველაძისა და გიორგი ქინქლაძის „აიაქსი" „ფეიენოორდთან" ერთად ცხრილის სათავეში კი მოექცა, მაგრამ, ევროპული ფეხბურთის გრანდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს კლუბი აშკარად ჩამოუვარდება იმ „აიაქსს" შარშან ეროვნული ჩემპიონატი სულ ღიღინ-ღიღინით რომ მოიგო და უეფას თასის მეოთხედფინალამდეც მივიდა.

მას შემდეგ, რაც კენჭისყრამ უეფას თასზე თბილისის დინამოს მეტოქედ ჰოლანდიური „ტილბურგი" დაასახელა, ჩვენი ინტერესი ამ კლუბისადმი საგრძნობლად გაიზარდა. „ტილბურგს" პირველ ტურში „აიაქსთან" 0:2 ნაწვნევი მარცხის შემდეგ საკუთარი მაყურებლის თვალში ერთგვარი რეაბილიტაცია სურდა და ეს ფინელი სამი ჰიიპიას მიერ 28-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხა კიდეც.

ირაკლი ხმელიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უტრეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| აიაქსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ფეიენოორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ჰერენვენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| აზ 67 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ნაიმეგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| ვიტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| გრააფსხაპი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ტვენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ტილბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ეინდჰოვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| კამბური | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ვალვაიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სიტარდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მაასტრიხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| როდა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მოლსი (უტრეხტი) | 2 |
| რობემონდი (უტრეხტი) | 2 |
| ვოსი (ფეიენოორდი) | 2 |
| კორნეევი (ფეიენოორდი) | 2 |
| ლანგერაკი (აზ 67) | 2 |

## შვეიცარია

VIII ტური

**ქსამაქსი 2:0 სენტ გალენი**

1:0 მოლისტი (61), 2:0 მარტინოვიჩი (90)

**ლუცერნი 1:2 სიონი**

0:1 ვან ეკი (16), 1:1 კოილოვი (65) 1:2 ბუგნარდი (66)

**არაუ 2:0 ლუგანო**

1:0 ბერგერი (28), 2:0 ლ. ესპოზიტო (76)

**ციურიხი 3:2 იანგ ბოისი**

1:0 შასო (30), 2:0 ბარტლეტი (38), 2:1 შტუდერი (40), 3:1 სანტანა (68), 3:2 სავუ (79)

**სერვეტი 2:2 ლოზანა**

1:0 რეი (18), 1:1 ლონდონო (23), 2:1 ვოლფი (24), 2:2 დუგლასი(40)

**ბაზელი 1:1 გრასჰოპერი**

1:0 ოუტარა (9), 1:1 დე ნაპოლი (74)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი (ყაველაშვილი 65), ტარარახე (კომიზეტი 65), ფოგელი, ტიკვა (ესპოზიტო 46), ნკუფო, დე ნაპოლი

შვეიცარიის ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩში „ბაზელთან" „გრასჰოპერი" გუნებაწამხდარი გავიდა მოედანზე. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას „გალათასარაისთან" „კალიები" გამარჯვების იმედით ელოდნენ (პირველი თურქეთში 1:2 წააგეს). მათი თავკაცი როლფ ფრინგერი ამბობდა კიდეც, მთავარი მიზანი ლიგაა და „გალათასარაისთან" მატჩამდე ჩემპიონატში ნაჩვენებ შედეგებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მაგრამ პირიქით აღმოჩნდა. „გრასჰოპერმა" წინა ტურში ლიდერი „სერვეტი" 3:0 გაანადგურა, თურქებთან კი შინაც დამარცხდა — 2:3. რის მიზეზადაც ფრინგერმა აურაცხელი გამოუყენებელი მომენტი დაასახელა.

„ბაზელთან" კვლავ არ უთამაშია ნემსაძეს, ხოლო ყაველაშვილი 65-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე. ფრინგერმა ყაველა არც თურქებთან ათამაშა თავიდან ბოლომდე: პირველი ნახევრის შემდეგ გამოცვალა, არადა, მიშა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მოედანზე. შაბათს „გრასჰოპერს" კვლავ დაუბრუნდა ალექსანდრე კომიზეტი, რომელმაც ამ სეზონში პირველად ითამაშა. რაც შეეხება თავად მატჩს, იგი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მე-9 წუთზე ოუტარას გოლით დაწინაურდნენ კიდეც. ციურიხელები ამის შემდეგ 74-ე წუთამდე უშედეგოდ უტევდნენ, მერე კი დე ნაპოლიმ დაახლოებით 35 მ-დან ულამაზესი გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. მართალია, „კალიებმა" არც ამის შემდეგ შეწყვიტეს შეტევები, მაგრამ მეტის გატანა ვეღარ შესძლეს და მატჩიც ფრედ 1:1 დასრულდა.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია „ციურიხის" გამარჯვება, „იანგ ბოისთან" და „სიონისა" სტუმრად „ლუცერნთან" 2:1. არც „ციურიხსა" და არც „სიონს" აქამდე არ მოეგოთ და ცხრილის ბოლოშიც დამკვიდრებულიყვნენ, ახლა კი ერთბაშად ორი საფეხურით აინაცვლეს.

საერთოდ ეს ტური ლიდერებისთვის უიღბლო გამოდგა, პირველი ექვსეულიდან ერთმაც ვერ შეძლო გამარჯვების მიღწევა.

განო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-11 | 17 |
| გრასჰოპერი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| ლოზანა | 8 | 3 | 5 | 0 | 14-11 | 14 |
| ბაზელი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-10 | 14 |
| სენტ გალენი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-9 | 11 |
| ქსამაქსი | 8 | 2 | 5 | 1 | 7-6 | 9 |
| არაუ | 8 | 2 | 3 | 3 | 14-14 | 9 |
| ლუგანო | 8 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |
| ციურიხი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-10 | 7 |
| სიონი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-10 | 7 |
| ლუცერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-13 | 6 |
| იანგ ბოისი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-11 | 6 |

## ავსტრია

მე-6 ტური. რაპიდი — შტურმი 2:0, ლინცერი — ტიროლი 3:2, ლუსტენაუ — შტაირი 1:1, ზალცბურგი — რიდი 3:2, გრაცერი — აუსტრია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| რაპიდი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 |
| ლინცერი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:10 | 12 |
| აუსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| შტურმი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ზალცბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| რიდი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| ტიროლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ლუსტენაუ | 6 | 0 | 3 | 3 | 5:13 | 3 |
| შტაირი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -1 |

შტაირს დაკლებული აქვს 3 ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ჩემპიონატი. მე-5 ტური: რაპიდი — სტიაუა 3:0; არჯეში — პეტროლული 3:1; უნივერსიტატია (კლუჟი) — ჩაჰლაული 1:0; ონესტი — ბაკაუ 2:2; ნაციონალი — ფორესტა 4:1; ოლიმპია — დინამო 0:4; ასტრა — გლორია 3:1; უნივერსიტატია (კრაიოვა) — ოცელული 0:1; რესიტა — ფარული 2:1. 15 ქულით ლიდერობენ „დინამო" და „რაპიდი".

**ბულგარეთის ჩემპიონატი.** მე-4 ტური: ლევსკი (სოფია) — ბოტევი 6:0; შუმენი — ნეფტოხიმიკი 1:0; პირინი — მინიორი 3:1; ლევსკი (კუისტენდილი) — ლიტექსი 1:0; მეტალურგი — სპარტაკი 2:0; სეპტემვრი — დობრუჯა 2:1; ლოკომოტივი (პლოვდივი) — სლავია 0:0; ლოკომოტივი (სოფია) — ცსკა 0:2. 12 ქულით გათამაშებას ლიდერობს დედაქალაქის „ლევსკი".

**ხორვატიის** ჩემპიონატი. მე-4 ტური: ზაგრები — ვარტექსი 1:1; ზადარკომერცი — მლადოსტ 127 2:0; ოსიეკი — რიეკა 1:0; ჰაიდუკი — სლავენი 5:0; შიბენიკი — ციბალია 2:1; კროაცია — დრაგოვილიაცი 2:1. 10 ქულით ლიდერობს „კროაცია", მას 2 ქულით ჩამორჩება „ჰაიდუკი".

**უნგრეთის ჩემპიონატი.** მე-6 ტური: დიორ ეტო — დიოშდიორი 5:4; უპეშტი — ზალაეგერცეგი 2:2; ბვსც — ფერენცვაროში 1:0; შიოფოკი — ვიდეოტონი 0:0; გაზერი — ნიერშეგი 0:0; ვაშაში — კეჩულეტი 6:0; ჰალადაში — კიშპეშტი 0:2; დებრეცენი — ვაცი 2:1; მტკ — დუნაფერი 3:0. 16 ქულით ლიდერობს „მტკ".

**ჩეხეთის** ჩემპიონატი. მე-4 ტური: სპარტა — ოპავა 4:2; სიგმა — დუკლა 0:0; ვიქტორია (პლზენი) — კარვინა 3:2; ბობი — ტეპლიცე 0:3; იაბლონეცი — სლოვანი (ლიბერეცი) 1:0; ჰრადეც კრალოვი — დრნოვიცე 3:1; ბანიკი — შმელი 2:2. 10 ქულით გათამაშებას ლიდერობს „სპარტა".

**იუგოსლავიის ჩემპიონატი.** მე-4 ტური: სპარტაკი — პარტიზანი 0:4; რადნიჩკი (ნიში) — ობილიჩი 0:2; პრისტინა — მილიციონარი 3:2; ზელეზნიკი — ჰაიდუკი 1:0; მოგრენი — პროლეტერი 1:2; რადნიჩკი (კრაგუიევაცი) — რადი 1:1; ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 5:1; ბუდუჩნოსტი — ოფკ 2:2. 12 ქულით ლიდერობს „პარტიზანი".

**პოლონეთის** ჩემპიონატი. მე-4 ტური: სტომილი — ლკს 1:0; ამიცა — გკს (ბელხატოვი) 2:0; ლეხი — რუხი 5:0; პოლონია — პოგონი 2:2; ზაგლებიე — გურნიკი 3:3; ვიძევი — ოდრა 2:0; რუხი (რაძიონკოვი) — ვისლა 1:1; გკს (კატოვიცე) — ლეგია 1:3. 10 ქულით ლიდერობენ „ლეგია" და „ვისლა".

**არგენტინის ჩემიონატი.** მე-4 ტური. რივერ პლეიტი — სან ლორენცო 3:4; ხიმნასია (ლა პლატა) — ბოკა ხუნიორსი 0:0; კოლონი — როსარიო სენტრალი 4:0; პლატენსე — ინდეპენდიენტე 1:4; რასინგი — ლანუსი 2:2; ბელგრანო — ფერო კარილ ოესტი 1:0; ურაკანი — ხიმნასია (ხუხუი) 3:2; ველესი — ტალერესი 3:0; ნეველს ოლდ ბოისი — უნიონი 0:0. 8 ქულით ლიდერობენ ველესი, უნიონი, ბოკა და ნეველს ოლდ ბოისი.

**ბრაზილიის** ჩემპიონატი. მე-9 ტური. პონტე პრეტა — სან პაულო 1:1; პორტუგეზა — ატლეტიკო მინეირო 1:0; ბრაგანტინო — ამერიკა (ნატალი) 1:1; სანტოსი — ინტერნასიონალი 2:0; ამერიკა (ბელო ორიზონტე) — ბოტაფოგო 0:0; კორიტიბა — გოიასი 2:0; კორინტიანსი — გუარანი 3:2; გრემიო — პალმეირასი 1:1; ატლეტიკო (პარანანენსე) — ჟუვენტუდი 0:0; ფლამენგო — ვასკო და გამა 1:1; კრუზეირო — ვიტორია 0:2; რესიფე — პარანა 4:1. 23 ქულით ლიდერობს კორინტიანსი, მას სამი ქულით ჩამორჩება სანტოსი.

## პორტუგალია

II ტური

**მარიტიმუ 2:2 სალგეირუში**

0:1 ჩელსუ (6), 1:1 ტონი (46), 2:1 ალექსი (73), 2:2 ადემირი (87)

**აკადემიკა 1:5 კამპომაიორენსე**

0:1, 0:2 მონტანინი (23, 12), 0:3 ვიტორ მანუელი (53), 0:4 მონტანინი (72), 1:4 ტომასი (80), 1:5 ველიგტონ სილვა (90)

**ამადორა 5:0 სეტუბალი**

1:0 ლეალი (53), 2:0 ლუისი (10), 3:0 ნევესი (44), 4:0 ოლივეირა (48), 5:0 გილბერტო (66)

**ალვერკა 0:0 ბოავიშტა**

**გიმარაეში 0:0 უნიაუ**

**რიუ ავე 0:2 ბენფიკა**

0:1, 0:2 ნუნუ გომეში (683, 88)

**ფარენსე 0:2 ბრაგა**

0:1, 0:2 ელპიდიო სილვა (26, 54)

**ბეირა მარი 2:1 პორტუ**

0:1 ზაპოვიჩი (14), 1:1 ჟორჟე სილვა (24), 2:1 ფაიე (75)

**სპორტინგი 2:1 შავეში**

1:0 მაჩადო (27), 1:1 სანტანა (47), 2:1 იორდანოვი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბრაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| კამპომაიორენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| სალგეიროუში | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| უნიაუ | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ამადორა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ბეირა მარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შავეში | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალვერკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| ფარენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| აკადემიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| რიუ ავე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## ნორვეგია

მე-20 ტური. სტრომსგოდსეტი — ბრანი 0:2; ტრომსო — სტაბეკი 0:4; ჰაუგესუნდი — სოგნდალი 4:0; მოლდე — კონგსვინგერი 4:1; რუსენბორგი — ბოდო გლიმტი 3:0; ვიკინგი — ლილესტრიომი 0:1; ვალერენგა — მოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 20 | 14 | 6 | 0 | 57:20 | 48 |
| რუსენბორგი | 19 | 14 | 2 | 3 | 56:19 | 44 |
| ვიკინგი | 20 | 12 | 3 | 5 | 51:30 | 39 |
| სტაბეკი | 20 | 12 | 3 | 5 | 41:22 | 39 |
| ბოდო გლიმტი | 20 | 7 | 7 | 6 | 33:34 | 28 |
| ტრომსო | 20 | 7 | 5 | 8 | 33:35 | 26 |
| ლილესტრიომი | 20 | 7 | 5 | 8 | 28:39 | 26 |
| სტრომსგოდ. | 20 | 7 | 4 | 9 | 33:46 | 25 |
| ბრანი | 20 | 5 | 7 | 8 | 30:31 | 22 |
| მოსი | 20 | 7 | 1 | 12 | 24:43 | 22 |
| კონგსვინგერი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:40 | 21 |
| ჰაუგესუნდი | 20 | 5 | 3 | 12 | 32:39 | 18 |
| ვალერენგა | 20 | 5 | 3 | 12 | 29:44 | 18 |
| სოგნდალი | 20 | 3 | 4 | 13 | 23:56 | 13 |

## ლატვია

მე-20 ტური. სკონტო — დინაბურგი 2:1; რეზეკნე — ვენტსპილსი 0:3; ვალმიერა — დაუგავა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 19 | 14 | 2 | 3 | 58:18 | 44 |
| მეტალურგსი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:14 | 39 |
| ვენტსპილსი | 20 | 10 | 6 | 4 | 38:13 | 36 |
| დინაბურგი | 20 | 8 | 7 | 6 | 33:18 | 31 |
| დაუგავა | 20 | 7 | 5 | 8 | 36:32 | 26 |
| ვალმიერა | 20 | 7 | 5 | 8 | 28:38 | 26 |
| რანტო | 19 | 2 | 3 | 14 | 17:76 | 9 |
| რეზეკნე | 20 | 1 | 3 | 16 | 15:50 | 6 |

## საბერძნეთი

მე-2 ტური: აეკი — აპოლონი 3:1; ოლიმპიაკოსი — პანელეფსინიაკოსი 1:1; პრუდეფტიკი — პანათინაიკოსი 1:2; იონიკოსი — პანიონიოსი 4:3; ირაკლისი — ოფი 3:0; პანილიაკოსი — ეთნიკოსი (პირეოსი) 2:0; ეთნიკოსი (ასტერასი) — კავალა 3:2; ქსანტი — ვერია 2:0; პაოკი — არისი 1:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ირაკლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| აეკი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| იონიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ქსანტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| პანილიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კავალა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ოფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ეთნიკოსი (ა) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| პენელეფსინ. | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პრუდეფტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | 0 |
| პაოკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ვერია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| აპოლონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |
| ეთნიკოსი (პ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## სლოვენია

მე-5 ტური: მურა — ცელიე 0:1; ნოვა გორიცა — ბელტინჩი 3:0; ოლიმპია — კოპერი 2:3; კოროტანი — დომზალე 0:1; ტრიგლავი — აიდოვშინა 0:0; მარიბორი — ველენიე 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| ოლიმპია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ნოვა გორიცა | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 12 |
| მურა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ბელტინჩი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ცელიე | 5 | 2 | 2 | 1 | 4:5 | 8 |
| ველენიე | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| კოპერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| აიდოვშინა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| კოროტანი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |
| დომზალე | 5 | 1 | 0 | 4 | 1:11 | 3 |
| ტრიგლავი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

## თურქეთი

მე-4 ტური: ქოჯაელი — ტრაბზონი 1:1; გენჩლერბირლიგი — ადანა 2:1; ისთანბული — გალათასარაი 1:4; ბურსა — საქარია 2:1; გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 1:0; ანთალია — დარდანელი 2:0; ერზურუმი — ქარაბუქი 2:1; ალთაი — ბეშიქთაში 0:1; ფენერბაჩე — სამსუნი 6:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:3 | 12 |
| ფენერბაჩე | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 |
| ბეშიქთაში | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| გაზიანთეფი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| გენჩლერბირ. | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| ისთანბული | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ერზურუმი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:8 | 9 |
| ტრაბზონი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ქოჯაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ანთალია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ანკარაგიუჯიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ალთაი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:10 | 3 |
| ქარაბუქი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| ბურსა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| საქარია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| დარდანელი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| ადანა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |
| სამსუნი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |



იტალიის სუპერთასზე, ტურინში „ლაციომ" „იუვენტუსს" 2:1 მოუგო და ახალი სეზონის პირველ ჯილდოს დაეუფლა.
თავიდან რომაელებს თავდაცვა მოუხდათ, მაგრამ 38-ე წუთზე კონტრშეტევაც მოახერხეს და რობერტო მანჩინის (№10) პასით ჩეხმა პაველ ნედვედმა ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში „ლაციომ" გაცილებით შთამბეჭდავად ითამაშა, ვიდრე „იუვემ". ამას ისიც დაემატა, რომ 63-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს ტურინელთა ფორვარდი ფილიპო ინძაგი. 87-ე წუთზე მაინც მასპინძლებმა მოახერხეს გოლის შეგდება — პენალტი ალესანდრო დელ პიერომ დაარტყა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში, 93-ე წუთზე, სერჟიო კონსეისაომ რომაელთა გამარჯვება გამოჰედა.

## EURO 2000

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — VIII ჯგუფი. ირლანდია - ხორვატია

5 სექტემბერს, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ტურნირის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი ხორვატიის ნაკრები ირლანდიას ეწვევა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩს გამართავს. 18 კაციან განაცხადში ვერ მოხვდნენ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორებიც დრაჟენ ლადიჩი და რობერტ პროსინეჩკი არიან. ამ უკანასკნელმა ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა მანამ, სანამ მის სათავეში მიროსლავ ბლაჟევიჩი იქნება. ირლანდიელებთან შეხვედრაში ხორვატებს ტრავმის გამო არც გამოცდილი მცველი, ლივერპულის „ევერტონში" მოთამაშე სლავენ ბილიჩი ეყოლებათ. სამაგიეროდ გუნდს დაუბრუნდა ერთ-ერთი ლიდერი, რომი „ლაციოს" თავდამსხმელი ალენ ბოქშიჩი. ბლაჟევიჩმა 5 სექტემბრის მატჩისთვის ნაკრებში სამი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა: მცველი მარიო ტოკიჩი, ნახევარმცველები ტომისლავ რუკავინა და მარიო ცვიტანოვიჩი. სამივე ქვეყნის ჩემპიონის ზაგრების „კროაციას" ღირსებას იცავს.

გაგაცნობთ ხორვატიის ეროვნული გუნდის შემადგენლობას: მეკარეები — მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში, თურქეთი), ზელიკო პავლოვიჩი (LASK); მცველები: ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), მარიო ტოკიჩი (კროაცია), დარიო სიმიჩი (კროაცია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალი); ნახევარმცველები: მარიო ცვიტანოვიჩი (კროაცია), ტომისლავ რუკავინა (კროაცია), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), კრუნოსლავ ჯურჩიჩი (კროაცია), რობერტ იარნი (რეალი, ესპანეთი), მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია); თავდამსხმელები: დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი), ალენ ბოქშიჩი (ლაციო, იტალია), სილვიო მარიჩი (კროაცია), პეტარ კრპანი (ოსიეკი)


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბელგიის ჩემპიონატი. III ტური** | | | |
| 2 სექტემბერი | | | |
| ოსტენდე — გენკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტანდარდი — გენტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სტ. ტრუიდენი — ბრიუგე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლომელი — ვესტერლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ანდერლეხტი — მუსკრონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ჰარელბეკი — ბევერენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლოკერენი — შარლერუა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლიერსი — კორტრაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| აალსტი — ეკერენი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.** | | | |
| 5 სექტემბერი | | | |
| ბირმინგემი — ბერი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ჰადერსფილდი — შეფილდ იუნ. | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქპრ — ბარნსლი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| სტოკპორტი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სვინდონი — ბრისტოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ოქსფორდი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი** | | | |
| 5 სექტემბერი | | | |
| გრააფსხაპი — ვალვაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სპარტა — როდა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| **ბელგიის ჩემპიონატი. IV ტური** | | | |
| 5 სექტემბერი | | | |
| ეკერენი — სტ. ტრუიდენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გენტი — აალსტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გენკი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შარლერუა — ლიერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბევერენი —ლოკერენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მუსკრონი — ჰარელბეკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვესტერლო — ანდერლეხტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ბრიუგე — ლომელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კორტრაიკი — ოსტენდე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **ამხანაგური მატჩები** | | | |
| 2 სექტემბერი | | | |
| იუგოსლავია — შვეიცარია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| მალტა — გერმანია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 5 სექტემბერი | | | |
| გერმანია — რუმინეთი (მალტაში) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| 2 სექტემბერი | | | |
| რუმინეთი — ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 0:5 | 1,5 | 5,0 | 2,8 |
| 5 სექტემბერი | | | |
| უელსი — იტალია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| ბელარუსი — დანია | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| საქართველო — ალბანეთი | ანგარიში — 5,0 | | |
| ფინეთი — მოლდოვა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| თურქეთი — ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სომხეთი — ანდორა | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| 0:3 | 1,25 | 5,0 | 4,7 |
| უკრაინა — რუსეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ისლანდია — საფრანგეთი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| შვედეთი — ინგლისი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ავსტრია — ისრაელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კვიპროსი — ესპანეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სლოვაკეთი — აზერბაიჯანი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:3 | 2,0 | 3,6 | 2,0 |
| ირლანდია — ხორვატია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ბოსნია — ესტონეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიტვა — შოტლანდია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 6 სექტემბერი | | | |
| საბერძნეთი — სლოვენია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ნორვეგია — ლატვია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,0 | 4,0 |
| ბულგარეთი — პოლონეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უნგრეთი — პორტუგალია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მაკედონია — მალტა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| ფარერები — ჩეხეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**ფორმულა 1**
**XIII ეტაპი**
**ბელგიის დიდი პრიზი**

# ისმინა უფალმა ჯორდანის ვედრება




**დეიმონ ჰილი**

დაიბადა 1960 წლის 17 სექტემბერს ლონდონში. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1992 წელი, „ბრებჰემი".

97 რბოლა, 22 გამარჯვება, 20 პოული, 19 საუკეთესო წრე, 349 ქულა.

შედეგები ფორმულა 1-ში:

1992 — „ბრებჰემი", ქულების გარეშე;

1993 — „უილიამსი", 69 ქულა, მე-3 ადგილი;

1994 — „უილიამსი", 91 ქულა, მე-2 ადგილი;

1995 — „უილიამსი", 69 ქულა, მე-2 ადგილი;

1996 — „უილიამსი", 97 ქულა, მსოფლიოს ჩემპიონი;

1997 — „ეროუსი", 7 ქულა, მე-12 ადგილი.

სპამ თავს არ უღალატა და ავტორბოლის მოყვარულებს მოულოდნელობით ალსავსე, დაძაბული რბოლა აჩუქა.

კვალიფიკაციაზე კვლავ „მაკლარენის" დუეტმა იმარჯვა. პოულის მფლობელი ბოლო წამებზე გაირკვა: ჰაკინენმა 0,163 წამით ჩამოიტოვა კულჰარდი. მესამე სასტარტო პოზიცია დეიმონ ჰილმა მოიპოვა. მე-4-მე-5 ადგილები „ფერარის" პილოტებს ერგოთ, მეექვსე — ვილნევს.

რბოლის დღეს გაავდრდა და შუმის და მის ქომაგებს გამარჯვების იმედი მიეცათ: მიხაელსა და მის „ფერარის" ხომ სველ ტრასებზე ტოლი არა ჰყავთ.

სტარტიდან პირველი ჰაკინენი დაიძრა. მშვენივრად დაიწყეს ირვინმა და ვილნევმა. ირლანდიელმა ტრასის შუაში გადაინაცვლა და ასე ჩამოიტოვა წინ მყოფნი, თუმც კი თანაგუნდელმა პოზიცია არ დაუთმო, ვილნევმა კი ტრასის მარცხენა კიდისკენ გაიწია და პირველ მოსახვევში ჰაკინენის მომდევნოდ, მეორე პოზიციაზე შევიდა. ის-ის იყო ლიდერები პირველ მოსახვევს გასცდნენ, რომ კულჰარდს მანქანა მოუცურდა, ჯერ ტრასისპირა ბარიერს შეეჯახა, მერე მეორე მხარეს გაცურდა და მის კონტროლდაკარგულ ბოლიდს მეტოქეები წამოედნენ. საბოლოოდ ავარიაში 15-მდე ბოლიდმა „მიიღო მონაწილეობა" და ტრასა მანქანების ნამსხვრევებით მოიფინა. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა. მხოლოდ ბარიჩელოს ასტკივდა მარცხენა ხელი. ორგანიზატორები ტრასის გასუფთავებას, მექანიკოსები კი დაზიანებული ბოლიდების ნაცვლად სათადარიგოების სარბოლოდ გამზადებას შეუდგნენ.

საბოლოოდ მეორე სტარტზე 19 ბოლიდი გამოვიდა, ბარიჩელომ, პანიმ და სალომ მაყურებლებში გადაინაცვლეს. მეორე სტარტი ჰილმა მოიგო. შუმი ჰაკინენის „მაკლარენს" წამოედო და ფინელს რბოლა დაასრულებინა. მის დაბზრიალებულ ბოლიდს ჰერბერტიც შეეჯახა და მანაც მაყურებლებში გადაინაცვლა. ვერც კულჰარდი გადაურჩა შეჯახებას, თუმც რბოლა კი განაგრძო.

ჰილს კვალში ორი „ფერარი" ედგა, მათ უკან კი „უილიამსები" და ალეზი არკვევდნენ ურთიერთობას. ჟაკ ვილნევმა სველ გზაზე მანქანა ვერ დაიმორჩილა და ფრენცენის და ალეზის უკან აღმოჩნდა.

მე-8 წრეზე შუმიმ ლიდერი ჩამოიტოვა და მალე საკმაოდაც დაშორდა მძლე მეტოქეს. ტრასის ზოგიერთ მონაკვეთზე ისევ გაწვიმდა და რბოლის ტემპმაც ოდნავ იკლო. მე-16 წრეზე პილოტები პირველ პიტ-სტოპზე შეჩერდნენ. თუმც კი ამას ლიდერთა პოზიციები არ შეუცვლია. ვილნევმა კვლავ ვერ დაიმორჩილა „უილიამსი" და მსოფლიოს ჩემპიონი ამ რბოლაში უქულოდ დარჩა.

რბოლის ნახევარი გაილია. შუმი 24 წამს უგებდა მეორეზე მყოფ ჰილს და მალე ჩამორჩენილებსაც წამოეწია, რომელთა შორის კულჰარდიც გახლდათ. გერმანელი პილოტი ტემპს არ ანელებდა, ერთ მოსახვევში, ეტყობა, წვიმის შხეფების მიზეზით, მის წინ ნელა მავალი „მაკლარენი" ვერ შენიშნა, შეეჯახა და მეტად საჭირო გამარჯვებაც ხელიდან გაუშვა. ბოქსებში დაბრუნებულმა შუმიმ კულჰარდისკენ გაიწია, მექანიკოსებმა ძლივს გააჩერეს გაშმაგებული ექსლიდერი.

იმავე წრეზე „ფერარიმ" მეორე პილოტიც დაკარგა: ირვინს ბოლიდი გაექცა და ტრასიდანაც გავარდა და რბოლიდანაც. მრბოლთა რიგები ნელ-ნელა საგრძნობლად შეთხელდა. ფიზიკელამ შუმის „მანევრი" გაიმეორა ანუ ბოლიდი ნაკანოს „მინარდის" შეალეწა. ტრასაზე კვლავ პეისკარი გამოუშვეს. ამ დროისთვის რბოლას ექვსი პილოტიღა აგრძელებდა, ორ მოწინავე პოზიციაზე კი ორი „ჯორდანი" მიქროდა.

მექანიკოსებმა მოახერხეს კულჰარდისა და ნაკანოს ბოლიდების შეკეთება და ორივე პილოტი ტრასას დაუბრუნდა. თუმცა კი ლიდერს 5-5 წრით ჩამორჩებოდნენ. რე-სტარტის შემდეგ ჰილი დაწინაურდა და მალე თანაგუნდელი 2,7 წამით ჩამოიტოვა. ამათ უკან კი პილოტები ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: ალეზი, ფრენცენი, დინიცი, ტრული, კულჰარდი, ნაკანო. ამ დროს ბოქსებში ედი ჯორდანი ღმერთს ევედრებოდა, ჩემს პილოტებს ბოლომდე გაამლებინე, შეცდომისგან დაიფარეო. ისმინა უფალმა ჯორდანის ლოცვა: ჰილმა აუღელვებლად გაიარა დარჩენილი წრეები და გუნდს ისტორიაში პირველი გამარჯვება მოუტანა. ჯორდანელების ტრიუმფი უმცროსი შუმახერის მეორე ადგილმა დააგვირგვინა.

წლევანდელ სეზონში პირველი ქულა მოიპოვა იარნო ტრულიმაც.

ბელგიის რბოლამ ჩემპიონატის ლიდერთა პოზიციები უცვლელი დატოვა. ჰაკინენი და შუმი ურთიერთობას იტალიაში, „მონცაზე" გაარკვევენ.

**ალეკო ჩაბუკიანი**




ჰაკინენის „აღსასრული"

## რბოლის შედეგები

30 აგვისტო. სპა-ფრანკორშამპი

დისტანცია 44 წრე - 306,592 კმ

1. ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 1.47,407 (177,229 კმ/სთ) 10 ქულა
2. რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) ჩამორჩა 0,932 წამით 6
3. ალეზი (ზაუბერი) 7,240 4
4. ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) 32,242 3
5. დინიცი (ეროუზი) 51,682 2
6. ტრული (პროსტ-პეჟო) 2 წრით 1
7. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 5 წრით
8. ნაკანო (მინარდი-ფორდი) 5 წრით

### საუკეთესო წრე

მ. შუმახერი (ფერარი)
(2.03,766; 202,679 კმ/სთ; მე-18 წრე)

### ლიდერები

1-7 წრე — ჰილი;
8-25 — მ. შუმახერი;
26-44 — ჰილი;

### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი) გაიარა | 28 წრე |
| ავარია | |
| ირვინი (ფერარი) | 25 |
| ავარია | |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 25 |
| ავარია | |
| ტუერო (მინარდი-ფორდი) | 17 |
| მექანიკური პრობლემები | |
| ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) | 16 |
| ავარია | |
| ტაკაჯი (ტირელ-ფორდი) | 10 |
| ავარია | |
| ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი) | 8 |
| ძრავი | |
| ვურცი (ბენეტონ-მეკაქრომი) | 0 |
| ავარია | |
| ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 0 |
| ავარია | |
| ჰერბერტი (ზაუბერი) | 0 |
| ავარია | |
| ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 0 |
| ავარია | |
| პანი (პროსტ-პეჟო) | 0 |
| ავარია | |
| სალო (ეროუზი) | 0 |
| ავარია | |
| როსეტი (ტირელ-ფორდი) | 0 |
| ავარია | |

## განლაგება სტარტზე

23 ტუერო 1.55,520 მინარდი
22 ნაკანო 1.55,084 მინარდი
21 ტაკაჯი 1.54,850 ტირელი
20 როსეტი 1.53,237 ტირელი
17 სალო 1.53,207 ეროუსი
19 ვერსტაპენი 1.53,149 სტიუარტი
16 დინიცი 1.53,037 ეროუსი
11 პანი 1.52,784 პროსტი
18 ბარიჩელო 1.52,770 სტიუარტი
12 ტრული 1.52,572 პროსტი
15 ჰერბერტი 1.51,851 ზაუბერი
6 ვურცი 1.51,648 ბენეტონი
14 ალეზი 1.51,189 ზაუბერი
2 ფრენცენი 1.50,686 უილიამსი
10 რ. შუმახერი 1.50,501 ჯორდანი
5 ფიზიკელა 1.50,462 ბენეტონი
1 ვილნევი 1.50,204 უილიამსი
4 ირვინი 1.50,189 ფერარი
3 მ. შუმახერი 1.49,797 ფერარი
9 ჰილი 1.49,728 ჯორდანი
7 კულჰარდი 1.48,846 მაკლარენი
8 ჰაკინენი 1.48,682 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი | კანადა 7 ივნისი | საფრანგეთი 28 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი | ავსტრია 26 ივლისი | გერმანია 2 აგვისტო | უნგრეთი 16 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | 10 | – | 4 | 6 | 10 | 10 | 1 | – | | | | 77 |
| 2 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | – | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | | | | 70 |
| 3 | კულჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | – | – | 1 | – | 6 | 6 | 6 | – | | | | 48 |
| 4 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | 4 | 4 | 6 | 4 | 3 | – | – | – | | | | 32 |
| 5 | ვილნევი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 3 | – | 1 | 4 | 4 | – | | | | 20 |
| 6 | ვურცი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | – | 3 | 2 | 3 | – | – | – | – | | | | 17 |
| 7 | ჰილი (ბრიტანეთი) ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 3 | 3 | 10 | | | | 16 |
| 8 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | 6 | 6 | – | 2 | – | – | – | – | | | | 15 |
| 9 | ფრენცენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | 2 | 3 | | | | 13 |
| 10 | რ. შუმახერი (გერმანია) ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | 1 | 2 | 1 | – | 6 | | | | 10 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | 10 | – | 5 | 6 | 16 | 16 | 7 | – | | | | 125 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | 4 | 14 | 16 | 14 | 7 | 2 | 10 | – | | | | 102 |
| 3 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | 1 | 2 | – | 3 | – | 1 | 4 | 6 | 3 | | | | 33 |
| 4 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | 3 | 6 | 9 | 2 | 5 | – | – | – | – | | | | 32 |
| 5 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | 1 | 2 | 4 | 3 | 16 | | | | 26 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით

**კატმანდუ მთამსვლელთა მექაა. ექსპედიციები, ნეპალის მხრიდან რომ ლამობენ ჰიმალაის მწვერვალებზე ასვლას, სწორედ კატმანდუში იყრიან თავს. აქვე ჩამოდიან ნეპალის ჩრდილო მეზობელ ჩინეთის მხრიდან ჰიმალაიზე ასვლის მსურველნიც, რომლებსაც ტიბეტიდან დაუსახავთ მიზნად იქაურ ბუმბერაზებზე ასვლა. კატმანდუ არის მთელი მსოფლიოს მთამსვლელთა თავშესაყარი. კატმანდუ არის მათივე გზაგასაყარიც**



# რა დროს სექსია, დავადგათ ჩაი

## ქვეყანა, სადაც დრო გაჩერებულა

ჩვეულებრივ მთამსვლელები აქ ადრიან გაზაფხულზე და ზაფხულის ბოლოს ჩამოდიან, რათა მაისის პირველ ან სექტემბრის ბოლო რიცხვებში გადამწყვეტი იერიში მიიტანონ მწვერვალებზე რადგან მოგვიანებით მუსონები იწყება. მუსონები ნეპალის ბარში ავდარსა და გადაუღებელ, კოკისპირულ წვიმას ნიშნავს, მთაში კი ასევე გადაუღებელ თოვას, ძლიერ ქარსა და ქარაშოტს, რაც მწვერვალებზე ასვლას შეუძლებელს ხდის. ასე რომ, მთამსვლელები, რომლებიც ახლა, სექტემბერში აპირებენ ჰიმალაის ბუმბერაზთა დამორჩილებას, უკვე ნეპალში არიან. მათი ნაწილი მწვერვალთა მისადგომებისკენ მრავალდღიან საქარავნო გზაშია, ან კატმანდუში საორგანიზაციო საქმეებს დღე-დღეზე მოათავებს და გუდა-ნაბადს აიკრავს.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთამსვლელთა შორის არის მეორე ქართული ექსპედიციაც, რომელსაც დედამიწის სიმაღლით მერვე მწვერვალ მანასლუსკენ უჭირავს თვალი.

მანასლუზე, ქართველ მთამსვლელთა ვარჯიშზე, მათ საექსპედიციო თადარიგზე ნეპალის დედაქალაქში გამგზავრებამდე არაერთი წერილი გამოვაქვეყნეთ, ახლა კი, მოდით, ჩვენს ბიჭებთან ერთად შემოვირბინოთ კატმანდუ, სადაც ათი დღე დამრგვალებულა, რაც ჩვენი მთამსვლელები არიან და საორგანიზაციო საქმეების მოგვარება რატომღაც ცოტა გასჭიანურებიათ.

უცხოელთათვის ნეპალის საზღვრები 50-იანი წლების დასაწყისში გაიხსნა და ჰიმალაის მთებში ჩაკარგულ ამ ქვეყანას მოაწყდნენ მთამსვლელები, მეცნიერები, ტურისტები, ჰიპები, კონტრაბანდისტები, ბრაკონიერები... ერთი სიტყვით ათასი ჯურის ხალხი. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი ინტერესის სფერო, რომელიც ანდამატივით იზიდავდა და ეს პატარა ქვეყანაც ყველას უწილადებდა ულუფას. ჰოდა, ნეპალში მთელი ძალით ამოქმედდა ტურიზმის ინდუსტრია. ერთხანს იქ საპასპორტო რეჟიმი არ ყოფილა, ახლა კი არის, მაგრამ მრავალი ქვეყნიდან ნეპალში ვიზის გარეშე მაინც შეიძლება ჩასვლა, მათ შორის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიდანაც, საიდანაც ჩვენი მთამსვლელები ოთხი წლის წინათ თავიანთ პირველ ჰიმალაურ ექსპედიციაში ჩაფრინდნენ. აი, მოსკოვიდან კი ვიზის გარეშე თვითმფრინავში არ აგიშვებენ. ეს ამბავი ჩვენმა მთამსვლელებმა ბედად ახლანდელ გამგზავრებამდე ოთხი-ხუთიოდე დღით ადრე შეიტყვეს და ყოჩაღად რომ არ დაფაცურებულიყვნენ, ექსპედიცია თუ არ ჩაეშლებოდათ, გადაუვადდებოდათ მაინც.

ამ 20-25 წლის წინათ კატმანდუში თურმე ერთ დოლარად შეიძლებოდა სასტუმროში დღე-ღამის განმავლობაში ცხოვრებაც, კვებაც, და იმ ერთი დღის სამყოფი ნარკოტიკების შეძენაც. 16 წლის წინათ ჩვენც გვქონდა ბედნიერება კატმანდუს მონახულებისა და სამთო ბილიკებზე ლაშქრობისა. მაშინ სასტუმროში ცხოვრება, კვება და ნარკოტიკები, ყველაფერი ერთად, დღე-ღამეში 10 დოლარამდე თუ ჯდებოდა. ეს ფასები მნიშვნელოვნად არც 4 წლის წინათ შეცვლილა, როცა იქ მეორე ქართული ექსპედიცია იყო. ალბათ ახლაც ასეა. ალბათ მათაც ჩვენსავით ქუჩებში სეირნობისას აჩერებენ და ჩალის ფასად სთავაზობენ ნარკოტიკებს, ალბათ ისინიც ჩვენსავით ხვდებიან ალაგ-ალაგ, შენობათა აბრებზე ასეთ წარწერებს: „ჰაშიში და მარიხუანა იყიდება პირველ სართულზე“. მაგრამ ჩვენს ბიჭებს რა ეჰაშიშ-ემარიხუანებათ?! მწვერვალებზე, მით უმეტეს რვაათასიანებზე, ნარკომანები და გამვლელ-გამომვლელები ხომ ვერ ავლენ. კატმანდუს ქუჩებში ახლა ქართველი მთამსვლელები თოკების საყიდლად, ლამის ორი თვის სამყოფი საკვების შესაძენად და მანასლუს მისადგომებისკენ გადასაფრენი შვეულმფრენის დასაქირავებლად დარბოდნენ, თანაც ზღაპრული სამეფოს ზღაპრულ დედაქალაქში თვალს წყალს ალევინებენ. სანახავი და გასაოცარი კი აქ იმდენია, რომ შინ დაბრუნებულიც კარგა ხანს გაოგნებული დარჩება კაცი.

კატმანდუს ველზე სადაც ნეპალის სამეფოს დედაქალაქი მდებარეობს, წარმოუდგენლად ბევრი 2500-ზე მეტი სასახლე, მონასტერი, ქანდაკებათა კომპლექსი, ისტორიული და სხვა ორიგინალური ძეგლია, რომელთა ბადალი, სპეციალისტთა თქმით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება. ეს ყველაფერი ორი ათასი წლის განმავლობაში შენდებოდა და იქმნებოდა.

ნეპალს მთელ თავის ისტორიაში არ ახსოვს არც ერთი დიდი, დამანგრეველი ომი და ამიტომ აქ ყველაფერს სიძველის ბეჭედი აზის. ქუჩები ისევე გამოიყურება, როგორც შუა საუკუნეებში. ეგაა, ცოტა ხალხს აცვია სხვაგვარად.

დიახ, აქ თითქოს დრო შეჩერებულა. თუმცა, ასეცაა. ნეპალში, იქაური კალენდრით, ახლა მხოლოდ 973 წელია.

კატმანდუს „აღმოსავლურ ფლორენციას“ უწოდებენ. მის ქუჩებში, დედაქალაქის კვალობაზე, ცოტა ავტომობილია. საერთოდ არ არის ტრავმაი და ცოტას თუ გაუგონია რა არის მეტრო. სამაგიეროდ, თვალში საცემია ველოსიპედისტთა სიმრავლე. ბევრი მათგანი უცხოელი ტურისტია. ჩამოდიან და უმალ ქირაობენ, რადგან კატმანდუს ვიწრო და ხალხმრავალ ქუჩებში ეს ტრანსპორტი მართლაც რომ მისწრებაა. ტურისტები ბანანებისა და ქოქოსის გვერდით ჩალის ფასად ყიდულობენ ანტიკვარულ ნივთებს, ძვირფასი ქვებით მოჭედილ ვერცხლის სამკაულებს...

ისევე როგორც 16 წლის წინათ ჩვენ, ახლაც საქართველოს მთამსვლელთა მეორე ექსპედიციის წევრებს ქუჩებში ედევნებიან ფეხშიშველი, ღარიბი, მაგრამ მუდამ ხალისიანი და მომღიმარი ნეპალელები და სთხოვენ, ბატონებო, იყიდეთ აქაური, ხელგანთქმული დანა კხუკრი, რომლითაც შეიძლება ფოლადის გაჭრაო, მაგრამ მათ ვერა და ველარ შეუცდენიათ, რადგან ჩვენებურთ მწარე გამოცდილება აქვთ, იციან, რომ მოსკოვის საბაჟოში ჩამოართმევენ ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ. არადა, რუსთა დედაქალაქში კხუკრი უპრობლემოდ შეგიძლია იყიდოთ, ოღონდ ბევრად ძვირად გუმშიც, ცუმშიც, ახოტნი რიადშიც და ალბათ სხვაგანაც.

მაგრამ კხუკრი რა მოსატანია იმ საოცრებებთან რასაც კატმანდუს ქუჩებში ნახავთ.

ნეპალელებმა მრავალი საინტერესო ლეგენდა გვიამბეს. თურმე რაჯა რჰუპტინდრა მალას ბრძანებით ხუროთმოძღვრისთვის ხელები მოუკვეთიათ... არა, იმიტომ კი არა, კარგი რატომ აგიგიაო, არამედ იმიტომ მის მიერ კატმანდუში შექმნილი საოცარი ხუროთმოძღვრული ძეგლები სხვაგან რომ არ განმეორებულიყო.

სხვაგან კი მაინც გავრცელდა. ტურიზმის სარეკლამო პროსპექტები უამრავ მაცდუნებელთან ერთად იუწყება: „აქაა პაგატის ტიპის არქიტექტურის სამშობლო“, „პაგატი აქედან გავრცელდა იაპონიაში, ბირმაში“... გავრცელდა, მაგრამ ის ასლებია, დედანი კი ნეპალში გახლავთ.

კატმანდუს მონასტრებში, ტაძრებზე ორივე მხარეს, ფრონტონებზე მრავლად ნახავთ მოქანდაკის მიერ შუა საუკუნეებში გამოძერწილ – ეროტიკულ სცენებს. აქ არის არა მხოლოდ ადამიანთა ჯგუფური ალვირახსნილობის ამსახველი სურათები, არამედ ლომებთან თუ მითიურ ურჩხულებთან მათი სექსუალური ურთიერთობების ფრაგმენტებიც (ასეთი სცენების ამსახველი მომცრო ბრინჯაოს ქანდაკებები მაღაზიებშიც იყიდება).

როცა დავინტერესდით, თქვენთვის ამ წმინდა ადგილზე ეროტიკას რა უნდაო, გვიპასუხეს, ტაძარში სალოცავად მოსული ადამიანი ამგვარი სცენების ხილვისას თუ ცდუნებას გაუძლებს, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვდებაო.

ვერ გეტყვით, გაუძლეს თუ არა ამგვარ ცდუნებას ჩვენმა მთამსვლელებმა, მაგრამ ნათელია, რომ მათ სექსი და ქალები მანასლუს ფერდობებზე აღარ გაახსენდებათ — ხანგრძლივი დაკვირვებით დადასტურებულია, რომ ისეთ სიმაღლეზე კაცს აღარც ერთი ახსოვს და აღარც მეორე. იქ ყველაზე პოპულარული სიტყვებია „ყინვა“, „წყალი“ და „ცხელი ჩაი“. ეს სიტყვები სულ მალე მიეკრებათ პირზე ჩვენს მთამსვლელებს, რაკიღა ისინი დღეს გეგმით მანასლუსკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



თუ ასეთ ცდუნებას გაუძლებთ, სამოთხეში მოხვდებითო



ვერცხლეულით მოვაჭრეთა დახლი



# „დინამო“ ჩემპიონატის [illegible]

ქართული კალათბურთის ისტორიაში თბილისის „დინამოს“ ღვაწლი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ქართული გუნდი ყველა მეტოქეს დიდ პრობლემებს უქმნიდა და ოთხჯერ უძლიერესის სახელიც დაიგდო. 1962 წელს კი „დინამომ“ ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა მადრიდის „რეალთან“ უშელავათო ბრძოლაში.

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, დღეს კი „დინამო“ ყველასთვის კარგად ცნობილი პრობლემების წინაშეა, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად გასცქერის მომავალს.

მალე მერვე ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება. ამიტომაც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოვარჯიშე დინამოელებს მივაკითხეთ და მათ მთავარ მწვრთნელ **ლევან მოსეშვილს** გავესაუბრეთ.

— გუნდის წევრები 15 აგვისტოს შევკრიბეთ და თბილისში ვემზადებით — გვამცნო მწვრთნელმა — ბიჭები მერვე ეროვნულ ჩემპიონატს იმედიანად უყურებენ, აქედან გამომდინარე, ვარჯიშიც ხალისიანი და ნაყოფიერიც გამოდის.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— უნივერსიტეტიდან გადმოვიდა გიორგი ნიკოლაძე, „შევარდენიდან“ თამაზ გიგაური. ამას გარდა ცვლილებებია ხელმძღვანელობაშიც. უფროსი მწვრთნელის მოვალეობას ვაჟა მხეიძე შეასრულებს, ძირითადად კი გუნდი იგივე შემადგენლობით ვარჯიშობს.

**— ახლა ხომ არაფერს გვეტყოდით შენგელიას და ხომერიკის დისკვალიფიკაციაზე?**

— ეს ორი კაცი გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა და მათმა დისკვალიფიკაციამ უარყოფითად იმოქმედა მოთამაშეებზე. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემპიონატს უკეთესი შედეგით დავამთავრებდით. სპორტში ასეთი შემთხვევები მრავლად ყოფილა და კვლავაც იქნება. შენგელიას სამუდამო დისკვალიფიკაცია გაუმართლებლად მიმაჩნია, ეს კალათბურთელები ეროვნული გუნდის წევრები იყვნენ და დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ნაკრებისთვის.

ჩვენ თხოვნით მივმართეთ კალათბურთის ფედერაციას დისკვალიფიცირებულთა სასჯელის შესამცირებლად, მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობა უცვლელია.

აღსანიშნავია, რომ თხოვნას 70 კალათბურთელმა მოაწერა ხელი და იმედი მაქვს, ფედერაცია გამოიჩენს დიდსულოვნებას და შეამსუბუქებს სასჯელს.

**— მერვე ჩემპიონატი ახალი სისტემით ჩატარდება...**

— ახალი დებულება, ჩემი აზრით, მისაღებია და მომავალი ჩემპიონატიც ალბათ უკეთესი იქნება. თუმცა, ვნახოთ, დებულების ავ-კარგი ალბათ ჩემპიონატის მსვლელობისას გაირკვევა.

**— „დინამოსთან“ ერთად ეროვნულ გუნდსაც ხელმძღვანელობთ. ახალი მწვრთნელების მოსვლის შემდეგ ორი თამაში დიდი ანგარიშით წააგეთ.**

— ნებისმიერი გუნდის ჩამოყალიბებას დრო და რამდენიმე ეტაპის გავლა სჭირდება, ჩვენს გულშემატკივრებს კი მხოლოდ შედეგი აინტერესებთ. რაც შეეხება იტალიასა და ლატვიაში წაგებებს, ნაკრების წევრები ფაქტობრივად არ შეკრებილან, თანაც სტეფანია და ნაცვლიშვილი არ თამაშობდნენ, არადა, ეს კალათბურთელები ხომ ეროვნული გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან და ქულათა მეტ წილს სწორედ ისინი აგროვებენ.

**— მერვე ჩემპიონატში რას ისახავს მიზნად თბილისის „დინამო“?**

— ჩვენ ყველა ჩემპიონატში პირველობისთვის ვიბრძოდით და ამჯერადაც მიზანი მხოლოდ გამარჯვება იქნება.

**ზურაბ გონაშვილი**

# მანევრები რა ხანია დაიწყო

საქართველოს ჩემპიონატი სავარაუდოდ 20 სექტემბრისთვის დაიწყება. მერვე ჩემპიონატის მონაწილე გუნდებზე ჯერ ბევრი არაფერი ვიცით, რადგან მათი უმეტესობა ჯერაც არ შეკრებილა, აი, არმიის სპორტული კლუბი კი კარგა ხანია ვარჯიშობს. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ ბიჭები 19 ივლისს შეკრიბა. იმ დღეებში თბილისში აუტანლად ცხელოდა და ამიტომაც მზადება აგვისტოს დამდეგიდან დაიწყეს. კლუბის მფარველი, თავდაცვის სამინისტრო ცდას არ აკლებს, რათა მოთამაშეებს ნორმალური სავარჯიშო პირობები ჰქონდეთ და ხელფასიც დროულად მიიღონ. დღესდღეობით არმიელი კალათბურთელები დღეში ოთხ საათს ვარჯიშობენ, ჯერ კუსტბაზე დარბიან, მერე ტრენაჟორებს მიაშურებენ, შემდეგ დარბაზში ემზადებიან.

ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდს დაგეგმილი აქვს შეკრების მოწყობა თელავსა ან წყალტუბოში.

ასკ-ში ამჟამადაც ის ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელები ირიცხებიან, რომლებიც წინა ჩემპიონატშიც იცავდნენ გუნდის ღირსებას. მწვრთნელებს სურთ, ერთი-ორი გამოცდილი ცენტრიც დაიმატონ და თუ ეს შეძლეს, მიზნადაც შესაბამისად მეტს დაისახავენ, კერძოდ, სწრაფი, გააზრებული თამაშის ჩვენებას და ოთხეულში მოსახვედრად ბრძოლას. ასკ-ს მწვრთნელი, პაატა გურასპაული, მოგეხსენებათ, ეროვნულ გუნდშიც საქმიანობს და, ბუნებრივია, ნაკრებზეც დავეკითხეთ.

— ნაკრები ნოემბერში ევროპის ჩემპიონატის სამ შესარჩევ მატჩს გამართავს, ჩეხეთსა და თურქეთში სტუმრად, შვედებთან შინ. გადაწყვეტილია, ამ დროისთვის ჩვენი ჩემპიონატი ერთი თვით შეწყდეს და ეს დრო მთლიანად ეროვნული გუნდის მომზადებას დაეთმოს. ნაკრების ხელმძღვანელებს მიეცემათ საშუალება, გამოიძახონ ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული გუნდის წევრები, დაგვემატებიან ლეგიონერებიც და თუ სახსრები გამოჩნდა, შეკრებაზეც წავალთ ისრაელში, რაც გუნდს დიდად წაადგება საევროპო სამზადისში.

**ზურაბ გონაშვილი**

# ზიდეკმა NBA-ს „ჟალგირისი“ არჩია

ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) შექმნილი რთული ვითარების გამო მრავალმა კალათბურთელმა ცოტა არ იყოს, გული აიცრუა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაზე და ევროპისკენ უჭირავს თვალი. ერთ-ერთი მათგანი, ჩეხი ცენტრალური თავდამსხმელი გეორგ ზიდეკიცაა, რომელმაც ამ დღეებში ჩვენთვის კარგად ცნობილ კაუნასის „ჟალგირისთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

213 სანტიმეტრი სიმაღლის ზიდეკი გასულ წელს NBA-ს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „სიეტლ სუპერსონიქსის“ ღირსებას იცავდა. მართალია, მას იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა, მაგრამ ამერიკაში თავისი ბედით საკმაოდ კმაყოფილი იყო და წასვლას არსად აპირებდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამერიკის კალათბურთის მამებს მოთამაშეებთან ხელფასთან დაკავშირებულ საკითხებზე სერიოზული უთანხმოებანი შეექმნათ და ახალი სეზონის გამართვა ერთობ საეჭვო შეიქნა, ჩეხს ბევრი აღარ უფიქრია. ზიდეკს „ჟალგირისის“ გარდა, რამდენიმე ევროპული კლუბიც იწვევდა. თავად ჩეხმა კი მენეჯერის რჩევით ბოლოს მაინც ლიტვაში გადაბარგება არჩია და ალბათ, არც ნანობს. კაუნასური კლუბი ხომ ევროპულ მაჩანჩალათა რიცხვს არ მიეკუთვნება, რაც მან გასულ სეზონში საკმაოდ პრესტიჟული გათამაშების — ევროპის თასების თასის მოგებით დაამტკიცა.




ბავშვთა კალათბურთის აკადემია

25 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე აცხადებს 7-8-9-10 წლის ბავშვების მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 49, სპორტის აკადემიის შენობა.

ტელ: 23-20-05

მშვილდოსნობა

# რაც იყო, ეს იყო

მშვილდოსანთა ევროპული ჩემპიონატის შესახებ პირველი და ძალზე ზოგადი ცნობები თურქეთიდან ნატო ნასარიძემ მოგვაწოდა. ზოგადი იმიტომ, რომ საკუთარი ფიასკოს შემდეგ ნატომ საფრანგეთიდან სწრაფად აიკრა გუდა-ნაბადი და რადგან ორგანიზატორებსაც ოქმების ჩამორიგება დაგვიანებოდათ, ხათუნა ფუტკარაძეზე მხოლოდ ის გვითხრა, ოცდათორმეტ საუკეთესოს შორის ვერ მოხვდაო, ხოლო სერგო ბერიძეზე ამდენიც კი არ იცოდა.

გუშინ ჩვენი სამკაციანი დელეგაცია (ორი მონაწილე და ერთი მწვრთნელი) თბილისს დაბრუნდა და მათი ასპარეზობის შესახებ დაწვრილებითაც შეგვიძლია ვისაუბროთ.

ქალაქ აყუნის მახლობლად მდებარე სოფელ ბოეში გამართული ევროპული პირველობის ორგანიზაციას ჩვენები არ უჩიოდნენ, აი, ქარიან-წვიმიან ამინდს კი გვარიანად უწვალებია ისინი, თუმცა მათი მეტოქეებიც ხომ ამ დღეში იყვნენ. ნატო ნასარიძე, მაგალითად, პირველივე წრიდან გამოვარდა შეჯიბრებიდან.

მკითხველისთვის განვმარტავთ შეჯიბრების ფორმულას — თუ ამის საშუალებას მონაწილეთა რაოდენობა იძლევა, წინასწარი სროლების შემდეგ საუკეთესო 64 მშვილდოსანი პლეი-ოფის სისტემით აგრძელებს ბრძოლას, ესე იგი, პირველ ადგილზე მყოფი ხვდება სამოცდამეოთხეს, მეორე — სამოცდამესამეს და ა.შ. ასე გრძელდება ბოლომდე, მაგრამ ჩვენების სავალალოდ ბოეში განაცხადის წარდგენის მიუხედავად არ ჩასულან მოლდოველი მოისარნი და ამის გამო მონაწილეთა რაოდენობა 64-ზე ნაკლები აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პლეი-ოფებს საუკეთესო 32 მონაწილე გაითამაშებდა.

ხათუნა ფუტკარაძემ თავისი საუკეთესო შედეგი (1270 ქულა) კი გაიმეორა, მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, უახლესი იარაღითა და უამრავი შეჯიბრებით განებივრებული, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უცხოური სპორტი გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამიტომ ხათუნას ეს შედეგი ოდენ 33-ე ადგილის დასაკავებლად ეყო და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა წინ მყოფს, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირველივე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას. არადა, რომ ჩამოსულიყვნენ მოლდოველები, მაშინ პლეი-ოფშიც მოხვდებოდა და გაცილებით მაღალი ადგილის დაკავების შანსიც იყო.

რაც შეეხება სერგო ბერიძეს, მანაც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში იასპარეზა და 38-ე ადგილი დაიკავა.

მათ მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძეს უკეთესი შედეგების საჩვენებლად ხშირი საშეჯიბრო პრაქტიკა მიაჩნია. ხათუნას ამ შემოდგომაზე ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ ერევნის საერთაშორისო ტურნირები ელის, ოღონდ თუ დაფინანსების პრობლემა გადაწყდა.

აღსანიშნავია, რომ ხათუნა ფუტკარაძე ერევნის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია და წელსაც ამ ტიტულის დაცვას შეეცდება.

ირაკლი თავაძე

სროლა

# არგენტინაც, დანიაც

30 აგვისტოდან ბუენოს-აირესში დაიწყო ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე, დასკვნითი ეტაპი. ამ ტურნირზე საქართველოდან იასპარეზებს ნინო სალუქვაძე, რომელიც გამოვა როგორც პნევმატური, ასევე სპორტული პისტოლეტით სროლაში. ამ უკანასკნელში იგი უკვე ფინალშია გასული. თბილისიდან გამგზავრებამდე ნინომ გვითხრა, რომ იგი კარგადაა მომზადებული და წარმატების იმედიც აქვს, ყველაფერი კი უშუალოდ ასპარეზობისას ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი სახელოვანი ჩუბინი მამა-მწვრთნელ ვახტანგ სალუქვაძესთან ერთად ეწვია არგენტინას.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენისკენ გაფრინდნენ ჩვენი ახალგაზრდა ტყვიის მსროლელები — თორნიკე ნიკოლაიშვილი და გიორგი აბესაძე, რომლებიც ამ ქალაქში ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში იასპარეზებენ.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

# შტეფი: 104!

**ნიუ ჰეივენი**
**საპრიზო 450 000 $**

**ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (4, გერმანია) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 6:3, 7:6; იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — ჟული ჰერალდ-დეკუჯისი (საფრანგეთი) 6:4, 6:4.**

ნიუ ჰეივენის ნახევარფინალში მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა შტეფი გრაფმა პირველობისთვის ბრძოლას ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ლინდსი დევენპორტი გამოთიშა. გრაფმა, ვისაც შარშანდელი სეზონი ქუსლის ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გაუცდა, პირველი სეტი იოლად მოუგო ტურნირის უმთავრეს ფავორიტს და მეორეშიც 5:2 დაწინაურდა. ჯანიანმა დევენპორტმა მეორე სეტში კი გაიფაფხურა და ტაიბრეიკშიც გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, მაგრამ ხერხმა ღონეს მაინც აჯობა. ამ მარცხით დევენპორტმა შეწყვიტა ზედიზედ მოგებათა 13-მატჩიანი სერია. იმ დღესვე გაირკვა მეორე ფინალისტი, მეორე ნომრად განთესილმა ჩეხმა იანა ნოვოტნამ იოლად არა, მაგრამ მაინც სძლია განუთესავ ფრანგს ჰერალ დეკუჯის.

**ფინალი: გრაფი — ნოვოტნა 6:4, 6:1.**

გრაფმა დევენპორტს იანა ნოვოტნაც ადვილად მიაყოლა და კარიერაში 104-ე (!) ტიტულის მოგებით 79 000 დოლარი ჩაიჯიბა.

**ჯერიჩო. ჰამლეტის თასი**
**საპრიზო 315 000 $**

**ნახევარფინალი: პატრიკ რაფტერი — გრეგ რუზეცკი 6:4, 7:5; ფელიქს მანტია — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 5:7, 6:4.**

რაფტერს ნახევარფინალში მეოთხედ განთესილი ახმახი გრეგ რუზეცკი ერგო. განმეორდა ამერიკის ღია პირველობის შარშანდელი ფინალი. აქაც ავსტრალიელი აღმოჩნდა უკეთესი და მათი 6 პირადი შეხვედრიდან მეხუთედ მოიგო. დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე მეორე წყვილის — მანტია-საფინის დუელი. ნახევარფინალში მოხვედრილთაგან ერთადერთმა განუთესავმა, 18 წლის რუსმა მარატ საფინმა ბევრი იომა, ერთი სეტი მოუგო კიდეც გამოცდილ ესპანელს, მაგრამ წვალებამ ამაოდ ჩაუარა და ფინალს მიღმა დარჩა.

**ფინალი: რაფტერი — მანტია 7:6, 6:2.**

ჰამლეტის თასი, როგორც მოსალოდნელი იყო, 25 წლის პატრიკ რაფტერს დარჩა. მანტია მხოლოდ პირველ სეტში გაუძალიანდა ავსტრალიელს, მაგრამ საწყისი სეტის ტაიბრეიკში წაგების შემდეგ მეორეში ველარაფერი გააწყო. რაფტერი კი მშვენიერი იყო, ესპანელს ერთბაშად 11 ეისიც ჩაუგდო და წლეულს მეხუთე ტიტულის მოგებით მოხვეჭილ მილიონებს 45 000 დოლარიც წაუმატა.

**ბრუკლინი**
**საპრიზო 315 000 $**

**ნახევარფინალი: პოლ ჰაარჰუსი (ჰოლანდია) — სედრიკ პიოლინი 7:5, 4:6, 6:3; მაიკლ ჩანგი — სებასტიან გროსჟანი 7:5, 4:6, 6:3.**

ნახევარფინალს შემორჩენილ ორივე განთესილს — სედრიკ პიოლინის და მაიკლ ჩანგს სამსეტიანი ბრძოლები გადახდათ და აქედან მხოლოდ ამ უკანასკნელმა შაძლო თავის დაღწევა. მეოთხე ნომერმა ჩანგმა ძლივს მოუგო მეოთხედფინალში პირველად განთესილ იონას ბიორკმანის გამპანლურებელ გროსჟანს. იგივეს გამეორება ვერ შეძლო მესამე ნომერმა სედრიკ პიოლინმა და ტურნირსაც დაემშვიდობა.

**ფინალი: მაიკლ ჩანგი — პოლ ჰაარჰუსი 6:3, 6:4.**

ზედიზედ ორი სამსეტიანი მატჩით გადაღლილმა ჰოლანდიელმა ჩია ჩანგს ვერაფერი დააკლო და მეორე ადგილს დასჯერდა. ვეტერანმა ჩანგმა კი 32-ე ტიტული მოიგო და ერთ დროს მსოფლიოში ერთ-ერთმა უძლიერესმა კლასიფიკაციის ოცეულში მოახერხა შეღწევა.

ირაკლი ფირაშვილი

მძლეოსნობა

# ოქროს ზოდი ყველას უნდა



მარიონ ჯონსი

მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ გათამაშების მორიგ ეტაპს ამ დღეებში ბელგიის დედაქალაქმა უმასპინძლა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს საუკეთესო ათლეტები სანუკვარი პრიზის — ოქროს ზოდებისთვის შვიდი ეტაპისგან შემდგარ ტურნირში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჯეკპოტს კი ის სპორტსმენი მოხსნის, რომელიც ყველა ასპარეზობაში იმარჯვებს და თავის სიძლიერეს საქვეყნოდ დაამტკიცებს.

პლანეტაზე დღესდღეობით მართლაც არაერთი საუცხოო მძლეოსანია, მაგრამ ყველასთვის სასურველი ჯილდოს მოგების შანსი მხოლოდ ოთხ მათგანს აქვს. ესენი 100 მეტრზე მორბენალი ამერიკელი ქალი მარიონ ჯონსი, 3000 მეტრზე მორბენალი ეთიოპელი ჰაილე გაბრესელასიე, 400 მეტრ დისტანციაზე თარჯრბენში მოასპარეზე ამერიკელი ბრაიან ბრონსონი და 1500 მეტრზე მორბენალი მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი არიან.

დასახელებულ ათლეტებს არც ბრიუსელში ჰყავდათ ბადალი. საყოველთაო ინტერესი კი, როგორც ყოველთვის, 100 მეტრზე მორბენალ ამერიკელ მარიონ ჯონსისა და ფრანგ კრისტიან არონის დაპირისპირებას ხვდა წილად. ფრანგმა მას შემდეგ, რაც ორიოდ კვირის წინ ევროპის ჩემპიონატი მოიგო და თანაც ამ დისტანციაზე ყველა დროის მესამე შედეგის მფლობელია, ძალიან მცირე ხანში უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა და მისით აღფრთოვანებული გულშემატკივრები გამარჯვებას ერთთავად მოხდენილ კრისტიანს უწინასწარმეტყველებდნენ.

ისე არონის თაყვანისმცემელთა მხრიდან ასეთი სიჯიუტე ცოტა გასაკვირიც კია, რადგან ბელგიაში ჩასვლამდე ორიოდ დღით ადრე ამერიკელმა არონს ლოზანაში იმდენად დამაჯერებლად მოუგო, რომ ვერც კი იფიქრებდით, მის მხარდამხარ ევროპის პირველობის ტრიუმფატორი თუ გარბოდა.

ბრიუსელშიც ჯონსმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს და ამ დისტანციის სრულ ბატონ-პატრონი ალბათ კიდევ დიდ ხანს იქნება.

მართალია, მარიონის მიერ ნაჩვენები დრო — 10.80 წამი ამ სპორტსმენის საუკეთესო შედეგი სულაც არ არის და თუნდაც ლოზანის მისეულ მაჩვენებელს 7 მეასედით ჩამორჩება, მაგრამ 10.96 წამში მორბენალი არონის დასამარცხებლად ესეც საკმარისი გამოდგა.

„ის, რომ არონზე უკეთ დავრბივარ, ლოზანაშიც კარგად გამოჩნდა. დღეს კი ალბათ ველარავინ შემომბედავს, მითხრას, მსოფლიოს უსწრაფესი ქალი არ ხარო. მე ეს არაერთხელ დავამტკიცე და უკვე დავიღალე ერთი და იმავეს მტკიცებით. არონს უმაღლეს კვარცხლბეკთან საერთოდ არაფერი ესაქმება. თუმცა ახლა ფრანგზე ფიქრის დრო ნამდვილად არ მაქვს. ჩემთვის მთავარია, დარჩენილი ორი გარბენიც მოვიგო და სანუკვარი პრიზი ხელთ ვიგდო — განუცხადა გახარებულმა ჯონსმა ჟურნალისტებს გამარჯვების შემდეგ.

ის ორი გარბენი, რომლებიც მარიონმა მოიხსენია, ბერლინსა და მოსკოვში გაიმართება. „ოქროს ლიგის“ გათამაშების მეექვსე და დამაგვირგვინებელ — მეშვიდე ეტაპებს გერმანიის და რუსეთის დედაქალაქები უმასპინძლებენ. ჯონსსაც იმედი აქვს, მეტოქეებს ორჯერაც დაამარცხებს და ოქროს ზოდების მფლობელიც შეიქნება.

მაგრამ ჯილდოსთვის ამერიკელის გარდა სამი სხვადასხვა დისტანციაზე მორბენალი ვაჟიც რომ იბრძვის? თანაც ჯონსის მსგავსად ეს ათლეტებიც [illegible] დამაჯერებლად ასპარეზობენ, მათ წარუმატებლობაზე ფიქრიც კი უაზრობაა. [illegible], 400 მეტრზე თარჯმორბენალი ამერიკელი ბრაიან ბრონსონის უპირატესობა იმხელა იყო, გარბენზე დაწვრილებით შეჩერება საერთოდ არ ღირს.

ასევე იმარჯვა მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯმა. 1500 მეტრზე რბენაში მან ახლოს არავინ გაიკარა და მსოფლიოში საუკეთესო დრო ვერა, მაგრამ მონაკოსა და ციურიხში გამართულ ეტაპებზე უკეთესი შედეგი 3:29,67 აჩვენა.

გამორჩევას იმსახურებს ეთიოპელი ჰაილე გაბრესელასიე. ბოლო წლებში ამ კაცის ასპარეზობის შემყურე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს 3000 მეტრზე გარბენები ტყუილუბრალოდ ტარდება და ჰაილეს წელს კი არა, ეგებ საერთოდაც ვერავინ გაუსწროს.

ბრიუსელშიც მეტად საგულისხმო სცენის მოწმენი შევიქენით. ფინიშის ხაზამდე ასე ოთხი-ხუთი წრით ადრე წინ გაბრესელასიე და მასზე ორი თავით მაღალი ბრიტანელი ენტონი უაიტსმენი გაიჭრნენ. ჰაილე აყლაყუდა ბრიტს ფეხდაფეხ მისდევდა და თითქოს ეუბნებოდა, მიდი, ირბინე, მე კი დაგაკვირდები და როცა მომინდება, მაშინ გაგისწრებო. ასეთ დაცინვას საბრალო უაიტსმენმა ბოლოს ველარ გაუძლო და რბენას საერთოდ დაანება თავი. ეთიოპელი კი დისტანციაზე ფაქტობრივად მარტო დარჩა და რადგან „გამბრაზებელი“ არავინ ჰყავდა, ამჯერად რეკორდს ვერ შესწვდა.

ირაკლი ხმელიძე

ჭიდაობა

# ჩვენ რა ხეირი...

შვედეთის ქალაქ გავლეში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩვენების ასპარეზობას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა წარუმატებელს — ყველაზე უკეთესი შედეგი თერჯოლელი მირიან გიორგაძის (130კგ) მე-4 ადგილია.

თუმცა არც მთლად უმედლებოდ დარჩენილან ქართველი ფალავნები, მაგრამ ჩვენ რა ხეირი — გოგი კოლუაშვილმა რუსეთი გაახარა ჩემპიონობით, დავით სალდაძემ კი უკრაინას უძღვნა ბრინჯაო. მე-4 იყო ისრაელში ასული გოჩა ციციაშვილი.



„რუსმა“ გოგი კოლუაშვილმა ფინალში ჩეხი სვეკი დაჯაბნა

**ტექნიკური შედეგები**

| | |
|---|---|
| **54კგ** | **76კგ** |
| 1. კვონ-ჰო სიმი (კორეა) | 1. ბახთიარ ბაისაიტოვი (ყაზახეთი) |
| 2. მარიან სანდუ (რუმინეთი) | 2. ფილიბერტო აზუი (კუბა) |
| 3. ხალედ ალ ფარაი (სირია) | 3. ნაზმი ავლუკა (თურქეთი) |
| **58კგ** | **85კგ** |
| 1. კიმ-ინ სუდი (კორეა) | 1. ალექსანდრ მენშიკოვი (რუსეთი) |
| 2. სეტიან შენგი (ჩინეთი) | 2. იანოშ კისმონი (უნგრეთი) |
| 3. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი) | 3. მარტინ ლიდბერგი (შვედეთი) |
| **63კგ** | **97კგ** |
| 1. მხითარ მანუკიანი (ყაზახეთი) | 1. გოგი კოლუაშვილი (რუსეთი) |
| 2. სერეფ ეროღლუ (თურქეთი) | 2. მარეკ სვეკი (ჩეხეთი) |
| 3. სანგ-სუ ჩოი (კორეა) | 3. დავით სალდაძე (უკრაინა) |
| **69კგ** | **130კგ** |
| 1. ალექსანდრ ტრეტიაკოვი (რუსეთი) | 1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი) |
| 2. ჩაბა ჰირბიკი (უნგრეთი) | 2. მატ შაფარი (აშშ) |
| 3. სონ სანგ-ჰილი (კორეა) | 3. იური იევსეიჩიკი (ისრაელი) |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29